ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 16 მაისი 2007 №109 (3032) ფასი 50 თეთრი



# ყრილობა და ხვალეო...

კიდევ ერთი უცნაური ამბავი: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალი, მე-13 ყრილობა საქართველოს ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე გაიმართება... თუმცა, სადაც ამდენი უცნაურობა გადავიტანეთ, იქ ესეც იყოს...

მოკლედ, საქმე ასეა: ფედერაციის პრეზიდენტისა და აღმასკომის არჩევნები ხვალ „ბასაში" შედგება, ყრილობა, ცხადია, რიგგარეშეა და 11 საათზე დაიწყება.

როგორც ფეხბურთის ფედერაციის გენერალური სამდივნოს ხელმძღვანელმა უჩა უგულავამ გუშინდელ ბრიფინგზე თქვა, ფედერაციის რიგგარეშე ყრილობის ჩატარების აუცილებლობა და პროცედურული მხარე ფიფა-უეფასთან არის შეთანხმებული და ყრილობას უეფას დელეგატიც დაესწრებაო.

მისივე თქმით, ამ ყრილობაში მონაწილეობის უფლება აქვთ წინა ყრილობის საპრეზიდენტო კანდიდატებს, დელეგატებსა და აღმასკომის წევრობის მსურველებს. ოღონდ, საამისოდ მათ, ანუ გიორგი ნემსაძეს, მამუკა კვარაცხელიასა და ნოდარ ახალკაცს, ასევე კვირას შემდგარი ყრილობის დელეგატებს და აღმასკომის წევრობის კანდიდატებს ფედერაციის გენსამდივნოში დღეს 18 საათამდე მოუწევთ წერილობითი ფორმით მიმართვის გაკეთება. ყრილობის მონაწილეთა რეგისტრაცია ხვალ ათის ნახევრიდან დაიწყება.



# შანსი რუს-თავშივეა

ოთხი ფინალი, ოთხი მარცხი... რუსთავის „აზოტი" ბოლო წლებში სულ ფავორიტებში და ხშირად ფინალშია, იქიდან კი ერთთავად დამარცხებული და გულგატეხილი გამოდის, მაგრამ...

არა ამ ფინალში! — თქვეს როგორც არასდროს ისე გაძლიერებულ-გაწონასწორებულმა რუსთაველებმა და საჩემპიონო სერია ჩემპიონ „ავიამშენის" 85:75 ძლევით დაიწყეს.

„აზოტს" მოედნის უპირატესობა აქვს, მეორე მატჩსაც შინ თამაშობს დღეს, 17 საათზე და თუ სერიაში საქმე მეხუთე, გადამწყვეტ ჯახამდე მივიდა, მასაც შინაურ კედლებში ჩაათამაშებს.

ეყოლება საქართველოს ახალი ჩემპიონი? ამას რამდენიმე დღეში გაიგებთ.



# ოქრო ფოლადის პირზე

რუსთავს საჩემპიონო თამაშები დაებედა. 5 მაისს „ოლიმპი" — „დინამოს" ნულოვანმა ფრემ კითხვის ნიშნები დატოვა და დიდი შანსია, დღეს მოეხსნას — ეს იმ შემთხვევაში, თუ რუსთაველები მომხდურ „ამერს" მოუგებენ.

გლდანელებს „ისე რა" თამაში არ სჩვევიათ, „ოლიმპთანაც" ომს აპირებენ და ასეც უნდა იყოს: თასის ფინალი თასის ფინალად და, საპრიზო მესამე ადგილიც როდია ურიგო...

ბოლოსწინა, 25-ე ტურში კიდევ ექვსი თამაშია, მაგრამ მთავარი ამბები რუსთავის „ფოლადზე" იქნება...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 24 | 18 | 5 | 1 | 53:7 | 59 |
| დინამო | 24 | 18 | 2 | 4 | 48:17 | 56 |
| ამერი | 24 | 16 | 5 | 3 | 50:14 | 53 |
| ზესტაფონი | 24 | 14 | 9 | 1 | 45:10 | 51 |
| ვიტ ჯორჯია | 24 | 12 | 8 | 4 | 39:24 | 44 |
| სიონი | 24 | 11 | 4 | 9 | 27:20 | 37 |
| ტორპედო | 24 | 9 | 4 | 11 | 22:29 | 31 |
| ბორჯომი | 24 | 8 | 6 | 10 | 28:32 | 30 |
| ბათუმი | 24 | 7 | 6 | 11 | 24:26 | 27 |
| ლოკომოტივი | 24 | 6 | 6 | 12 | 17:32 | 24 |
| ჩიხურა | 24 | 5 | 6 | 13 | 13:36 | 21 |
| მერანი | 24 | 4 | 8 | 12 | 15:41 | 20 |
| დილა | 24 | 2 | 5 | 17 | 15:55 | 11 |
| კახეთი | 24 | 0 | 2 | 22 | 20:74 | 2 |

# დღეს ბრიტანეთი ესპანეთია



ერნესტო ვალვერდე და ხუანდე რამოსი




# UEFA CUP FINAL



# პროფლიგა ძალიან ფინალს გვპირდება, რუსთავი — ხარისხს

**26 მაისი** და საქართველოს თასის ფინალი ახლოვდება. „ამერი“ და „ზესტაფონი“ ზედიზედ მეორედ გაარკვევენ ამ ფრიად საპატიო პრიზის პატრონის ვინაობას. ჯერჯერობით კი თასი „ამერისაა“, ხოლო „ზესტაფონი“ ფინალს ასევე ზედიზედ მესამედ ითამაშებს, „ამერამდე“ იმერლები თბილისის „ლოკომოტივთანაც“ დამარცხდნენ.

წლევანდელი ფინალი განსაკუთრებული სხვა მხრივაც იქნება, ისე იქნება ორგანიზებული, როგორც არასდროს. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა უკვე რა ხანია, ამ საქმეზე მუშაობს. პროფლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა ადრევე თქვა, რომ ფინალური მატჩის ტელერეპორტაჟისთვის ბრიტანელი პროდიუსერი და რეჟისორი უნდა მოეწვიათ, გუშინ კი ეს ერთხელაც გაიმეორა და „რუსთავი 2“-ის გენერალურ დირექტორ კობა დავარაშვილთან ურთიერთთანამშრომლობის კონტრაქტი გააფორმა.

პრესკონფერენცია-პრეზენტაცია „რუსთავი 2“-ის ოფისში შედგა და, ცხადია, თასის ფინალს მიეძღვნა. რამიშვილსა და დავარაშვილს გვერდით კომპანია „ყაზბეგის“ პრეზიდენტი გოგი თოფაძე და ჩვენი კოლეგა დიმიტრი ობოლაძე ედგნენ. „ყაზბეგი“ კი, მოგეხსენებათ, პროფლიგისა და თასის გათამაშების სპონსორია.

**დიმიტრი ობოლაძე:** ფინალური მატჩის პირდაპირი რეპორტაჟი ეროვნული სტადიონიდან თამაშამდე ნახევარი საათით ადრე დაიწყება და 12 კამერა იმუშავებს. მატჩისადმი ინტერესს ის ფაქტიც აორმაგებს, რომ „ამერი“ და ზესტაფონი“ ფინალში ზედიზედ მეორედ ითამაშებენ. ძალიან დაძაბული და საინტერესო მატჩი გველის.

**კობა დავარაშვილი:** ახლა, როცა ქართულ ფეხბურთში ასეთი დაძაბული ვითარებაა, ყველაფერი პოზიტიური ორმაგად მისასალმებელია და ვფიქრობთ, რომ ქართული ფეხბურთის გვერდით ყოფნა ყველა ჩვენგანის ვალია, მით უმეტეს, მასმედიის. მადლობა ყველას, „რუსთავი 2“ ყველანაირად ეცდება, ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციის საქმეში თავისი წვლილი შეიტანოს და 26 მაისის ფინალური მატჩი მაქსიმალურად ხარისხიანად აჩვენოს. რეპორტაჟს დიმიტრი ობოლაძე გაუძღვება. მომავალი სეზონიდან კი „რუსთავი 2“ ქართულ ფეხბურთს გაცილებით მეტ საეთერო დროს დაუთმობს.

**დიმიტრი რამიშვილი:** ნელ-ნელა და მიზანმიმართულად მივიწევთ მიზნისკენ — ქართული ფეხბურთით არა მხოლოდ საქართველოში, უცხოეთშიც უფრო მეტად დაინტერესდნენ. პროფლიგა თავისი პარტნიორებისგან და სპონსორებისგან დიდ მხარდაჭერას გრძნობს და ამისთვის მათი მადლობლები ვართ. მადლობა „ყაზბეგს“, ჩვენ უკვე რამდენიმე ერთობლივი პროექტი განვახორციელეთ და მომავალშიც ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას ვაპირებთ. სპონსორებისა და პარტნიორების დახმარებით დაინტერესებულ ტელეკომპანიებს მაქსიმალურად სრულყოფილ პროდუქტს მივაწვდით. საქართველოს თასს უკვე ჰყავს პატრონი, ფინალი მაღალ დონეზე იქნება ორგანიზებული, „რუსთავი 2“ კი ხარისხიან რეპორტაჟს უზრუნველყოფს. ეს ყველაფერი უფრო დიდი და კარგი საქმეების დასაწყისია.

**გოგი თოფაძე:** მადლობა „რუსთავი 2“-ს, რომელიც დაინტერესდა ამ ფინალური მატჩით და ზოგადად ქართული ფეხბურთით. ჩვენი ფეხბურთი ისე ვერ განვითარდება, თუ ყველა ერთად არ დავდექით და ფეხბურთს არ დავეხმარეთ. ეს საერთო საქმეა და ის ჩვენი ეროვნული სიამაყე უნდა იყოს.

**კობა ინასარიძე**

# ბურდულმა მეტალისტი გაამხილა



საქართველოს ნაკრებისა და კრივოი როგის „კრივბასის“ ნახევარმცველმა ვლადიმერ ბურდულმა ტრავმა მოირჩინა და ორი დღეა, ვარჯიშს შეუდგა. მის არყოფნაში კრივოიროგელებმა ოთხი მატჩი წააგეს და ერთი ფრედ ითამაშეს. ამასობაში გუნდის მწვრთნელ ოლეგ ტარანს კლუბის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა დაეძაბა და ახლა ჩვენებურის იმედზეცაა, თუმცა ლადო „კრივბასთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებას აღარ აპირებს და ახალი კლუბის ძიებაშია — მსურველები უკვე ჰყავს...

— ორი დღეა, სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. მომავალი ტურისთვის მზად ვიქნები. ტარანი ჩემზეც და ყოფილი მწვრთნელის, ალექსანდრ კოსევიჩის ხალხზეც ამრეზილი იყო და ახალი ფეხბურთელებიც მოიყვანა. თუმც ბოლო ტურებში ხელმძღვანელობა მისით უკმაყოფილოა და შედეგს სთხოვს. ვარჯიშის შემდეგ ცალკე მესაუბრა და მითხრა მომავალი თამაშებისთვის შენი იმედი მაქვსო.

**— რაღა აზრი აქვს, გუნდმა ევროტურნირის შანსი უკვე დაკარგა...**

— მართალია, მაგრამ რეპუტაციას უფრთხილდება. ახლა თამაშის ხარისხი თუ არ გამოასწორა, შესაძლოა, გუნდიდან გაუშვან, ალბათ მაინც გაუშვებენ.

**— მისი წასვლის შემთხვევაშიც დატოვებ „კრივბასს“?**

— კონტრაქტი მაისის ბოლოს მთავრდება და ალბათ აღარ გავაგრძელებ. რამდენიმე კლუბი მეპატიჟება, მათ შორის სამ-ოთხი უკრაინული გუნდი ახლავე მთავაზობს კონტრაქტს. არის დასავლეთევროპული ვარიანტებიც.

**— ვერ დააკონკრეტებ?**

— ჯერჯერობით ვერა.

**— როგორც გავიგეთ, უკრაინული გუნდებიდან ერთ-ერთი ხარკოვის „მეტალისტია“...**

— ეგ ვარიანტიც არის, თუმც გადაწყვეტით ჯერ ვერაფერს ვიტყვი, რომელიც უკეთესი იქნება, იმას ავირჩევ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

საქართველოს თასის ყაზბეგის გათამაშების ფინალი
26 მაისი ეროვნული სტადიონი
ამერი VS ზესტაფონი
www.pfl.ge
დასაწყისი 20:00 საათზე - ბილეთის ფასი 2, 3, 5 ლარი
მთავარი სპონსორი
ოფიციალური სპონსორი
ფოლკსვაგენი VOLKSWAGEN
პარტნიორი
სპონსორები
i'm lovin' it
საინფორმაციო მხარდაჭერა
ოლიმპი
11×11
24

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქეები

# მაკლიში და სამი დებიუტანტი

**ჩვენს** მეტოქეთაგან 2 და 6 ივნისის თამაშებისთვის შემადგენლობა პირველად შოტლანდიის ნაკრების თავკაცმა ალექს მაკლიშმა დაასახელა. მაკლიშის გუნდი 2 ივნისს ავსტრიას ამხანაგურად, ხოლო 6 ივნისს ფარერებს ოფიციალურად გაეჯიბრება.

ცხოთთა თავკაცმა შემადგენლობა რამდენადმე გადაახალისა. გუნდში სამი დებიუტანტია: რეინჯერსელები, ალან ჰატონი და ჩარლი ადამი, ასევე „დერბის“ მცველი ჯეიმს მაკეილი. გუნდს დაუბრუნდებიან მანჩესტერელი დარენ ფლეტჩერი და ევერტონელი ჯეიმს მაკფადენი, რომლებმაც იტალია-საქართველოსთან მატჩები ტრავმისა და დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვეს.

„ჰატონმა შოტლანდიის ჩემპიონატში კარგად ითამაშა. ის 22 წლისაა და თავის გამოჩენის შანსს მივცემ. სასიამოვნოა, რომ გუნდიან ერთად იქნებიან ფლეტჩერი და მაკფადენი. ამ შემადგენლობით ჯგუფიდან გასვლის რეალური შანსები გვაქვს“ — განაცხადა მაკლიშმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**მეკარეები:** კრეიგ გორდონი (ჰართსი), ალან მაკგრეგორი (რეინჯერსი), იენ ტერნერი (ევერტონი);

**მცველები:** გრემ ალექსანდერი (პრესტონი), რასელ ანდერსონი (აბერდინი), გარი კოლდუელი, სტივენ მაკმანუსი, სტივენ პრესლი (სელტიკი), ალან ჰატონი, დევიდ ვეირი (რეინჯერსი), ჯეიმს მაკეილი (დერბი), გარი ნეისმიტი (ევერტონი);

**ნახევარმცველები:** ჩარლი ადამი, ბარი ფერგიუსონი (რეინჯერსი), სკოტ ბრაუნი (ჰიბერნიანი), პოლ ჰარტლი (სელტიკი), დარენ ფლეტჩერი (მანჩესტერი), ლი მაკკალუხი, გარი ტილი (უიგანი);

**თავდამსხმელები:** კრეიგ ბიტი, კენი მილერი (სელტიკი), კრის ბოიდი (რეინჯერსი), ჯეიმს მაკფადენი (ევერტონი), შონ მელონი (ასტონ ვილა).

### ავსტრია

I დივიზიონი. XXXI ტური

ადმირა 0:2 შვანენშტადტი
ავსტრია (ზ) 2:1 პარტბერგი
ლუსტენაუ 2:1 კაპფენბერგი
გრატკორნი 2:0 კერნტენი
ლინცერი 3:2 ავსტრია (ლ)
ლეობენი 1:0 პარნდორფი

### პოლონეთი

I ლიგა. გადადებული მატჩი

პლოცკი 0:1 ლეჩნა

ლიგის თასი. 1/4 ფინალი
I მატჩები

ბელხატოვი 1:0 კორონა
ზაგლებე 3:3 ვროცლავი

### იტალია

სერია B. XXXVIII ტური

ბრეშა 0:1 ნაპოლი

### ინგლისი

ჩემპიონატი. პლეი ოფი
1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

დერბი 2:3დ.დ.(4:3პ)საუთჰემპტონი (2:1)

### სლოვაკეთი

I ლიგა. პლეი ოფი
XI ტური

არტმედია 3:2 კოშიცე
სენეცი 0:5 ჟილინა

### შვედეთი

ალსვენსკა. VI ტური

ჰელსინგბორგი 0:1 მალმიო

თასის 1/16 ფინალი

დეგერფორსი 3:2დ.დ. (2:2) ატვიდაბერგი

### სერბეთი

თასის ფინალი

ვოივოდინა 0:2 ცრვენა ზვეზდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს 18 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა · II წრე. 25 ტური · ანონსი

# მაისის მეორე საჩემპიონო მატჩი



**რუსთავი. 16 მაისი. 17 საათი. ფოლადი**

## ოლიმპი — ამერი

**მსაჯები:** მ. მაისურაძე; ს. სპიტინი, მ. ესუბაძე; ვ. გუმბერიძე

### პირველ წრეში 2:2

53:7 — შთამბეჭდავი ბურთების შეფარდება აქვს „ოლიმპს" და კარგა ხანია, ლიდერობა ხელიდან არ გაუშვია. რევაზ ძოძუაშვილის გუნდს ორი ნაბიჯი აშორებს ჩემპიონობამდე, ამ ორიდან კი ვეება ნაბიჯის გადადგმას დღეს შეეცდება: „ამერს" მასპინძლობს და სიტუაცია ისეთია, ფრეც რომ ითამაშოს, ალბათ უკვე ჩემპიონია, რადგან ბოლო ტურში უმოტივაციო და დაუძლურებულ „ტორპედოს" ესტუმრება. „ამერს" კი მესამე ადგილზე გასვლა სურს.

პირველ წრეში „ოლიმპმა" მისალმებაც არ დააცადა ამერს", ისე გაუტანა გლდანში ორი გოლი, თუმც 2:2-ს დასჯერდა. რევაზ ძოძუაშვილი და გიორგი ჩიხრაძე: ისინი სხვადასხვა თაობის და სხვადასხვა საფეხბურთო ხედვის მწვრთნელები არიან. გამოცდილება და პერსპექტიულობა — ასეც შეიძლება დავარქვათ ძოძუაშვილ-ჩიხრაძის დღევანდელ ბრძოლას.

და კიდევ, ძალიან კარგი იქნება, თუ 5 მაისის დარად დღესაც ბოლომდე შეივსება „ფოლადის" ტრიბუნები. კაცმა რომ თქვას, დღესაც საჩემპიონო მატჩია, ოღონდ ცალმხრივად...

„ოლიმპს" შედარებით თავდასხმაში უჭირს — გუნდს სეზონში ყველაზე ბევრი ბურთი კი აქვს გატანილი, თუმც რამდენ საგოლე მომენტს ანიავებს, ისიც ვთქვათ.

რევაზ გეწაძე, თორნიკე აფციაური, რევაზ გოცირიძე და გიორგი კახელიშვილი „ოლიმპიდან", რატი წინამძღვრიშვილი, სულიკო დავითაშვილი, დიმიტრი ტატანაშვილი, დავით ბოლქვაძე და გრიგოლ დოლიძე „ამერიდან" — სადღეისო ცენტრალური მატჩის მთავარი შემტევები ესენი არიან და გემოვნების ამბავია, ვინ რომელს თვლის უფრო ძლიერად და ვინ რომელს...

**რევაზ გეწაძე:** შეიძლება ითქვას, ხვალ „ოლიმპისთვის" ყველაფერი წყდება. ჩვენთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თამაშისთვის კარგ ხასიათზე ვართ. ეგაა, ლადო დვალიშვილს ტრავმა აწუხებს და გიორგი ნავალოვსკი ყვითლების გამო ვერ ითამაშებს.

–„ამერი" გამართული გუნდია, ლიდერთა ჯგუფშია და პოტენციალით საქართველოში არავის ჩამორჩება, ასე რომ, ადვილ თამაშზე ლაპარაკიც ზედმეტია. „ამერიდან" დავით ბოლქვაძეს გამოვარჩევ.

– ცხრილს თუ გადავხედავთ, ფრეც კარგი შედეგი იქნება „ოლიმპისთვის", თუმც მოსაგებად გავალთ მინდორზე, ანუ, იგივე სიტუაციაა, როგორიც „ოლიმპ" — „დინამოს" წინ იყო.

–წინა ტურში „დილასთან" მხოლოდ მეორე ტაიმი იმიტომ ვითამაშე, რომ ძალა დამეზოგა და ზედმეტად არ გადავღლილიყავი.

**სულიკო დავითაშვილი:** ჩვეულებრივად ვემზადებით „ოლიმპთან" თამაშისთვის. „ამერისთვის" ყველა მატჩი მნიშვნელოვანია, პროფესიონალები ვართ და მოგება გვინდა. ასე რომ, როგორც „კახეთთან" გავდივართ სათამაშოდ, ისე გავალთ „ოლიმპთანაც".

– „ოლიმპი" ძალიან ძლიერია, რაც ცხრილიდანაც ჩანს. კარგი ფეხბურთელები ჰყავთ, თანაც შინ თამაშობენ და ამ მხრივ უპირატესობა აქვთ.

– თავდამსხმელს გოლის გატანა ყოველთვის უნდა, ეს მისი საქმეა. მაგრამ მაინცდამაინც „ოლიმპთან" უნდა გავიტანო ჩემპიონატში მეასე ბურთი-მეთქი, ასე არ ვარ. ხვალ თუ ვერ შევაგდებ, შემდეგ თამაშში შევაგდებ, ან სულაც მომდევნო ჩემპიონატში.

## დისკვალიფიცირებულნი

**კახეთი:** გიორგი კველიშვილი, დიმიტრი გერგიშვილი; **ჩიხურა:** ჯაბა დვალი, კახა მახარაძე, გიორგი ქუცურუა; **ზესტაფონი:** ვიეირა; **ვიტ ჯორჯია:** გიორგი დათუნაიშვილი, **დინამო:** ნედ ზელიჩი; **ლოკომოტივი:** ქიქიკო თუთბერიძე; **დილა:** გურამ სამადაშვილი; **ოლიმპი:** გიორგი ნავალოვსკი

**მცხეთა. 16 მაისი. 17 საათი. არმაზი**

## ვიტ ჯორჯია — დილა

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია; თ. ხუჭუა, დ. კურტანიძე; ლ. სილაგავა

### პირველ წრეში 6:0

საწყალ „დილას" მეორე წრეში ცოტა გამონათება დაეტყო, ლამის სულ არეულობაში და გაჭირვებაში მყოფ გუნდს ზამთარში პატრონი გამოუჩნდა, ინფრასტრუქტურულადაც გამოკეთდა — გორში სტადიონის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს, მაგრამ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

„ვიტ ჯორჯია" კი მეხუთე ადგილზე დარჩა და ეგებ მისთვის კარგად ნაცნობ ინტერტოტოს თასზე ითამაშოს.

**თბილისი. 16 მაისი. 17 საათი. შევარდენი**

## მერანი — ტორპედო

**მსაჯები:** დ. სანაია; ზ. ჯვარიძე, ა. კოკაია; გ. ვადაჭკორია

### პირველ წრეში 1:3

თბილისელები საპლეიოფო მეთორმეტე საფეხურზე არიან და უეჭველი მოგება სჭირდებათ, „ტორპედოს", კი, მეშვიდეზე გავა თუ მერვეზე, დიდად არ ანაღვლებს. „მერანი" ბოლო ტურებში ზედიზედ აგებს, ისევე, როგორც „ტორპედო" — ვნახოთ, ვინ შეწყვეტს ნულოვან სერიას. ისე, დარჩენილ ორ ტურს თუ გადავხედავთ, მერანელებს მეთერთმეტეზე აცოცების კარგი შანსი აქვთ.

**გორი. 16 მაისი. 17 საათი. ქართლი**

## ჩიხურა — დინამო

**მსაჯები:** ა. ნინიკაშვილი; ი. უკლება, ზ. ერქვანია; ზ. ასკაროლლი

### პირველ წრეში 1:3

„დინამოს" ისეთი პერიოდი უდგას, ერთი წაფორხილების უფლებაც კი არა აქვს. „ჩიხურა" კი სხვა სარტყელშია — ყველანაირად ცდილობს, მეთორმეტე ადგილზე „მერანი" დატოვოს. საჩხერელებს „დინამოდან" ზვიად სტურუა, რევაზ ქემოკლიძე, დავით გიგაური, კახა მახარაძე, გიორგი ქუცურუა, ჯაბა დვალი და თამაზ ჩარგეიშვილი იჯარით ჰყავთ აყვანილი და შეთანხმებისამებრ, დღეს თამაში არ ერგებათ. ეს კი თითქმის მთელი გუნდია. ვეჭვობთ, ზემოიმერლებს თბილისელებთან მოგების დიდი იმედი ჰქონდეთ — ალბათ, ბოლო ტურში „დილასთან" თამაშისთვის ილესავენ კბილებს, თუმც კონკურენტმა „მერანმა" რომ დარჩენილი ორივე მატჩი მოიგოს?.. „დინამოს" სანდრო იაშვილი კი გოლების იშტაზეა, ჩემპიონატის ბომბარდირობა თითქმის გაინაღდა და ვნახოთ, მთავარს — ჩემპიონობას თუ გამოჰკრავს ხელს.

**თბილისი. 16 მაისი. 17 საათი. მიხეილ მესხი**

## ლოკომოტივი — სიონი

**მსაჯები:** ო. ხუციძე; ო. მოლოდინაშვილი, კ. ბუდურაშვილი; მ. ბეუქლიშვილი

### პირველ წრეში 0:1

თუ რომელიმე გუნდისთვის ამ მატჩს ინტრიგას აქვს, ეს „ლოკომოტივია" — გიორგი კიკნაძის გუნდი ოთხი ქულითაა დაშორებული საპლეიოფო ზონიდან, ასე რომ, დღევანდელი მოგებით თავს ქუდში დურთავს. „ლოკომოტივს" 16 წლის ლევან ყენია შეემატება, რომელიც „შალკეს" 19-წლამდელთა გუნდიდან დაბრუნდა. „სიონისთვის" კი სეზონი, ფაქტობრივად, დამთავრებულია — მეექვსე ადგილზე დარჩა და დარჩა.

**ბათუმი. 16 მაისი. 17 საათი. ადელი**

## ბათუმი — ბორჯომი

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი; ვ. ბერაძე, დ. სანიკიძე; გ. კიკაჩეიშვილი

### პირველ წრეში 0:0

სამ საუმაღლესლიგო ურთიერთშეხვედრაში „ბორჯომს" „ბათუმისთვის" გოლი არ გაუტანია. ზღვისპირულ თამაშში სხვა არაფერი ინტრიგაა, გარდა იმისა, რომ სტუმრებს მეშვიდე ადგილზე გასვლის შანსი აქვთ.

ბათუმელებმა წინა ტურში „ჩიხურას" ძლევით პლეი ოფში დაქვეითების ყველა ეჭვი მოსპეს.

**ზესტაფონი. 16 მაისი. 17 საათი. ცენტრალური**

## ზესტაფონი — კახეთი

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, ნ. რუსიშვილი, მ. ნაკაიძე, გ. კიკაჩეიშვილი

### პირველ წრეში 2:0

ტურის ყველაზე იოლად საპროგნოზო თამაშია. „ზესტაფონი" თასის ფინალს კი ელის, მაგრამ მესამე ადგილზე გასვლაც შეუძლია და რატომაც არ იბრძოლებს?! არა, კონკრეტულად თელაველებთან თამაშში ფეროელებს ბრძოლა არ სჭირდებათ, მაგრამ გავლენ თუ არა მესამეზე, ეს პირველ რიგში „ამერზეა" დამოკიდებული.

და ერთიც, ზურაბ იონანიძეს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 199 გოლი გაუტანია და დამრგვალებას დღეს შეეცდება. „იონას" ამ რეკორდს, ალბათ, კარგა ხანს ცივი ნიავი არ მიეკარება.



# ლევან ყენია: ზაფხულიდან შალკეში ვარ

**ლევან ყენია** „შალკეს" 19-წლამდელთა გუნდს დაეთხოვა ჩამოვიდა და ხვალ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ელიტ-რაუნდზე გაჰყვება. ზამთარში ნიჭიერი შემტევის ესპანურ „ლევანტეში" გადასვლა თითქმის გადაწყვეტილი ამბავი იყო, თუმც ყენია არასრულწლოვანია და სავიზო პრობლემების გამო ეს ვარიანტი აქტუალური აღარაა.

„ყველაფერი კარგადაა, გელზენკირხენიდან იმედით ჩამოვედი. „შალკეს" 19-წლამდელთა მწვრთნელმა ზაფხულისთვის დამიბარა. კლუბის ხელმძღვანელობაც ამბობს, 18 წლამდე კონტრაქტის გაფორმებას შევძლებთ და ყენიას „შალკეს" U19-ში თამაში შეეძლებაო. რაც იქ ვიყავი, გუნდს ორმა მატჩმა მოუწია და მეორე დღეს ვარჯიშები არ ტარდებოდა, ამიტომაც ხუთი დღე ვივარჯიშე. თავიდან ცოტა გამიჭირდა ფიზიკურად, რადგან ნამგზავრი ვიყავი, თუმც მერე ყველაფერი კარგად აეწყო: საერთოდ არ მიგრძვნია, რომ ორი წლით უფროსებთან ვვარჯიშობდი" — გვითხრა ლევანმა.

ყენიას გელზენკირხენში თბილისის „ლოკომოტივის" მთავარი მწვრთნელის ასისტენტი ზაზა ზამთარაძე ახლდა, ბინად კი ხან ბაზაზე ცხოვრობდა, ხანაც ლევან კობიაშვილთან.

„კობიაშვილს დიდ პატივს სცემენ, რა თქმა უნდა, მეც ბევრი რჩევა მომცა."

16 წლის შემტევი „შალკეს" მარტში, გერმანია — საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების თამაშზე მოსწონებია.

„მათ მანამდეც იცოდნენ ჩემზე, გერმანელებთან მატჩისას მაკვირდებოდნენ და გასინჯვაზე ჩასვლა შემომთავაზეს".

„შალკესა" და ყენიას ახლანდელ კლუბ „ლოკომოტივს" შორის მოლაპარაკებები დაწყებულია. წესით, არანაირი სავიზო და საბუთების პრობლემები აღარ უნდა შეიქმნას — გადაწყვეტილია, რომ ლევანი ზაფხულიდან „შალკეს" 19-წლამდელებში იბურთავებს: ამ ასაკსაც თავისი ბუნდესლიგა აქვს.

ყენიას ეიმედება, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ელიტ-რაუნდში მიზანს მიაღწევს, ეს მიზანი კი შოტლანდია-თურქეთ-პორტუგალიის კომპანიაში პირველ ადგილზე გასვლაა, რაც ფინალური ეტაპის საგზურს იძლევა.

**ილია ნანობაშვილი**

GLASGOW 2007

ეროვნული ბიბლიოთეკა

CUP FINAL

UEFA CUP

## უეფას თასი 2006-2007 ფინალი

# ცხოვრების მატჩის ინტერპრეტაციები

## დღეს დიდი ევროპის პატარა ფინალია

16 მაისი. გლაზგო
„ჰემპდენ პარკი“. 22:45 საათი

**ესპანიოლი (ესპანეთი) — სევილია (ესპანეთი)**

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

**დისკვალიფიცირებულნი:**
ესპანიოლი: არავინ; სევილია: არავინ

**ევროპული ურთიერთშეხვედრები:**
*არ შეხვედრიან*

**„ესპანიოლის“ გზა ფინალამდე:**

| | |
|---|---|
| პირველი ეტაპი | არტმედია (სლოვაკეთი) — ესპანიოლი 2:2, 1:3 |
| ჯგუფური ეტაპი | სპარტა (ჩეხეთი) — ესპანიოლი 0:2 |
| ჯგუფური ეტაპი | ესპანიოლი — ზულტე-ვარეგემი (ბელგია) 6:2 |
| ჯგუფური ეტაპი | აიაქსი (ჰოლანდია) — ესპანიოლი 0:2 |
| ჯგუფური ეტაპი | ესპანიოლი — აუსტრია (ავსტრია) 1:0 |
| მეთექვსმეტედფინალი | ლივორნო (იტალია) — ესპანიოლი 1:2, 0:2 |
| მერვედფინალი | მაკაბი (ისრაელი) — ესპანიოლი 0:0, 0:4 |
| მეოთხედფინალი | ესპანიოლი — ბენფიკა (პორტუგალია) 3:2, 0:0 |
| ნახევარფინალი | ესპანიოლი — ვერდერი (გერმანია) 3:0, 2:1 |

**„სევილიას“ გზა ფინალამდე:**

| | |
|---|---|
| პირველი ეტაპი | ატრომიტოსი (საბერძნეთი) — სევილია 1:2, 0:4 |
| ჯგუფური ეტაპი | ლიბერეცი (ჩეხეთი) — სევილია 0:0 |
| ჯგუფური ეტაპი | სევილია — ბრაგა (პორტუგალია) 2:0 |
| ჯგუფური ეტაპი | გრასჰოპერი (შვეიცარია) — სევილია 0:4 |
| ჯგუფური ეტაპი | სევილია — ალკმაარი (ჰოლანდია) 1:2 |
| მეთექვსმეტედფინალი | სტიაუა (რუმინეთი) — სევილია 0:2, 0:1 |
| მერვედფინალი | სევილია — შახტარი (უკრაინა) 2:2, 3:2დ.დ.(2:2) |
| მეოთხედფინალი | სევილია — ტოტენჰემი (ინგლისი) 2:1, 2:2 |
| ნახევარფინალი | ოსასუნა (ესპანეთი) — სევილია 1:0, 0:2 |

### ფაქტები

ერთი ქვეყნის გუნდები მეათედ ხვდებიან ფინალში. აქედან მეოთხედ შედგა ესპანური წყვილი: 1962-ში „ვალენსიამ“ მოუგო „ბარსას“, 1964-ში „სარაგოსამ“ „ვალენსიას“, 1966 წელს „ბარსელონამ“ „სარაგოსას“.

რაკი დღეს თასს ესპანური გუნდი მოიგებს, ეს იქნება 29-ე ევროთასი პირინეული კლუბებისთვის და ამით ინგლისს (28) გადაასწრებენ.

უეფას თასი კი ათ-ათჯერ მოუგიათ იტალიელებს და ინგლისელებს, ესპანელები დღეს მეთერთმეტეს აიღებენ.

### ფინალები გლაზგოში

1960: ჩემპიონთა თასი. „რეალი“ — „აინტრახტი“ 7:3

1962: თასების თასი. „ატლეტიკო“ — „ფიორენტინა“ 1:1 (გადათამაშება შტუტგარტში „ატლეტიკომ“ 3:0 მოიგო)

1966: თასების თასი. „დორტმუნდი“ — „ლივერპული“ 2:1

1976: ჩემპიონთა თასი. „ბაიერნი“ — „სენტ ეტიენი“ 1:0

2002: ჩემპიონთა თასი. „რეალი“ — „ლევერკუზენი“ 2:1

**25. კარლოს კამენი, 23 წლის** — კამერუნის ნაკრების მეკარე, რომელიც ჩემპიონატში შეუცვლელად თამაშობს, მაგრამ უეფას თასზე ზოგჯერ გორკა ირაისოსი ცვლიდა. საუცხოო რეაქცია აქვს, მაგრამ ზედმეტად ნერვიულია.

**12. ხუან ველასკო** (29) — დაბადებულია სევილიაში. მარჯვენა მცველია და შეტევაში ჩართვა ეხერხება. კარიერა „სევილიაში“ დაიწყო, სახელი „სელტაში“ გაითქვა, საიდანაც „ატლეტიკოში“, შარშან კი „ესპანიოლში“ გადავიდა.

**19. მარკ ტორეხონი** (21) — ბარსელონაშია დაბადებული. ცოტა ხანი „მალაგა B“-ში იყო, მაგრამ შარშან „ესპანიოლს“ დაუბრუნდა. დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

**21. დანიელ ხარკე** (24) — ბარსელონელია და შარშან ჩაჯდა ძირითადში. ძლიერია ართმევაში, თავითაც კარგად თამაშობს და შეტევაც შეუძლია.

**4. ხოსე მარი ლაკრუსი** (29) — ძალიან გამოცდილია. ცხრა სეზონი გაატარა „ბილბაოში“ და შარშან ზაფხულს „ესპანიოლის“ ფეხბურთელი გახდა.

**14. იტო** (32) — საყრდენი ნახევარმცველი. ექვსი წელი (1991-97) „ესტრემადურაში“ თამაშობდა, შემდეგ იყო „სელტაში“ და „ბეტისში“. „ესპანიოლში“ მესამე სეზონს ატარებს.

**6. ედუარდო კოსტა** (24) — საყრდენია და ცნობილია უხეშობით. ბრაზილიელი ნახევარმცველი ევროპაში „გრემიოდან“ ჩამოვიდა 2001 წელს. მოიარა „ბორდო“ და „მარსელი“, „ესპანიოლის“ მაისური კი ორი წლის წინ მოირგო.

**9. ივან დე ლა პენია** (31) — მთავარი კაცია გუნდში. მოვლილი აქვს „ბარსელონა“, „ლაციო“ და „მარსელი“. საუცხოო გამთამაშებელია და დიდებული პასები ეხერხება. „ესპანიოლში“ 2002 წლიდანაა.

**20. კორომინასი** (24) — ძალიან სწრაფი ფორვარდია. „ესპანიოლის“ აკადემიის აღზრდილია.

**7. ვალტერ პანდიანი** (31) — აქამდე უეფას თასზე 11 გოლი გაიტანა, „რეალთან“ შაბათის მატჩში კი ჰეთ თრიქით გამოირჩა და შესანიშნავ ფორმაშია.

**23. რაულ ტამუდო** (29) — გუნდის თილისმა და ფანების კერპი. „ესპანიოლში“ მეათე სეზონს ითვლის. შვიდი წლის წინ ათი დღით იყო ჩასული „რეინჯერსში“ გასინჯვაზე, მაგრამ ექიმებმა დაიწუნეს და გარიგება არ შედგა.

**24-ათასევროიან** ავტომობილებს დაურიგებს სებასტიან ხავიერი „ესპანიოლის“ თითოეულ ფეხბურთელს, თუ ისინი გლაზგოდან უეფას თასით დაბრუნდებიან.

ხავიერი ბარსელონური კლუბის ვიცე-პრეზიდენტია და შარშან, როცა „ესპანიოლმა“ ესპანეთის თასი მოიგო, მოთამაშეებს შვიდიათასევროიანი საათები აჩუქა.

„თეთრ-ცისფერები“ გლაზგოში მე-19 საუკუნის ციხესიმაგრეში დაბინავდნენ, რომელიც სასტუმროდაა გადაკეთებული.

ტელეკომპანია TV-3-მა (კლუბის ერთ-ერთი სპონსორია) კი „ესპანიოლის“ ქომაგებს შოტლანდიაში მუყაოსგან გამოჭრილი 15 ათასი უეფას თასის ასლი გაატანა.

კლუბის 107-წლოვან ისტორიაში ეს მეორე ევროფინალია. 1988 წელს უეფას თასის ორმატჩიან ფინალში „ლევერკუზენთან“ დამარცხდა — შინ 3:0 სძლია, სტუმრად კი ასეთივე ანგარიშით წააგო და პენალტებში გერმანელებმა იმარჯვეს.

მაშინდელი „ესპანიოლის“ მოთამაშე იყო ამჟამინდელი მწვრთნელი ერნესტო ვალვერდე...

კატალონიელები პრიმერადივიზიონში მე-12 ადგილზე არიან. მომავალ სეზონში ევროთასებზე გასასვლელად მხოლოდ ერთი გზა აქვთ — დღეს უნდა მოიგონ. მართალია, ჩემპიონატში ვერ ბრწყინავენ, მაგრამ უეფას თასის მეოთხედფინალში „ბენფიკას“, ხოლო ნახევარფინალში „ვერდერს“ სძლიეს და ეს მათ სიძლიერეზე მეტყველებს.

გარდა ამისა, არის „ბარსელონას“ ფაქტორიც — ტრადიციულად, „ესპანიოლი“ მუდამ მოქცეულია თანაქალაქელი „ბარსას“ ჩრდილში და ახლა ნიშნის მოგების შანსი აქვს. პრიმერადივიზიონის დასრულებამდე ოთხი ტურია დარჩენილი და ფრანკ რაიკარდის გუნდი, შესაძლოა, ჩემპიონი ვერ გახდეს, „ესპანიოლი“ კი ფინალში გამარჯვების შემთხვევაში „ბარსელონას“ ცხვირწინ უეფას თასს დაუდგამს...

„ეს ჩვენი ცხოვრების მატჩია“ — თქვა ესპანიოლელმა ფრანსისკო რუფეტემ, რომელმაც სამი წლის წინ „ვალენსიას“ შემადგენლობაში მოიგო უეფას თასი.

ბარსელონურმა კლუბმა ჩემპიონატის ბოლო ტურში „რეალთან“ 3:4 წააგო და ჰეთ თრიქი ვალტერ პანდიანიმ შეასრულა, ვინც უეფას თასის ბომბარდირია 11 გოლით. მას შეუძლია, იურგენ კლინსმანის რეკორდი გაიმეოროს — საამისოდ კი ფინალში ოთხის გატანა დასჭირდება. მიუნხენის ბაიერნელმა კლინსმანმა 1995-1996 წლების სეზონში ამ ტურნირში 15 გოლი შეაგდო.

„რეალთან“ ვალვერდემ ივან დე ლა პენია და რაულ ტამუდო დაასვენა, რათა „სევილიასთან“ უფრო ყოჩაღად ითამაშონ.

თასის შარშანდელ მფლობელ „სევილიას“ კი „რეალის“ შედეგის გამეორება უნდა — მადრიდელებმა 1985 და 1986 წლებში ზედიზედ მოიგეს თასი.

ხუანდე რამოსის გუნდი ჩემპიონატშიც პირველობისთვის იბრძვის და ესპანეთის თასის ფინალშიცაა გასული. დღეს თუ მოიგებენ, ამ სეზონში „ჰეთ თრიქის“ შესრულების შანსი ექნებათ.

— „ესპანიოლი“ ყოველთვის რთული მეტოქე იყო ჩვენთვის. მე ამ გუნდთან ძველი ამბებიც მაკავშირებს, რადგან ადრე ვწრთნიდი — თქვა რამოსმა, რომელიც ზოგიერთ ესპანიოლელ ფეხბურთელთან ნაჩხუბარია — ორი წლის განმავლობაში, რაც „სევილიას“ ვთავკაცობ, „ესპანიოლს“ მხოლოდ ერთხელ, რამდენიმე კვირის წინ მოვუგეთ და სულაც არ ვფიქრობ, რომ ჩემი გუნდი ფავორიტია“.

სევილიელებს ტრავმირებული არავინ ჰყავთ. მხოლოდ ფრედერიკ კანუტი უჩიოდა საზარდულის ტკივილს, მაგრამ მომჯობინდა. დანიელ ალვეშმა განაცხადა, თასი თუ მოვიგეთ, ტორეადორის სამოსში გამოვეწყობი და ისე ვივლიო...

**ვაჟა ხუციშვილი**

**1. ანდრეს პალოპი** (34) — ექვსი წელი გაატარა „ვალენსიაში“ სანტიაგო კანისარესის ჩრდილში და შარშან გადავიდა „სევილიაში“. „შახტართან“ მერვედფინალურ, დონეცკურ მატჩში ბოლო წუთზე თავით უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა, დამატებით დროში კი ერნესტო ჩევანტონის გოლით გუნდი მეოთხედფინალში გავიდა.

**4. დანი ალვეში** (23) — ბობოლა ევროპული კლუბები მთელი წელია, ნადირობენ მასზე, მაგრამ კლუბის პრეზიდენტი ჯერ არ უშვებს. ბრაზილიელი მარჯვენა მცველია, თუმც, შეიძლება ითქვას, რომ გუნდის მთავარი ფეხბურთელია. ბოლო ორი სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა.

**2. ხავი ნავარო** (33) — უგამოცდილესი ცენტრალური მცველი, რომელსაც საჯარიმოების კარგად შესრულება შეუძლია.

**16. ანტონიო პუერტა** (22) — მისმა გოლმა შარშან ნახევარფინალში „სევილიას“ გერმანულ „შალკესთან“ მოაგებინა. კლუბის აკადემიის აღზრდილია — სწრაფია და ტექნიკური.

**19. ივიცა დრაგუტინოვიჩი** (31) — სერბეთის ნაკრების ფეხბურთელია. გუნდში შარშან, ლიეჟის „სტანდარდიდან“ გადავიდა.

**15. ხესუს ნავასი** (21) — ამბობენ, რომ ხოსე ანტონიო რეიესზე უკეთესი ფეხბურთელი დადგება.

**6. ადრიანუ კორეირა** (22) — დანი ალვეშის თანაგუნდელი იყო ბრაზილიის ახალგაზრდულ ნაკრებში, რომელმაც 2003 წელს მსოფლიოს ოცწლამდელთა ჩემპიონატი მოიგო.

**8. კრისტიან პოულსენი** (27) — დანიელი ნახევარმცველი, რომელიც შარშან „შალკედან“ იყიდეს. ძალიან იშვიათად ცდება, კარგი პასები ეხერხება და გოლის გატანაც არ ესწავლება.

**11. რენატო** (27) — კიდევ ერთი ბრაზილიელი ნახევარმცველი. სწრაფი და ტექნიკური. „სევილიაში“ მესამე სეზონს ატარებს.

**12. ფრედერიკ კანუტი** (29) — ლონდონური „ვესტ ჰემის“ და „ტოტენჰემის“ ყოფილი ფორვარდი. მალელმა ამ სეზონში 19 გოლი გაიტანა და საუცხოო სეზონი აქვს.

**10. ლუის ფაბიანო** (26) — სევილიაში“ „პორტუდან“ 2005 წელს გადავიდა და ნელ-ნელა უმატებს. ჩემპიონატში 8, უეფას თასზე კი 4 გოლი შეაგდო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სევილიას თავისი თავის უფრო ეშინია დღეს ესპანიოლს კი თავისი გულშემატკივრების

სქოთური გლაზგო ერთი დღით ესპანური გახდება, დღეს „ჰემპდენ პარკზე“ უეფას თასისთვის „ესპანიოლი“ და „სევილია“ იომებენ. ხუანდე რამოსის შეგირდებმა უკვე იციან ამ ჯილდოს გემო — „სევილიამ“ შარშანდელ ფინალში ინგლისური „მიდლსბრო“ 4:0 გაანადგურა. ისე, არც მეტოქისთვისაა უეფას თასის ფინალში თამაში უცხო ხილი — მათ 1987-88 წლების სეზონში თასამდე ერთი ნაბიჯილა აშორებდათ, ოღონდ მაშინ კატალონიურმა გუნდმა გერმანულ „ბაიერთან“ წააგო... მოკლედ, ჩრდილოურ გლაზგოში ანდალუზია კატალონიას შეერკინება, ჩვენ კი „სევილიას“ მთავარ მწვრთნელ ხუანდე რამოსისა და „ესპანიოლის“ პრეზიდენტ დანიელ სანჩეს ლიბრეს მატჩამდელ ნაუბარს გთავაზობთ...



## ხუანდე რამოსი

— ფინალის წინ ყველაზე მეტად რისი გეშინიათ?

— გადამეტებული თავდაჯერების. „სევილია“ ხომ „ესპანიოლს“ ეთამაშება, გუნდს, რომელიც ესპანეთის ჩემპიონატის ცხრილში ჩვენზე დაბლაა და ამან შეიძლება, ფეხბურთელებს აფიქრებინოს, მეტოქეს ადვილად დავამარცხებთო. არადა, „ესპანიოლმა“ ტურნირიდან „ბენფიკა“ და „ვერდერი“ გამოთიშა, რაც ერნესტო ვალვერდეს შეგირდთა სიძლიერეზე მეტყველებს. ეს გუნდი უეფას თასის მოგების სერიოზული კანდიდატია. სწორედ ამიტომ უნდა ვითამაშოთ ფინალში ძლიერად და თავდადებით.

— შაბათს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ეპიკური მატჩი გაიმართა — „ესპანიოლმა“ „რეალთან“ 3:4 წააგო. ამ შეხვედრიდან რა დასკვნები გამოიტანეთ?

— ჩემი აზრით, ლა ლიგა და უეფას თასი აბსოლუტურად განსხვავებული ტურნირებია. პრიმერაში ჩატარებულ მატჩს და გლაზგოურ ფინალს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვთ.

— თუმცა მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ თქვენმა მეტოქემ „რეალთან“ კონტრშეტევებზე შესანიშნავად ითამაშა...

— „ესპანიოლის“ ერთ-ერთი ყველაზე სახიფათო იარაღი კონტრიერიშებია. ამაში ეჭვი არც მეპარება. ჩემს ფეხბურთელებს უკვე მრავალჯერ ვუთხარი, რა ზიანი შეიძლება მიაყენოს ამ გუნდის კონტრშეტევებმა მეტოქეს.

— ორივე ფინალისტი ესპანელია. მაინც რას ფიქრობთ თანამემამულეებთან მოახლოებულ მატჩზე?

— ვფიქრობ, ტაქტიკური ბრძოლა იქნება. ორივე გუნდს კარგად ვიცნობ და ვიცი, რომ „ესპანიოლი“ და „სევილია“ შეეცდებიან, ერთიმეორეს თავიანთი სტილი მოახვიონ თავს. ორივე გუნდმა მშვენივრად იცის, რომ ფინალში მოდუნება არ შეიძლება — მცირედი შეცდომა და, თასი უკვე დაკარგულია... ორივე გუნდს ჰყავს უმაღლესი დონის ფეხბურთელები, რომლებიც გოლის გატანის შანსს ხელიდან არ გაუშვებენ.

— წლების წინ „ესპანიოლმა“ უეფას თასი „ლევერკუზენთან“ წააგო. ხომ არ ფიქრობთ, რომ ბარსელონელები ამის გამო უფრო გაშმაგებულნი მიაკითხავენ „ჰემპდენ პარკს“?

— ვალვერდეს გუნდს გამარჯვების წყურვილი ჰკლავს, ზუსტად ისე, როგორც ჩვენ გვინდოდა მოგება, როდესაც შარშან ეინდჰოვენში მივდიოდით. წარმოიდგინეთ, უკვე კარგა ხანია, „ესპანიოლს“ მსგავსი ტურნირის ფინალში არ უთამაშია და თანაც, ისიც მშვენივრად ახსოვთ, რაც დაემართათ „ლევერკუზენთან“. ვფიქრობ, ეს ფაქტორები „ესპანიოლს“ დამატებით ძალებს შესძენს. ოღონდაც, ნუ ჩათვლიან, რომ „სევილიას“ გატეხვა თუგინდ უზარმაზარი ენთუზიაზმით შეიძლება. ჩვენ, მათგან განსხვავებით, უკვე ვიცით, რასაც ნიშნავს ფინალების მოგება.

— „ლევერკუზენთან“ ბარსელონელთა დამარცხებას როგორ გაიხსენებდით?

— ეს საკმაოდ დიდი ხნის წინ მოხდა და იმ მატჩის დეტალების გახსენება გამიჭირდება — ორივე თამაში ტელევიზორში ვნახე. ვიცი, რომ „ესპანიოლმა“ პირველი ფინალური შეხვედრა 3:0 მოიგო, შემდეგ ამავე ანგარიშით წააგო და ბოლოს პენალტების სერიაში დამარცხდა.

— „ესპანიოლში“ თქვენი მწვრთნელობის პერიოდიდან რა მოგონებები დაგრჩათ?

— არცთუ ისე კარგი. სულ ხუთი მატჩის განმავლობაში ვიყავი ამ გუნდის მწვრთნელი და, ბუნებრივია, ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარი. რა თქმა უნდა, ესეც თავისებური გამოცდილება იყო, ოღონდ ძალიან მწირი და უნაყოფო.

— ახლა ბარსელონურ გუნდს ერნესტო ვალვერდე წვრთნის. „ესპანიოლი“ ვალვერდეს ფეხბურთელობის დროინდელ სათამაშო სტილს მისდევს?

— მწვრთნელი ყოველთვის ცდილობს, გუნდისა და ცალკეული ფეხბურთელების შესაძლებლობანი მაქსიმალურად გამოიყენოს. ვალვერდეს ფეხბურთელობისას ცუდი არ ეთქმოდა, თუმცა „ესპანიოლი“ დღეს სულ სხვა სტილით თამაშობს.

— ივან დე ლა პენიას განსაკუთრებულ მეთვალყურეობას გაუწევთ?

— მასაც და სხვა რამდენიმე ფეხბურთელსაც. დე ლა პენიას თამაში ძალიან მომწონს, საგოლე პასის გაკეთების იშვიათი ნიჭი აქვს.

— რომელ ადგილზე გასვლას იმსახურებს „სევილია“ წლეულს პრიმერადივიზიონში?

— ოთხეულში უეჭველად. ჯერ პრიმერაში არაფერი გადაწყვეტილა, ყველაფერი ბოლო ტურებში გაირკვევა.

— ფიქრობთ, რომ ჩემპიონობასაც მოახერხებთ?

— დიახ. ვფიქრობ, ეს შეგვიძლია. მართალია, წინ სულ რამდენიმე მატჩია დარჩენილი და მეტოქეებიც ეცდებიან, არ წაიბორძიკონ, თუმცა „სევილიას“ საჩემპიონო შანსები ჯერ მაინც არ დაუკარგავს.



## დანიელ სანჩეს ლიბრე

— „ესპანიოლს“ 1997 წლიდან ხელმძღვანელობთ. რა არის თქვენი წარმატების საიდუმლო?

— მუშაობა, ღირსება, საქმისადმი ერთგული დამოკიდებულება და საკუთარი ძალების რწმენა.

— ყველაზე ძვირფასი რა გაიმეტეთ კლუბისთვის?

— ახალგაზრდობის საუკეთესო წლები... ღმერთს მადლობა, რომ შესანიშნავ პროფესიონალებთან ერთად მომიწია მუშაობამ. თუმცა ხანდახან ისიც მითქვამს, ჯანდაბას წაულია ეს ყველაფერი-მეთქი. მთავარია, გჯეროდეს, რომ კლუბი წარმატებებს მიაღწევს. სხვათა შორის, „ესპანიოლს“ უფრო მეტი დაფასება და სახელი აქვს, ვიდრე ამას ზოგიერთები ფიქრობენ.

— რას გულისხმობთ?

— იმას, რომ, ერთი შეხედვით, თითქოსდა უსახურ „ესპანიოლს“ ყველგან ჰყავს გულშემატკივრები. დამიჯერეთ, მე ესპანეთშიც ბევრი მიმოგზაურია და ევროპაშიც — ვიცი, ჩვენი კლუბი როგორ უყვართ.

— საამსეზონოდ „თეთრ-ცისფრები“ ერთადერთნი არიან კატალონიიდან, ევროტურნირის ფინალს რომ მიაღწიეს...

— რაც ოცი წლის წინ დავიწყეთ, იმის მოსავალს ახლა ვიმკით. ბარსელონას მეორე გუნდზე საუბარი კი ახლა არ მინდა, იმათ უამრავი ფანტასტიკური სეზონი ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ „ესპანიოლსა“ და „ბარსელონას“ შორის დამოკიდებულება იდეალურისგან ძალიან შორსაა, ამ კლუბს და მის ინჩადას მაინც დიდად ვაფასებ.

— მაგრამ ამავდროულად „ესპანიოლის“ მიღწევებითაც ძალიან ამაყობთ, ხომ ასეა?

— რასაკვირველია. სამწუხარო ის არის, რომ ფინალის ვერმოგების შემთხვევაში სამომავლოდ უეფას თასზე მონაწილეობას ვერ მივიღებთ. უნდა ვეცადოთ, რომ ყოველი ხუთი სეზონიდან სამში მაინც გავიდეთ ევროტურნირებზე და საჩემპიონთალიგო ადგილებზე მოხვედრისთვის ვიბრძოლოთ, როგორც ამას სხვა კლუბები აკეთებენ. ლიგაზე მოხვედრა ჩვენთვის უპირველესი მიზანი უნდა იყოს.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ლიგაზე ოცნებები „ესპანიოლისთვის“ ჯერჯერობით ნაადრევია?

— არა. ჩვენ ჩვენი სპორტული პროექტისა გვჯერა, რომლის განსახორციელებლად პროფესიონალები მუშაობენ. მათ უნდა მივცეთ მუშაობის საშუალება, რადგანაც პროფესიონალებმა იციან, რას აკეთებენ. თუ „სევილიას“ დარი გუნდები ლა ლიგაში და ევროტურნირებზე ყველაფერს აზანზარებენ, „ესპანიოლს“ რატომ არ შეუძლია ამის გაკეთება?!

— ბოლო ექვს წელიწადში ორი კოპა დელ რეი და ახლა უეფას ფინალი — მშვენივრად აწყვეთ საქმე...

— ჩვენს წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი ადგილობრივი, საბაზო გუნდების განვითარებას მიუძღვის. ეს პროექტი ხულიო პარდომ წამოიწყო, ფრანსისკო პერელიომ განავითარა და ახლა ჩვენ ვაგრძელებთ. ჩვენ კლუბის განვითარების გარკვეული მოდელი გვაქვს — „კანტერას“, ანუ „ესპანიოლის“ საფეხბურთო სკოლის აღზრდილებს პლუს ოთხი-ხუთი მოწვეული მოთამაშე. „ესპანიოლი“ ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის — აბა, მითხარით, რომელი კლუბი იგებდა ბოლო სეზონების განმავლობაში თითქმის მიყოლებით სამეფო თასს და ახლა კი უეფას ფინალში თამაშობს? განვითარება ზუსტად ამ გზით უნდა გავაგრძელოთ. წლების წინ მოდაში „დეპორტივოს“ მოდელზე იყო საუბარი, შემდეგ „სოსიედადზე“ და ახლა კი „სევილიურ სასწაულზე“ ალაპარაკდნენ. მაგრამ ჩვენ ჩვენი გზა ავირჩიეთ, რომელიც ჯილდოების გარანტიას გვაძლევს.

— უეფას თასის ფინალის შედეგზე სანაძლეო არავისთან დადეთ?

— არა. სანაძლეო შარშან კოპა დელ რეის ფინალურ შეხვედრაზე დავდე. წლეულს არავინ დამენიძლავა, რადგანაც ყველას ჩვენი მოგებისა სჯერა, თუმც მეტოქეს დიდ პატივს ვცემთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „სევილია“ ერთადერთი გუნდია ევროპაში, რომელიც სამი ფრონტის — ლა ლიგის, კოპა დელ რეის და უეფას თასის მოსაგებად იბრძვის. „ესპანიოლი“ ფავორიტი არაა, მაგრამ მსხვერპლის როლში ყოფნასაც არ ვაპირებთ. დარწმუნებული ვარ, თასი ჩვენ დაგვრჩება. იცით, ჩვენს გულშემატკივრებს როგორ ფანატიკურად სჯერათ, რომ „ჰემპდენ პარკზე“ „ესპანიოლი“ გაიმარჯვებს? წარმოდგენაც კი მეშინია იმისა, ხალხი რას იზამს, თუ თასი ისევ სევილიაში წაიღეს...

— ანუ თასს „ესპანიოლის“ მუზეუმში ხედავთ?

— აბა, როგორ?! მჯერა, რომ ჩვენს ოცნებას სინამდვილედ ვაქცევთ და თასს აუცილებლად ბარსელონაში წავიღებთ.



შერილ ტვიდი

# რეალითი შოუ ინგლისში ქალური ფინალი: ჩელსი და მანჩესტერი



**ბრიტანული** რეალითი შოუ FOOTBALL WAGS, რომელშიც ცნობილ ფეხბურთელთა ცოლები მონაწილეობენ, დასასრულს მიუახლოვდა და სუპერფინალში ორი ქალიღა დარჩა — შოუში ისინი „ბიზნესვუმენობას" ცდილობენ.

გოგოები ორ ჯგუფად გაყვეს და თითოს ტანსაცმლის მაღაზიის მართვა დაავალეს — ვინც მეტს გაყიდიდა, გამარჯვებულიც ის იქნებოდა. ლამაზმანებმა გაყიდვაში მარიფათი ვერ გამოიჩინეს და საბოლოოდ მესიჯებით გამოავლინეს ფინალისტები.

ფინალში გავიდნენ კრიშტიანუ რონალდუს სატრფო ჯემა ატკინსონი და ეშლი კოულის ტურფა შერილ ტვიდი, რომელმაც ნახევარფინალში პიტერ კრაუჩის საცოლე ებიგეილ კლენსი დაამარცხა.

ამგვარად, ინგლისის ასოციაციის თასის ფინალი („მანჩესტერი" — „ჩელსი") ამ შოუშიც იქნება და გამარჯვებულს ისევ ხმის მიცემით გამოავლენენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვისგან არის ფეხმძიმედ მიროსლავ კლოზეს ცოლი?





სილვია და მირო

## პატრიკ ოვომოიელა ყველაფერს უარყოფს

**მსოფლიოს** ჩემპიონატის გმირი, გერმანიის ნაკრებისა და ბრემენის „ვერდერის" თავდამსხმელი მიროსლავ კლოზე დიდ გაუგებრობაშია. უკვე რამდენიმე თვეა, მირო საკუთარ თავს აღარ ჰგავს, ნერვებსაც ვეღარ თოკავს და გოლების გატანასაც უკლო.

ბევრმა ეს ყველაფერი კლოზეს სატრანსფერო ციებცხელებას მიაწერა, თუმცა დიდი შანსია, ასე სულაც არ იყოს...

რამდენიმე დღის წინ გერმანულმა „კიკერმა" კლოზეს პირადულ პრობლემებზე მიანიშნა, გუშინ კი „ბილდმა" სკანდალური ამბავი გამოჩხრიკა — გერმანიაში უკვე დაუფარავად ლაპარაკობენ, რომ კლოზეს და მის მეუღლე სილვიას არცთუ სახარბიელო ურთიერთობა აქვთ.

ამბობენ იმასაც, რომ კლოზეს ადვოკატ ბურჰარდ ვესტერჰოფს კლიენტის ირგვლივ მოარულ ჭორებზე უსაუბრია, რის მიხედვითაც ჟურნალისტებმა დაასკვნეს, რომ სილვიას „ვერდერის" მცველთან, პატრიკ ოვომოიელასთან ჰქონია საკმაოზე ახლო ურთიერთობა და მისგან ფეხმძიმედაც ყოფილა... ამის გამო მირო სახლიდან წასულა.

მეორე დღეს ბურჰარდ ვესტერჰოფმა თქვა, რომ ეს ხმები სიმართლეს არ შეესაბამება.

ბუნებრივია, ყველაფერს უარყოფს პატრიკ ოვომოიელაც: „ძალიან მაინტერესებს, ვისგან მოდის ეს ყველაფერი. ეს დაუჯერებელი ბოროტებაა. ძალიან ვწუხვარ, რომ ასეთი რამეები ხდება და მიროს ოჯახს ასეთი შეურაცხყოფა მიაყენეს".

და თუ ეს ყველაფერი ტყუილია, მაშ, ვის სურს კლოზეს გამწარება?

**ნინო სილაგაძე**

# ჩელსიმ კოულს საცოლე უტირა



კარლი და ჯო

**ლონდონის** „ჩელსის" ვარსკვლავმა ჯო კოულმა ხელი სთხოვა გულისსწორ კარლი ცუკერს და მისგან თანხმობაც მიიღო.

„ჯო ახლა უბედნიერესი ადამიანია მსოფლიოში. მან მითხრა, რომ მსგავსი წარმატებისთვის არასოდეს მიუღწევია" — გაუმხილა ჟურნალისტებს კოულის ახლო მეგობარმა.

წყვილი ქორწილს საფეხბურთო სეზონის დასრულებისთანავე გადაიხდის, ჯოს კი ჩელსელებმა უკვე მიულოცეს ეს ამბავი — გუნდმა ბარ „ბრინკლიში" მოილხინა და კარლის სიხარულისგან უტირია კიდეც.

**კახა შალამბერიძე**

# ტყუილს მოკლე კრასიჩი აქვს

**მოსკოვის** ცსკა-მ „ვერდერის" მოტყუება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა. ბრემენულ კლუბს მოსკოვურიდან სერბი მილოშ კრასიჩის ყიდვა უნდა.

„ვერდერმა" ცსკა — „სპარტაკის" მატჩის წინა დღეს კლუბში ფაქსი გააგზავნა, რომელშიც მატჩის დაწყების დროს და ორ ბილეთს ითხოვდა. ცსკა მიხვდა და, გერმანულ კლუბს დღის ორი საათის ნაცვლად, მატჩის დაწყების დროდ ცხრის ნახევარი ჩაუწერა. ვერდერელები დაეჭვდნენ და კრასიჩს დაურეკეს, ვისგანაც სიმართლე გაიგეს.

გერმანელები მოსკოვურ დერბის მაინც დაესწრნენ, მაგრამ ცსკასგან ფეხბურთელის გაყიდვაზე უარი მიიღეს. „ვერდერი" კრასიჩში 6 მილიონ ევროს იხდის.

მოსკოველებს მეკარე იგორ აკინფეევი და ნახევარმცველი დანიელ კარვალიუ ტრავმის გამო ნახევარი წლით გამოაკლდნენ და ამიტომ კიდევ ერთი მთავარი ფეხბურთელის გაყიდვას არ აპირებენ.

## შინავატრას ჰიუზი

**„მანჩესტერ სიტის"** მწვრთნელობის პირველი კანდიდატი ბლექბერნელი მარკ ჰიუზია.

შეგახსენებთ, რომ „სიტის" თავკაცი სტიუარტ პირსი ორი დღის წინ მოხსნეს.

მანჩესტერულ კლუბს ტაილანდელი ბიზნესმენი, ქვეყნის ყოფილი პრემიერი ტაქსინ შინავატრა ყიდულობს და ჰიუზიც მისი არჩევანია. ტაილანდელი კლუბს ოფიციალურად ივნისში შეიძენს — წერს „სანი". იგი 58 მილიონს გადაიხდის და 50-საც გუნდის გასაძლიერებლად დახარჯავს.

„სანდი მირორის" ცნობით კი, შესაძლოა, „სიტის" მწვრთნელი ჟერარ ულიე გახდეს.

## ობა დაიმალა

**„ნიუკასლის"** ნიგერიელი ფორვარდი ობაფემი მარტინსი ამ ზაფხულს სხვა კლუბში გადავა.

მარტინსმა ტრავმა მოიმიზეზა და პრემიერლიგის ბოლო ტურში „უოტფორდთან" თამაშს თავი აარიდა, რითაც შეფები გააბრაზა.

მარტინსის ყიდვა „ვალენსიას" და „იუვენტუსს" უნდათ, მისი ფასი კი 13 მილიონი გირვანქაა.

## აშშ-ს თავი ედირსა

**აშშ-ის** ნაკრების მწვრთნელად ბობ ბრედლი დაინიშნა — ამის თაობაზე აშშ-ის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად გამოაცხადა.

თითქმის ათი თვეა, ამერიკელები უმწვრთნელოდ იყვნენ და, როგორც იქნა, მონახეს სასურველი კაცი.

## სკანდინავიური ფეირ პლეი

**გლაზგოში** გამართულმა ფეირ პლეის კენჭისყრამ უეფას თასის მომავალ გათამაშებაში დამატებითი ადგილები სამ ქვეყანას, შვედეთს, ფინეთს და ნორვეგიას მისცა — იტყობინება სააგენტო „როიტერი".

## დაიჭირეთ და ვითამაშებთ

**ბულგარეთის** ჩემპიონატი უნდა შეწყდეს! — ასეთი მოთხოვნა აქვს იქაური პროფლიგის პრეზიდენტ ვალენტინ მიხოვს, რომელიც ამით პლოვდივის „ლოკომოტივის" პრეზიდენტის მკვლელობას აპროტესტებს.

„ჩემპიონატი იქამდე უნდა შეწყდეს, სანამ მკვლელებს არ დაიჭერენ" — განაცხადა მიხოვმა. თავად პლოვდიველი ფეხბურთელები კი აპირებენ, ამიერიდან ჩემპიონატში შავი მაისურებით ითამაშონ და ასე გამოიგლოვონ აწ გარდაცვლილი.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჟიულიმ დომენეკის ცოლი?

ვინც ფრანგული იცით, გაგიმარჯოთ ღმერთმა: გაზეთ Le journal du dimanche au quotidien-ში ისეთი რამ დაუწერიათ, კაცს თმა ყალყზე დაგიდგება. კერძოდ, რა? რა და, ის, რომ თურმე „ბარსელონას“ ფეხბურთელ ლუდოვიკ ჟიულის საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი რაიმონ დომენეკი 2005 წლის ოქტომბრიდან ეროვნულ გუნდში იმიტომ აღარ იძახებს, რომ ჟიულის მისი პირმშვენიერი მეუღლისთვის, ტელეწამყვან ესტელ დენისისთვის SMS მიუწერია.

რა უნდოდა ჟიულის პირმშვენიერი ესტელ დენისისგან, ამბობენ, რომ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. განსაკუთრებით ბოროტი ადამიანები იმასაც კი ამბობენ, რომ ლუდოვიკსა და მადამ დომენეკს შორის საქმე SMS-ებზე შორს წასულა, მაგრამ ფეხბურთელმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა:

„მე მინდოდა, დომენეკს პირადად შევხვედროდი, მაგრამ მან ეს არ ისურვა, ამიტომ აქედან ვეტყვი, რომ ესტელ დენისისნაირი ქალები არ მომწონს და მასთან არასდროს არაფერი მქონია“.

შეგახსენებთ: ჟიულის ნაკრებში გამოძახება მწვრთნელმა სწორედ მაშინ შეწყვიტა, როდესაც ფეხბურთელმა ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

„კაცმა ლიგა მოიგოს და მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანონ? გასაოცარია! — ბრაზობდა მაშინ თავად ჟიული — მე თუ მკითხავთ, ნაკრებში წასაყვანად აბსოლუტურად ყველა კრიტერიუმს ვაკმაყოფილებ: გამოცდილი ვარ, თუ ძირითადში არ მასახელებენ, დებოშს არ ვტეხავ, დიდ კლუბში ვთამაშობ და მრავალი სხვა. ერთი სიტყვით, ან მე რამე არ მესმის, ან დომენეკი რაღაცას მალავს“.

ნუთუ დომენეკი ეჭვიანობას მალავდა?

თუმცა ჩვენი ფრანგულის არმცოდნე მკითხველი დომენეკის მეუღლის ამბავზე არანაკლებ, გვწამს, ჭორის გამავრცელებელი გაზეთის გრძელმა სათაურმა დააინტერესა. ჰოდა, მოგახსენებთ: ეს სახელწოდება ჩვენებურად, დაახლოებით, „ყოველდღიურ გაზეთში ჩადებულ საკვირაო ჩანართს“ ნიშნავს...

**ბაჩუნა ძედია**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## მატია კეჟმანი

თავდამსხმელი

დაიბადა 1979 წლის 12 აპრილს ზემუნში
სიმაღლე: 1,82 მეტრი, წონა: 74 კგ
კარიერა: 1997-98 წლები — „სარტიდი“ (21 მატჩი, 11 გოლი), 1998-2000 წლები — „პარტიზანი“ (68 მატჩი, 38 გოლი), 2000-04 წლები — „პსვ ეინდჰოვენი“ (136 მატჩი, 112 გოლი), 2004-05 წლები — „ჩელსი“ (31 მატჩი, 5 გოლი), 2005-06 წლები — „ატლეტიკო“ (33 მატჩი, 8 გოლი), 2006 წლიდან — „ფენერბაჩე“ (28 მატჩი, 7 გოლი)
2000 წლიდან თამაშობს სერბეთის ნაკრებში (49 მატჩი, 17 გოლი)





## PORSCHE cayenne

გამოშვების თარიღი: 2002 წელი
სიგრძე: 4,795 მეტრი
სიგანე: 1,928 მეტრი
სიმაღლე: 1,694 მეტრი
წონა: 2 245 კგ
ცილინდრი: 8
ძრავის კუბატურა: 4,8
ავტომატური გადაცემათა კოლოფი
სიჩქარე: 250 კმ/სთ
100 კმ/სთ-ს ავითარებს 5,1 წამში
ფასი: 60 000 ევრო

## პაპა გრესი

შვეიცარიის უმაღლეს დივიზიონში დასარჩენად მებრძოლ „არაუს“ მწვრთნელად 66 წლის ჟილბერ გრესი დანიშნეს. მას საფრანგეთში, ბელგიასა და ავსტრიაშიც უმუშავია, 1997 წელს კი შვეიცარიის ნაკრებს თავკაცობდა. გრესმა რიშარდ კომორნიცკი შეცვალა.

## შიშველი კაცი ქალებში

ესტონეთის ქალაქ კურესაარეში უმაღლესი ლიგის მატჩი იმის გამო შეწყდა, რომ მოედანზე შიშველი კაცი შევარდა. ასეთი რამ დიდ მატჩებშიც მომხდარა, მაგრამ... კურესაარეში ქალები თამაშობდნენ. შიშველი კაცი ამავე ქალაქის კალათბურთელთა გუნდის მოთამაშე ურმო ტალისტუ აღმოჩნდა. მან გაშიშვლებით ნიძლავი, 10 ათასი კრონი მოიგო. ზურგზე „ორეგ 10“ ეწერა, მაგრამ არავინ იცის, ეს რას ნიშნავს.

## ნათხოვარი ფორსელი გაიყიდა

ფინეთის ნაკრების ფორვარდი მიკაელ ფორსელი „ჰანოვერში“ გადადის. იგი „ჩელსის“ საკუთრებაა და „ბირმინგემში“ იყო განათხოვრებული, სადაც ორი სეზონი გაატარა.

## ორევუარ, ჟან!

თურქული „ბეშიქთაშის“ ფრანგი მწვრთნელი ჟან ტიგანა მოხსნეს. „მადლობა ტიგანას სამსახურისთვის და წარმატებას ვუსურვებთ“ — ნათქვამია კლუბის ოფიციალურ განცხადებაში.

## ნაზიმ სელექციონერი

აზერბაიჯანის ნაკრების მწვრთნელ-სელექციონერად ნაზიმ სულეიმანოვი დანიშნეს. ამის შესახებ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა რამიზ მირზოევმა განაცხადა. სულეიმანოვს „ნეფთჩიში“, მოსკოვის „სპარტაკში“, „ალანიაში“ და „ქემჩუჟინაში“ უთამაშია.

**ვაჟა ხუციშვილი**

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXXVI ტური

მონპელიე 2:1 ლე ავრი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მეცი | 36 | 22 | 10 | 4 | 52:18 | 76 |
| სტრასბური | 36 | 18 | 13 | 5 | 44:29 | 67 |
| კაენი | 36 | 17 | 14 | 5 | 61:38 | 65 |
| ამიენი | 36 | 19 | 6 | 11 | 53:42 | 63 |
| გრენობლი | 36 | 14 | 14 | 8 | 49:37 | 56 |
| ლე ავრი | 36 | 15 | 10 | 11 | 50:34 | 55 |
| შატორუ | 36 | 14 | 9 | 13 | 40:42 | 51 |
| დიჟონი | 36 | 13 | 12 | 11 | 40:44 | 51 |
| ბასტია | 36 | 13 | 11 | 12 | 46:44 | 50 |
| აიაჩო | 36 | 12 | 11 | 13 | 44:45 | 47 |
| რეიმსი | 36 | 12 | 10 | 14 | 42:42 | 46 |
| გენგამი | 36 | 10 | 13 | 13 | 43:42 | 43 |
| ლიბურნი | 36 | 12 | 7 | 17 | 41:49 | 43 |
| გენიონი | 36 | 11 | 9 | 16 | 41:49 | 42 |
| ნიორი | 36 | 9 | 13 | 14 | 31:42 | 40 |
| კრეტეი | 36 | 9 | 13 | 14 | 32:46 | 40 |
| ბრესტი | 36 | 8 | 15 | 13 | 35:39 | 39 |
| მონპელიე | 36 | 9 | 11 | 16 | 38:48 | 38 |
| ისტრი | 36 | 8 | 11 | 17 | 33:57 | 35 |
| ტური | 36 | 5 | 8 | 23 | 27:55 | 23 |

### ფინეთი

ვეიკაუსლიგა. V ტური

ვიიკინგიტი 1:4 მიუპა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტამპერე | 4 | 3 | 1 | 0 | 6:3 | 10 |
| ჰაკა | 4 | 3 | 0 | 1 | 5:3 | 9 |
| მიუპა | 5 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 |
| ჰიკ | 4 | 2 | 1 | 1 | 5:4 | 7 |
| ლაჰტი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:6 | 7 |
| კტპ | 4 | 2 | 0 | 2 | 6:5 | 6 |
| ტურუ | 4 | 1 | 2 | 1 | 3:2 | 5 |
| ოულუ | 4 | 1 | 2 | 1 | 3:4 | 5 |
| ინტერი | 4 | 1 | 1 | 2 | 6:4 | 4 |
| იარო | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 4 |
| ჰონკა | 4 | 1 | 1 | 2 | 6:7 | 4 |
| ვიიკინგიტი | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | 4 |
| მარიეჰამნი | 4 | 0 | 3 | 1 | 1:2 | 3 |
| ვაასა | 4 | 0 | 3 | 1 | 2:7 | 3 |

### შვედეთი

ალსვენსკა

VI ტური

იურგორდენი 0:1 გაის

ჰალმსტადი 1:0 ტრელებორგი

გიოტებორგი 2:0 გეფლე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კალმარი | 6 | 4 | 0 | 2 | 9:7 | 12 |
| ჰამარბი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:3 | 11 |
| გიოტებორგი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:5 | 11 |
| ჰალმსტადი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:7 | 10 |
| აიკ | 6 | 3 | 0 | 3 | 5:7 | 9 |
| მალმიო | 5 | 2 | 2 | 1 | 8:4 | 8 |
| გაის | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 |
| გეფლე | 6 | 2 | 2 | 2 | 5:7 | 8 |
| იურგორდენი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:6 | 7 |
| ელფსბორგი | 6 | 1 | 4 | 1 | 7:7 | 7 |
| ჰელსინგბორგი | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | 6 |
| ორებრო | 6 | 1 | 3 | 2 | 4:7 | 6 |
| ტრელებორგი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:11 | 5 |
| ბრომაპოიკარნა | 6 | 1 | 1 | 4 | 7:14 | 4 |

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა

XXVIII ტური

სპარტა 1:1 ლიბერეცი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 28 | 16 | 8 | 4 | 37:20 | 56 |
| ლიბერეცი | 28 | 15 | 10 | 3 | 42:18 | 55 |
| ბოლესლავი | 28 | 16 | 6 | 6 | 43:26 | 54 |
| სლავია | 28 | 15 | 7 | 6 | 40:21 | 52 |
| ტეპლიცე | 28 | 11 | 9 | 8 | 43:35 | 42 |
| პლზენი | 28 | 11 | 9 | 8 | 33:28 | 42 |
| ბანიკი | 28 | 10 | 10 | 8 | 35:31 | 40 |
| ბრნო | 28 | 11 | 7 | 10 | 33:32 | 40 |
| იაბლონეცი | 28 | 8 | 11 | 9 | 28:30 | 35 |
| ბუდეიოვიცე | 28 | 9 | 7 | 12 | 26:39 | 34 |
| მოსტი | 28 | 5 | 15 | 8 | 30:35 | 30 |
| კლადნო | 28 | 7 | 9 | 12 | 22:34 | 30 |
| ზლინი | 28 | 5 | 11 | 12 | 19:31 | 26 |
| სიგმა | 28 | 6 | 7 | 15 | 28:40 | 25 |
| პრჟიბრამი | 28 | 3 | 12 | 13 | 15:34 | 21 |
| სლოვაცკო | 28 | 2 | 10 | 16 | 17:37 | 16 |

ს.კ. ლოკომოტივი ახორციელებს ს.კ. ბარსელონას ტალანტების მოძიების პროგრამას და ატარებს სელექციას 1995-2001 წწ დაბადებულ ბავშვებში. რეგისტრაციისთვის გთხოვთ მობრძანდეთ 14 მაისიდან 27 მაისამდე 10.00-15.00 სთ. მ. მესხის სახელობის სტადიონზე. ჭავჭავაძის გამზ. 74. საკონტაქტო ტელეფონი 23-04-58. თან იქონიეთ ბავშვის დაბადების მოწმობა და ფოტოსურათი, მშობლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა

# ფერგიმ თავისი სიბერე გაზეთებში ამოიკითხა

სერ ალექს ფერგიუსონმა პრემიერლიგაში ლონდონის „ჩელსის" ორწლიანი ჰეგემონია დაამხო და მეცხრედ მოიგო ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერელთა შოტლანდიელ მწვრთნელს ინტერვიუ „გარდიანმა" ჩამოართვა და ალბათ საინტერესო უნდა იყოს, რას ფიქრობს და როგორ განწყობაზეა სერ ალექსი...


AFP

## ყველაზე დიდი მიღწევა ჯიუტი ჩელსის წაქცევაა

— რას ნიშნავს თქვენთვის ეს ტიტული?

— ეს დიდი მიღწევაა. ბოლო ორი-სამი წელია, ჩემს თავს ვეუბნები: „ჯანდაბა, ახლა უკვე 90-91 ქულა მჭირდება, რათა ჩემპიონი გავხდე". ეს ძალიან ბევრია, თუნდაც იმ 84 ქულასთან შედარებით, რომლითაც 1992 წელს გავიმარჯვეთ. თუმცა იყო 2000 წელიც, როცა 91 ქულის მოგროვება მოგვიხდა პირველობისთვის...

— ბოლო წლებში ხშირად გეკითხებოდნენ, ისევ შესწევს თუ არა „მანჩესტერს" ჩემპიონობის ძალა. როგორ რეაგირებდით ამაზე?

— ფეხბურთში ახალბედა არ ვარ და კარგად მესმის, რომ ეს, ასე ვთქვათ, თამაშის წესია. თუ მოვალეობებს სათანადოდ ვერ ასრულებ და წარმატებას ველარ აღწევ, კრიტიკის ობიექტი ხდები. მოგვიხდა არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება და შემადგენლობის გადახალისება, რაც ადვილი არ იყო. წლების მანძილზე მოთამაშეებთან პროფესიული ურთიერთობა მეგობრულში გადადის, მაგალითად, როგორც ნიკი ბატისა და ფილ ნევილის შემთხვევაში. ასეთ ბიჭებთან განშორება ძალიან ძნელი იყო. მრავალჯერ მიკითხავს ჩემი თავისთვის: „იქნებ მან კიდევ ერთი სეზონი ითამაშოს?" თუმცა გუნდი ორგანიზმია, რომელსაც სისტემატური განვითარება სჭირდება და როცა რაიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას იღებ, პირველ რიგში კლუბზე უნდა იფიქრო და არა პირად გრძნობებზე.

— ასე იყო როი კინისა და რუუდ ვან ნისტელროის შემთხვევაშიც?

— როი, რა თქმა უნდა, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა გუნდში. რაც შეეხება ნისტელროის, არა მგონია, მისი გაშვება მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ყოფილიყო კლუბისთვის.

— თქვენი აზრით, ნისტელროის წასვლას გუნდურ სულზე არ უმოქმედია?

— ამაზე არ მიფიქრია.

— ახლა კლუბში როგორი ატმოსფეროა?

— ერთ მშვენიერ დღეს ჩემი გუნდი ერთ მთლიანობად იქცა — ამას ჰქვია გუნდური სული. მთელი სეზონის მანძილზე ბიჭებს ვაკვირდებოდი და მიხაროდა, რომ ასეთი კარგი ატმოსფერო შეიქმნა კლუბში.

— წინა სეზონში არ ფიქრობდით, რომ მთელი ეს ურთიერთობები თქვენი პრობლემა არ იყო?

— არა, რას ამბობთ... ყველაფერი, რაც გუნდში ხდება, მეც მეხება. მესმოდა, რომ ეს დროის ამბავი იყო. ბიჭებს შეთამაშება და ერთმანეთთან მიჩვევა სჭირდებოდათ. ცხადია, იყო სერიოზული პრობლემები, მაგრამ პოლ სქოულზის დაბრუნებით ბევრი რამ თავისით მოგვარდა. როცა პოლი მხედველობის პრობლემების გამო ხუთთვიანი პაუზის მერე დაგვიბრუნდა, ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ახალი მოთამაშე დავიმატეთ. თანაც, მან უმალ გამონახა საერთო ენა მაიკლ კარიკთან.

— ამ სეზონის დაწყებამდე თუ გქონდათ წინათგრძნობა, რომ ყველაფერი გამოვიდოდა?

— თავიდანვე ვცდილობდით, ფეხბურთელებისთვის შთაგვეგონებინა, რომ მთავარი სეზონის კარგად დაწყება იყო. 2004 და 2005 წლებში „ჩელსი" თავიდანვე გაიჭრა წინ და ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა. ვგრძნობდით, რომ ამჯერად სერიოზული კონკურენციის გაწევა შეგვეძლო. ყველაფერი კარგად აეწყო, მშვენივრად დავიწყეთ და ლონდონელებს გავასწარით, რაც გადამწყვეტი გამოდგა. თუმცა ეს ადვილი არ ყოფილა, „ჩელსი" ბოლო მომენტამდე მოგვდევდა.

— თავის დროზე ჩემპიონობისთვის „ბლექბერნი", „ნიუკასლი" და „არსენალი" შეგბრძოლებიათ, თუმცა, ჩანს, „ჩელსი" ყველაზე ძლიერი კონკურენტი გამოდგა...

— მე ვიტყოდი, ყველაზე ჯიუტი. ლონდონელები არასდროს ნებდებიან.

— რა ადგილი დაიკავა ამ ტიტულმა სხვებთან შედარებით?

— ვფიქრობ, ეს ჩვენი ყველაზე დიდი მიღწევაა. ახლანდელი „მანჩესტერი" ძალიან ახალგაზრდაა და, ჩემი აზრით, ყველა პირობა აქვს გაზრდისა და წარმატებული მომავლისთვის. ალბათ შეამჩნიეთ, როგორ პროგრესირებს, მაგალითად, ნემანია ვიდიჩი. მე მას, საერთოდ, პრემიერლიგის საუკეთესო ცენტრალურ მცველად ვთვლი. გარი პალისტერისა და სტივ ბრიუსის წასვლის შემდეგ დაცვის ცენტრში ასეთ ძლიერ დუეტზე ვოცნებობდით. რამდენიმე კარგი ვარიანტიც გვქონდა, მაგრამ ისეთი ძლიერი წყვილი, როგორიც ვიდიჩი-ფერდინანდია, არ გვყოლია.

— როცა ბოლო ორ სეზონში „ჩელსის" თამაშებს უყურებდით, არ ფიქრობდით, რომ მათი დამარცხება, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო?

— სიმართლე გითხრათ, კი. ჩვენი ამოცანა ურთულესი იყო, თუნდაც იმ მილიონების გათვალისწინებით, რაც „ჩელსის" აქვს. თუმცა ვიფიქრე, რომ ანდრეი შევჩენკოსა და მიხაელ ბალაკის ყიდვა ჩემპიონთა ლიგის მოგებისთვის უფრო იყო გამიზნული, ამიტომ ძალიან არ მინერვიულია. თუმცა „ჩელსი" მაინც ბოლო მომენტამდე მოგვდევდა, ბრწყინვალე დოლი გამოვიდა. იმედია, მომავალი სეზონი არანაკლებ საინტერესო იქნება.

— შედიან თუ არა რაიან გიგზი და პოლ სქოულზი თქვენს სამომავლო გეგმებში?

— როცა ამ ბიჭებს ვუყურებ, წუთითაც არ მიჩნდება აზრი, რომ ისინი უკვე დაბერდნენ. ვხედავ, რომ 33 წლის გიგზი ბრწყინვალე ფორმაშია. პოლს ცოტა სხვანაირი აგებულება აქვს, მაგრამ ცხოვრების ჯანსაღი წესის წყალობით, მასაც ყველაფერი რიგზე აქვს.

— სხვა სიტყვებით, გიგზი რჩება?

— აუცილებლად. ინგლისურ ფეხბურთში პრემიერლიგა ცხრაჯერ არავის მოუგია, ეს საოცარი შედეგია. დღეს გუნდში ყველას სურს, მასავით წარმატებული იყოს.

— აქვს ვინმეს მისი მიღწევის გამეორების შანსი?

— იმედი მაქვს, ეს ვინმე კვლავ „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელი იქნება, მაგრამ იმ დროს მე უკვე გუნდში აღარ ვიქნები.

— წინა სეზონში განსაკუთრებული ცვლილებები არ მოგიხდენიათ, როი კინის წასვლის მიუხედავად კი. რატომ?

— კინის შემცვლელს გამალებით ვეძებდით, თუმცა მერე მივხვდით, რომ ეს შეუძლებელია. როი კინი ერთია და იგი შეუცვლელია. გაგვიმართლა, როცა თავის დროზე ბრაიან რობსონის წასვლის მერე კინი გამოჩნდა, თავისი უნიკალური ქარიზმით. თუმცა ქარიზმა იშვიათი მოვლენაა და დავასკვენით, რომ, უბრალოდ, კარგი, საიმედო ფეხბურთელი გვჭირდებოდა, ისეთი, როგორიც კარიკია. მართალია, მან სეზონი არცთუ დამაჯერებლად დაიწყო, მაგრამ მერე გაიხსნა და ბოლომდე გაამართლა ჩვენი იმედები. მაიკლი, სხვების დარად, გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა.

— წლების წინ, როცა „მანჩესტერი" ჩაიბარეთ, იფიქრებდით, რომ ტიტულების მოგებას 65 წლის ასაკშიც გააგრძელებდით?

— ამაზე არასოდეს მიფიქრია. წლები ისე მიფრინავენ, ვერც ვამჩნევთ. მგონია, ისევ 58 წლის ვარ... ერთ მშვენიერ დღეს კი გაზეთს გადავშლი და ვიგებ, რომ უკვე 65 წელი შემისრულდა... ზოგჯერ ვფიქრობ, სად და როდის წავიდა ეს წლები. თუმცა როცა 5-6 წლის წინანდელ ფერგიუსონს ახლანდელს ვადარებ, მნიშვნელოვან განსხვავებას ვერ ვხედავ...

— სერ ბობი რობსონმა მწვრთნელობა 70 წლამდე გააგრძელა. თქვენც თუ გაქვთ ასეთი გეგმები?

— არა.

— დაიღალეთ?

— დაღლილობას გარკვეულწილად მიღწეული შედეგი გამოხატავს. შარშან ზაფხულს მართლაც დაღლილი ვიყავი. ერთი სული მქონდა, შვებულებაში როდის გავიდოდი და ფეხბურთს აღარ გავიხსენებდი, მაგრამ მხოლოდ ამ სეზონის დაწყებამდე...

# რიგითი კი არა, რიგიანი რაიანი


AFP

**რაიან გიგზმა** კარიერაში მეცხრედ მოიგო პრემიერლიგა! ამით ვეტერანმა უელსელმა ძველი ვარსკვლავების — ალან ჰანსენისა და ფილ ნილის — რეკორდი გააუმჯობესა. ხოლო თუ მომავალ შაბათს „მანჩესტერი" ასოციაციის თასის ფინალში „უემბლიზე" „ჩელსის" მოუგებს, გიგზი ამ ტიტულს მეხუთედ მოიპოვებს და ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში ამის გათვალისწინებითაც ყველაზე წარმატებული მოთამაშე გახდება.

„ახლა არ არის ჯილდოებით ტკბობის დრო. როცა კარიერას დავასრულებ, ამას განსაკუთრებულ ყურადღებას მაშინ მივაქცევ. ისე კი, სიმართლე გითხრათ, ბოლო ერთი წელი ნერვიულობა დავიწყე, რადგან აქამდე მიჯრით სამი წელი უტიტულოდ არ გამიტარებია. „ჩელსის" ორწლიანი პირველობის შემდეგ კვლავ ჩემპიონები გავხდით" — უთხრა გიგზმა „გარდიანს".

რაიანი 33 წლისაა, მაგრამ კვლავ „მანჩესტერის" ერთ-ერთი ლიდერია და „წითელი ეშმაკების" მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა ალნიშნა, რომ მას მომავალ სეზონშიც ენდობა.

„ზოგიერთი ჩემი ახალგაზრდა თანაგუნდელისგან ენერგიით და შემართებით ვივსები. ძალიან სასიამოვნოა, უყურო, როგორ თამაშობენ ისინი და დაინახო მათი სახე, როცა კარიერაში პირველ ოქროს მედალს აძლევენ. კარგად მახსოვს, როცა პირველად გავხდი ჩემპიონი, საოცარი გრძნობა მქონდა. რუნი, რონალდუ, ფლეტჩერი, ოში... ეს ბიჭები სიხარულისგან მეცხრე ცაზე არიან, ისინი ჩემპიონები გახდნენ. ვუყურებ მათ თამაშს და ვფიქრობ, ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა, რის გამოც ამ სეზონში მეც შთამბეჭდავად ვითამაშე" — თქვა გიგზმა.

„მანჩესტერს" ქომაგები არ აკლდა, მაგრამ მიმდინარე სეზონში მათ რიცხვს კიდევ ბევრი შეემატა. უელსელს ამის შესახებ თავისი მოსაზრება აქვს: „ვფიქრობ, ხალხს ცვლილებები უყვარს. როცა გუნდი ზედიზედ აღწევს წარმატებებს, ბევრი მის საწინააღმდეგოდ იწყებს ქომაგობას. ასეა „ჩელსის" შემთხვევაშიც. ლონდონელებმა დიდი ფული დახარჯეს, წარმატებებს მიაღწიეს და ხალხიც მიიზიდეს. საბედნიეროდ, მათი შეჩერება შევძელით. ცოტა თანხა არც ჩვენ, „ლივერპულს" და „არსენალს" დაგვიხარჯავს, მაგრამ ფინანსური თვალსაზრისით „ჩელსისთან" პაექრობა ძალიან რთულია. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც გვგულშემატკივრობენ, ჩვენი თამაშის სტილიცაა. შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ და ეს განსაკუთრებით ჩანს. არ მინდა, ხმამაღალი ნათქვამი გამომივიდეს, მაგრამ, ვფიქრობ, ჩვენ „ჩელსიზე" უფრო შემტევი ფეხბურთი ვითამაშეთ".

„წითელ ეშმაკებს" შეეძლოთ, ამ სეზონში 1999 წლის მიღწევა გაემეორებინათ და სამი ტიტული მოეგოთ, მაგრამ „მანჩესტერი" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში დამარცხდა. თუმც, გიგზის აზრით, ევროპაში მორიგი წარმატება წინაა...

„პოტენციალით ამ გუნდს შეუძლია, საუკეთესო გახდეს — აღნიშნა გიგზმა — გუნდში არიან ვარსკვლავები და ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც კარიერას ახლა იწყებენ. ძალიან კარგი იქნება, თუ ისინი ტრავმებს თავიდან აირიდებენ და 5-6 წელი უმაღლეს დონეზე თამაშს შეძლებენ. ეს ყველაფერი კი იმას განაპირობებს, რომ ისინი ჩემპიონთა ლიგასაც მოიგებენ. ყოველთვის ასეა, ჯერ ჩემპიონატის მოგება გინდა, მერე კი ჩემპიონთა ლიგაზე იწყებ ფიქრს. ჩემპიონთა ლიგა ჩვენი შემდეგი ნაბიჯი იქნება. მისი მოპოვება მიმდინარე სეზონშიც შეგვეძლო, მაგრამ... „მილანთან" მარცხი ძალიან სამწუხარო იყო, თუმც ეს ჩვენს ბრწყინვალე სეზონს ვერ აკნინებს".

და ბოლოს, გიგზის კომენტარი „ჩელსისთან" მომავალ თასის ფინალზე: „როცა ასოციაციის თასი პირველად მოვიგე, ფინალში მაშინაც ლონდონელებს ვხვდებოდით და 4:0 დავამარცხეთ, თუმცა ის სულ სხვა „ჩელსი" იყო. ეს სეზონი ძალიან სტაბილურად და კარგად ჩავატარეთ, „უემბლიზე" მოგება კი ამ ყველაფერს ლამაზად დააგვირგვინებს. იმედია, ანგარიში ამჯერადაც ჩვენს სასარგებლოდ იქნება".

**გიორგი ქაქაბაძე**




# ლონდონიდან მადრიდისკენ მიმავალო...

**კარლოს ტევესი** 30 მილიონი გირვანქის საფასურად, შესაძლოა, „რეალში“ გადავიდეს — 30 მილიონი გირვანქა 59,40 მილიონი დოლარი ან 43,86 მილიონი ევროა.

მაგრამ ამ 30 მილიონიდან ლონდონის „ვესტ ჰემმა“, რომელიც პრემიერლიგაში სწორედ ტევესის მიერ „მანჩესტერის“ კარში გატანილი გოლის წყალობით დარჩა, შესაძლოა, ერთი პენიც ვერ ნახოს. მიზეზი: „ვესტ ჰემმა“ გააუქმა კონტრაქტი ტევესის მფლობელ კია ჯურაბჩიანთან, ასე რომ, ახლა უკვე არგენტინაში დაბრუნებული ფეხბურთელი ახალ კლუბში, შესაძლოა, ლონდონელების დაუკითხავად გადავიდეს.

შეგახსენებთ იმასაც, რომ ტევესის ყიდვისას დაშვებული იურიდიული უზუსტობის გამო მავანნი „ვესტ ჰემის“ საერთოდ დასჯასა და პრემიერლიგიდან გაგდებას ცდილობენ, ფიფამ კი ამ საქმის გამოძიება დაიწყო.

„იანვარში ტევესმა მითხრა რომ მისი მისია „ვესტ ჰემის“ პრემიერლიგაში დატოვება იყო და ლონდონიდან მაშინვე წასვლა აღარ ისურვა“ — განმარტა ჯურაბჩიანმა, თუ რატომ დარჩა არგენტინელი ამდენ ხანს გუნდში.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ლონდონელთა მწვრთნელ ალან კერბიშლის პრემიერლიგაში დარჩენამ თანამდებობაზე დარჩენის იმედიც ჩაუსახა. მან თქვა: „იმედი მაქვს, ქომაგები ამიერიდან მხარში დამიდგებიან და ძველებურად აღარ მეტყვიან, შენს „ჩარლტონში“ გააჯ...იო“.

**ბაკუნა ძიდია**

## რიბერიმ აირჩია

**„ნიუს ოფ ზე ვორლდის“** მტკიცებით, ფრანკ რიბერიმ არჩევანი „მანჩესტერის“ სასარგებლოდ გააკეთა.

საფრანგეთის ნაკრებისა და „მარსელის“ ნახევარმცველს „ბაიერნი“, „არსენალი“ და „მილანიც“ ეპატიჟებოდნენ.

## შვედის გზა

**„არსენალის“** ნახევარმცველმა ფრედერიკ ლიუნგბერგმა, შესაძლოა, კარიერა „ნიუკასლში“ ან „პორტსმუთში“ გააგრძელოს — წერს „სანდი მირორი“.

30 წლის შვედის კონტრაქტი „მეთოფეებთან“ ზაფხულში იწურება, მაგრამ ამ სეზონში იშვიათად თამაშობდა და „არსენალი“ მის გაშვებას აპირებს.

## გლების მუხლი

**ლონდონის** „არსენალის“ ბელარუსმა ალექსანდრ გლებმა „პორტსმუთთან“ შეხვედრაში მუხლი იტკინა და სამკურნალოდ შტუტგარტში ჩავიდა.

„ამ მუხლზე შარშან ოპერაცია გავიკეთე და ყურადღება სჭირდება. გამოკვლევამ აჩვენა, რომ ისევ დაზიანებულია, მაგრამ ჯერ არ ვიცი, რამდენ ხანს მომიწევს მკურნალობა“ — თქვა გლებმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

პრემიერლიგა დასრულდა: „ტოტენჰემ ჰოთსპური“ ზედიზედ მეორედ გავიდა მეხუთე ადგილზე. არადა, სეზონის წინ ბევრს სწამდა, რომ წლეულს „მამლები“ წინა შედეგს გააუმჯობესებდნენ და „დიდი ოთხეულის“ ჰეგემონიას დაარღვევდნენ.

მეორე მხრივ: „ტოტენჰემ ჰოთსპური“ ჰოლანდიელი მწვრთნელის მარტინ იოლის ხელში გაძლიერდა და, რაც არანაკლებ საინტერესოა, სტილი შეიძინა — დღეს ლონდონელებს პრემიერლიგის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზად მოთამაშე გუნდად მიიჩნევენ.

რა კაცია მარტინ იოლი? სალმიანი, ღრმა და... იცით, რას ამბობს? ჩემი „ტოტენჰემი“ ჰოლანდიის 1974 წლის ნაკრებს ჰგავსო...



# ეს იოლია!

## ძველი ჰოლანდია ახალ ლონდონში

— ბოლო წლებში „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ ორჯერ მეხუთე ადგილი მოიპოვა, რამდენიმეჯერ ისეთი ფეხბურთი ითამაშა, ადამიანს სამუდამოდ რომ ამახსოვრდება, მაგრამ დიდ ოთხეულს მაინც ვერაფერი დააკლო. რა არის საჭირო საიმისოდ, ბოლოს და ბოლოს, თავად რომ მოხვდეთ ოთხეულში?

— დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე დეტალიღა გვჭირდება: ლედლი კინგის, დენის ბერხკამპის ან სტივენ ჯერარდის დარი ფეხბურთელი. ყველაზე კარგი ის იქნებოდა, ადელ ტაარაბტს ან ჯეიმი ოჰარას ვარსკვლავობა რომ გაეწიათ, მაგრამ თუკი ასეთი რამ არ ხდება, მაშინ საუკეთესო გზა ახალი ფეხბურთელის ყიდვაა. აბა, მითხარით, ტიერი ანრი რომ არ ჰყავდეს, „არსენალი“ ასე ძლიერი იქნებოდა? ან „ლივერპული“ რა იქნებოდა სტივენ ჯერარდის გარეშე? სტაბილური საძირკვლის ჩაყრა აუცილებელია, მაგრამ დიდი წარმატებისთვის ზედ ერთი-ორი ვარსკვლავის დამატებაა აუცილებელი.

— ამასობაში კი უკვე ორწელიწადნახევარი შესრულდა, რაც თქვენ „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ ხელმძღვანელობთ. რა იყო ამ დროში თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?

— ყველაფერზე მნიშვნელოვანი გეგმის შედგენა და მის შესაბამისად მუშაობაა, გეგმა კი მუდმივად ახალი ნაბიჯის გადადგმას უნდა მოიცავდეს. მწვრთნელი განუწყვეტლივ უნდა აუმჯობესებდეს მისი გუნდის ყველა მხარეს და შედეგების გაუმჯობესებას ცდილობდეს. „ტოტენჰემში“ ჩემი პირველი სეზონი 52 ქულით დავამთავრეთ, მეორე 65-ით, ხოლო მესამე 60-ით, თუმცა წლეულს ყველა თასის გათამაშებაში მივიღეთ მონაწილეობა. სხვათა შორის, ამან კლუბს ძალიან ბევრი შესძინა. ერთი სიტყვით, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკვე ხუთ მეოთხედფინალში ვითამაშეთ, დავასკვნით, რომ „ტოტენჰემ ჰოთსპური“ პატარ-პატარა ნაბიჯებს გამუდმებით დგამს წინ. მინდა გითხრათ, რომ ეს ყველაფერი ფეხბურთელების დამსახურებაა და ის, რომ გუნდში შესანიშნავ მოთამაშეთა ჯგუფი გვყავს, ვფიქრობ, საიდუმლო არავისთვის აღარ არის.

— მართალია, ოთხეულში ვერ ხვდებით, მაგრამ ჩინებულ ფეხბურთს კი თამაშობთ. ბევრი გოლი გაგაქვთ, მაგრამ უშვებთ კიდეც. ეს ალბათ თქვენი სტილია...

— თუ კარგად დაგვაკვირდით, შარშან სხვანაირად ვთამაშობდით, ამ სეზონში კი სტილი შევცვალეთ. კერძოდ, ადრე ორი საყრდენი ნახევარმცველი გამოგვყავდა, დანარჩენებს კი შეტევაში თავისუფლად მოქმედების საშუალებას ვაძლევდით, წლეულს ერთი საყრდენი მოვხსენით, რამაც, უნდა ითქვას, რომ დაცვაში პატარა ბზარი მართლაც გაგვიჩინა. შარშანდელთან შედარებით პრობლემად გვექცა სტანდარტული მდგომარეობებიც. შარშან სტანდარტულიდან გაშვებული ყველა გოლი მახსოვდა, წლეულს კი იმდენი იყო, ველარც დავიმახსოვრე. ერთი სიტყვით, ახლა მთავარია, სულელური გოლების გაშვებას დავანებოთ თავი, თორემ სხვამხრივ არაფერს ვუჩივით, მშვენიერ ფეხბურთს ვთამაშობთ და გუნდში ნიჭიერი ფეხბურთელები გვყავს. მართალია, ნიჭიერი ფეხბურთელების თავმოყრა თავისთავად არაფერს ნიშნავს, მაგრამ როდესაც ამ ხალხს ერთად თამაშს, თან შემტევი ფეხბურთის თამაშს ვასწავლით, შედეგი აუცილებლად მოვა.

— და ბევრი პრემიერლიგური გრანდისგან განსხვავებით, „ტოტენჰემ ჰოთსპურში“ მრავლად არიან ინგლისელი ფეხბურთელები. თქვენ ფიქრობთ, რომ გუნდის სადაურობის საცნობად ეს აუცილებელია?

— მე ის კაცი ვარ, რომელსაც ღონიერი ხერხემლის აუცილებლობისა სწამს. წინა სეზონში ჩვენს განკარგულებაში იყვნენ ინგლისელები პოლ რობინსონი, ლედლი კინგი, მაიკლ დოუსონი, მაიკლ კარიკი, ჯერმენ ჯენასი და ჯერმენ დეფო. მათთან ერთად აუცილებლად უნდა ვახსენოთ რობი კინიც — ის ირლანდიელია, ბრიტანელი. კარიკის გაყიდვამ სურათი ცოტა შეცვალა, მაგრამ ეგ არაფერი, რადგან ჩვენს მთავარ ამოცანად კვლავ ინგლისელი და, ზოგადად, ბრიტანელი ფეხბურთელების მოძიება და შეძენა რჩება. თუ ასეთებს ვერ ვიპოვით, ბუნებრივია, მოთამაშეების ძიებას სხვაგანაც შევუდგებით, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, როგორც გითხარით, ჩვენი მთავარი ამოცანა ინგლისელების მოძიებაა.

— ამბობენ, რომ თქვენ „ტოტენჰემის“ მწვრთნელობაზე ყოველთვის ოცნებობდით. მართალია?

— ეს ჩემთვის მიზანზე მეტი იყო. ინგლისში ჩამოსული ხალხი ხშირად ამბობს, რომ ისინი ამა თუ იმ გუნდს ქომაგობდნენ და ამ კლუბის წევრობა სურდათ. მე ჰოლანდიის ტელევიზიის ერთ-ერთ არხზე 2000 წელს განვაცხადე, რომ ლონდონში ჩასვლასა და „სპურზის“ გაწვრთნაზე ვოცნებობდი. ეს მოგონილი ამბავი არ გეგონოთ, ფაქტია.

— „ტოტენჰემი“ დიდი ისტორიის მქონე გუნდია, ის ოდითგანვე ლამაზი, შემტევი ფეხბურთით გამოირჩეოდა. თქვენთვის რამდენად მნიშვნელოვანია ეს ტრადიცია?

— ამ ტრადიციის შენარჩუნებას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჰოლანდიაში ფეხბურთის თამაშის ერთადერთი გზა არსებობს — ლამაზად შეტევა. სხვათა შორის, აქ საკითხი პრინციპულად დგას: ჩვენ ხალხს სანახაობა უნდა შევთავაზოთ. რასაკვირველია, შედეგებიც მნიშვნელოვანია და ამიტომ გუნდმა ორივე უნდა გააერთიანოს.

— თქვენ, როგორც უცხოელი, როგორ აღიქვამთ ინგლისურ ფეხბურთს? თქვენც იზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ დღეისათვის ინგლისური ფეხბურთი მსოფლიოში საუკეთესოა?

— ჩემი აზრით, ინგლისური ფეხბურთი მსოფლიოში უძლიერესია, ულამაზესი კი ესპანური ფეხბურთი გახლავთ.

— თქვენ ფეხბურთელად იმ პერიოდის ჰოლანდიაში ჩამოყალიბდით, როდესაც რინუს მიხელსის ნაკრები „ტოტალურ ფეხბურთს“ ქადაგებდა. ამან თქვენზე როგორი გავლენა იქონია?

— ამ კითხვაზე ერთადერთი, რაც შემიძლია, გიპასუხოთ, ეს არის: შეხედეთ „სპურზს“. ჩვენს გუნდში სამად სამი ფეხბურთელი არ უტევს: მეკარე, რომელმაც მაინც მოახერხა გატანა და ორი ცენტრალური მცველი. მომავალში მსურს, ჩემი ცენტრალური ნახევარმცველები კიდევ უფრო მეტად ჩავრთო თავდასხმაში. ჩემს გუნდში ყველას უნდა შეეძლოს შეტევა და ყველა ვალდებულია, თავი დაიცვას.

— სხვა გუნდების მოთამაშეთაგან, რომელი ფეხბურთელის გაწვრთნას ისურვებდით?

— სხვა ფეხბურთელებზე საუბარი არ მიყვარს, მაგრამ მაინც მოგახსენებთ: სიამოვნებით გავწვრთნიდი ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელს, სტივენ ჯერარდს. კრიშტიანუ რონალდუს დიდი ფანიც გახლავართ. ვაფასებ ჯონ ტერის, რომელიც პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით არის დაჯილდოვებული და ცდილობს, თანაგუნდელები არც ერთ ეპიზოდში არ დაალალატოს. და მაინც, ერთხელაც გავიმეორებ იმას, რაც აქამდეც ბევრჯერ ვთქვი — ყველას ჯერარდი მირჩევნია.

— რაიმე ჰობი გაქვთ? ფეხბურთის გარდა რა გართობთ?

— ზაფხულობით ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად სიამოვნებით ვთამაშობ ჩოგბურთს, ძალიან მიყვარს წყლის სახეობებიც. სპორტის გარდა მიყვარს წიგნების კითხვა და ნახატების ყიდვა, მაგრამ მხატვრობაში დიდი სპეციალისტი მაინც არ გახლავართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ანჩელოტის ჯერარდი ცენტრში სჭირდება
## მალდინის კალაძე წინასწარ სცოდნია

სერია A-ს დასრულებამდე ორი ტურით ადრე „მილანმა“ ოფიციალურად გაინაღდა ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპის საგზური და ახლა მთელი ყურადღება 23 მაისს „ლივერპულთან“ გასამართ ფინალზე აქვს გადატანილი.

„როსონერის“ მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი უკვე მეტოქე გუნდის ტაქტიკის საჯარო განხილვას შეუდგა. მისი აზრით, „მილანისთვის“ უკეთესი იქნება, თუ „ლივერპულის“ თავკაცი რაფაელ ბენიტესი სტივენ ჯერარდს ნახევარდაცვის ცენტრში დააყენებს.

ლივერპულელთა ესპანელი მწვრთნელის აზრითაც, ჯერარდი უფრო ეფექტური სწორედ ნახევარდაცვის ცენტრში, ხავიერ მასკერანოსთან ერთად არის, ვიდრე მარჯვენა ფლანგზე. მან „ჩელსისთან“ ნახევარფინალურ მატჩშიც ასე ითამაშა და ხაბი ალონსო სათადარიგოთა სკამზე დარჩა.

„როცა ჯერარდი ცენტრშია, „ლივერპული“ ნახევარდაცვის შუაში ნაკლებად სოლიდურია, ხოლო როცა იგი ფლანგზეა და ცენტრში ხაბი ალონსო თამაშობს, მერსისაიდელები უფრო დაცულნი და ეფექტურნი არიან. ასე რომ, ჩვენთვის აჯობებს, თუ ბენიტესი პირველ ვარიანტს აირჩევს. ნებისმიერ შემთხვევაში, ვიცით, რა ძლიერი მეტოქე გვყავს და მას პატივს ვცემთ. ჩემი აზრით, ინგლისელებიც იგივეს ფიქრობენ ჩვენზე“ — აღნიშნა კარლოტომ.

ფინალისთვის ემზადება „მილანის“ ვეტერანი კაპიტანი პაოლო მალდინიც. მიმდინარე სეზონში ტრავმებით გაწამებულ მცველს ახლაც მუხლი აწუხებდა, მაგრამ უკვე მოშუშდა და ალბათ „ლივერპულის“ წინააღმდეგ ითამაშებს კიდეც.

პაოლო მალდინი: „თავს კარგად ვგრძნობ და მუხლი აღარ მაწუხებს. განწყობა ოპტიმისტურია. ვფიქრობ, ათენში ვითამაშებ. კვირას „კატანიასთან“ მატჩი ჩემთვის კარგი ტესტი იყო. ბოლომდე თამაშიც შემეძლო, მაგრამ წინასწარვე იყო გადაწყვეტილი, რომ არ გავრისკავდით და კახა კალაძე შემცვლიდა“.

„შავ-წითელთა“ ბრაზილიელმა ლიდერმა კაკამ კი „მილანის“ ყველა გამკრიტიკებელს სთხოვა, სეზონი კარგად გააანალიზოს — უსაფუძვლო კრიტიკას კი არა, ქებას ვიმსახურებთო.

„მიმდინარე სეზონში მწარედ გვაკრიტიკებდნენ, არა მხოლოდ ანჩელოტის რჩეული ერთფორვარდიანი ტაქტიკის, არამედ ყველაფრის გამო, თუმცა, მინუს ქულების მიუხედავად, „მილანმა“ ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა და ამავე ტურნირის ფინალში გავედით. ასე რომ, ყველამ უნდა აღიაროს, სეზონი წარმატებულად ჩავატარეთ. ახლა „ლივერპულის“ დამარცხებაღა დაგვრჩა“ — განაცხადა კაკამ.

და ერთიც: 23 მაისს იტალიური კლუბი უკვე ოცდამეხუთედ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის ფინალში, რაც ამ ტურნირის ახალი რეკორდია. ამ მხრივ მეორე ადგილზე ესპანეთია, რომლის კლუბებსაც ოცჯერ უთამაშიათ ფინალში.

**გიორგი ქაქაბაძე**

## წერილი სისოკოს

**იტალიური** „კორიერე დელო სპორტის“ ცნობით, „იუვენტუსი“ „ლივერპულს“ მოჰამედ სისოკოს ტრანსფერის თაობაზე ოფიციალურად მიმართავს.

მას შემდეგ, რაც ინგლისურმა კლუბმა მასკერანო და ლუკასი იყიდა, სისოკოს გაყიდვის შანსი გაიზარდა.

## პორტსმუთს ალი აუვა

**„უდინეზეს“** ნახევარმცველი სულეი ალი მუნტარი, შესაძლოა, ინგლისურ „პორტსმუთში“ გადავიდეს — ამის შესახებ მისმა აგენტმა სტეფანო ანტონელიმ განაცხადა.

— „უდინეზეს“ უკვე დაუკავშირდა პრემიერლიგური კლუბი და ჩემი კლიენტი „პორტსმუთის“ ფეხბურთელი გახდება — თქვა ანტონელიმ — რამდენიმე დეტალიღაა შესათანხმებელი და ამასაც მალე მოვაგვარებთ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფიგუ ქვიშაზე მკითხაობს: დავრჩე, არ დავრჩე, დავრჩე...



**როგორც ჩანს,** „ინტერის“ პრეზიდენტ მასიმო მორატის, კლუბის სხვა წევრებისა და გულშემატკივრების თხოვნამ გაჭრა — ლუიშ ფიგუმ ეგებ ყატარულ „ალ იტიჰადში“ გადასვლა გადაიფიქროს და „ნეროაძურიში“ კიდევ ერთი სეზონით მაინც დარჩეს.

34 წლის პორტუგალიელი აქამდე გადაჭრით ამბობდა, გადაწყვეტილებას არ შევცვლი, სეზონის ბოლოს მივდივარო, ახლა კი ტონი ცოტა შეარბილა.

„ვერ უარვყოფ, რომ „ინტერში“ მოსვლის პირველივე დღიდან დიდ სიამოვნებას განვიცდი — აქ ბრწყინვალე ხალხი დამხვდა. ვწუხვარ, რომ აქ ადრე არ გადმოვედი, როცა უფრო ახალგაზრდა ვიყავი. „ნეროაძურის“ დატოვება ძალიან რთული იქნება და არ გამოვრიცხავ, დავრჩე. თუმცა ბოლო მომენტში გადაწყვეტილება მაინც ჩემი მისაღები იქნება და ჯერჯერობით უფრო წასვლისკენ ვიხრები. თანაც, კარიერის მაღალ დონეზე, სკუდეტოთი დასრულება იდეალური ვარიანტია, მაგრამ არავინ იცის, რა მოხდება მომავალში“ — თქვა ფიგუმ.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, რომლის „ინტერში“ დარჩენა-არდარჩენის საკითხი გასარკვევია, ერნან კრესპოა. მოგეხსენებათ, ამ შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა — არგენტინელს „ნეროაძურიდან“ წასვლა არ უნდა, მაგრამ იგი „ჩელსის“ საკუთრებაა და თუ ლონდონელები უხმობენ, ვერაფერს გააწყობს.

„არ ვიცი, შევძლებთ თუ არა „ჩელსის“ დარწმუნებას, რომ კრესპო დაგვიტოვონ, მაგრამ ვეცდებით. ერნანი ბრწყინვალე ფორმაშია, კლუბისთვის ძალიან სასარგებლო იყო და, იმედია, მომავალ სეზონშიც ჩვენთან ერთად იქნება“ — განაცხადა მორატიმ.

ბოლომდე გარკვეული არ არის „შავ-ლურჯთა“ ბრაზილიელი ფორვარდის ადრიანოს საკითხიც. „ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ ცოტა ხნის წინ თქვა, თუ მას გუნდში დარჩენა და ძირითად შემადგენლობაში თამაში სურს, ცხოვრების ბოჰემური სტილი უნდა შეცვალოს და ფორმა აღიდგინოსო.

მასიმო მორატი: „ყველამ ვიცით, რომ ადრიანო ნამდვილი ჩემპიონია და დიდი პოტენციალი აქვს. იმედი მაქვს, მალე იგი მწყობრში ჩადგება. მანჩინი კი მისთვის უფროსი ძმასავითაა, ვიდრე მწვრთნელივით. რობერტოს ფეხბურთი უთამაშია და ზუსტად იცის, წარმატებული კარიერის გამო რამდენ რამეზე უნდა თქვა უარი. ვფიქრობ, ადრიანო ვითარებაში კარგად გაერკვევა და ძველებურად ათამაშდება“.

**კოკი კანდელაკი**

# რა უნდა მექსეშის ხელფასს ტოტისთან?



**იტალიური** „რომას“ ფრანგი მცველი ფილიპ მექსეში კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარს ამბობს და ეგებ „სტადიო ოლიმპიკოც“ დატოვოს. გამორიცხული არ არის, მას რუმინელმა კრისტიან კივუმაც მიჰბაძოს, თუ ხელფასს არ მოუმატებენ.

24 წლის მექსეშს მსურველები არ აკლია. იგი „რომასთან“ მოქმედი კონტრაქტით 2008 წლის ივნისამდეა დაკავშირებული.

„ფილიპს დარჩენა უნდა, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობასთან ჯერ ფინანსური დეტალებია შესათანხმებელი. განსხვავება იმ თანხას შორის, რასაც „რომა“ მას ახლა სთავაზობს და რასაც სხვა გუნდები სთავაზობენ, საგრძნობია. მისით იტალიური და უცხოური კლუბები არიან დაინტერესებულნი და არ ვიცი, რა მოხდება, მაგრამ ფილიპი ახლა მხოლოდ სეზონის ჩამთავრებაზე და იტალიის თასის ფინალის საპასუხო მატჩზე ფიქრობს. იგი პროფესიონალია და სხვა გუნდებზე რომც ფიქრობდეს, „რომასთვის“ მაინც ბოლომდე დაიხარჯება. მით უმეტეს, აქ თავს კარგად გრძნობს და დარჩენა უნდა“ — განაცხადა მექსეშის აგენტმა ოლივიე ჟოანომ.

გავრცელებული ცნობით, „რომას“ ხელმძღვანელობა აპირებს, ფრანჩესკო ტოტის ხელფასი შეუმციროს, რათა მექსეშის მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

„იმედია, „რომასგან“ მალე სათანადო შემოთავაზებას მივიღებთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სხვა კლუბების წინადადებებს განვიხილავთ. მოლაპარაკება ჯერ არავისთან დაგვიწყია. ფილიპი ბრწყინვალედ თამაშობს, მაგრამ, რაც აქ არის, აქამდე არაფერი უთხოვია. მისი და კივუს ხელფასი ნამდვილად დაბალია, ისინი მეტს იმსახურებენ. სერია B-ში არიან ისეთი მოთამაშეები, რომლებსაც მათზე დიდი ჯამაგირი აქვთ...“ — დასძინა ჟოანომ.

**კოკი კანდელაკი**

# ნა-პო-ლი! ნა-პო-ლი!
## სოფი ლორენი იხდის...

**ლეგენდარულმა** მსახიობმა, 72 წლის სოფი ლორენმა საქვეყნოდ განაცხადა, რომ თუ „ნაპოლი“ სერია A-ში გადავა... გაიხდის!

მობერებულმა სოფიმ სააგენტო „როიტერს“ ეს სიტყვები გუშინ უთხრა: „მჯერა, „ნაპოლი“ დარჩენილ თამაშებს მოიგებს და სერია A-ს საგზურს მოიპოვებს. თუ ეს ასე მოხდა, გპირდებით, სახალხოდ ვიცეკვებ სტრიპტიზს, ჩვენი კლუბი ასეთ დაფასებას იმსახურებს“.

ვერ გეტყვით, რას იმსახურებს „ნაპოლი“ და რას არა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ სოფი ლორენი ამ გუნდის თავგადაკლული გულშემატკივარია ჯერ კიდევ ბავშვობიდან და განსაკუთრებით დიეგო მარადონას დროინდელი პერიოდიდან...

**კახა შალამბერიძე**



# სარბიელი და კროკი

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 489 | ვესტ ბრომვიჩი-ვულვზი | 2.00 | 3.20 | 3.35 | 1.23 | 1.25 | 1.63 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 3 | ლინკოლნი-როვერსი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 490 | ექსეტერი-მორეკამბი | 2.40 | 3.10 | 2.70 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 16:00 | 5 | დანდი იუნაიტედი-მაზერუელი | 2.00 | 3.30 | 3.30 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 16:00 | 6 | დანფერმლაინი-ფოლკირკი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 16:00 | 7 | სტ.მირენი-ინვერნესი | 2.40 | 3.30 | 2.60 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 16:00 | 8 | აბერდინი-რეინჯერსი | 2.50 | 3.30 | 2.55 | 1.42 | 1.26 | 1.43 |
| 16:00 | 10 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 3.10 | 3.30 | 2.10 | 1.59 | 1.25 | 1.28 |
| 16:00 | 12 | კილმარნოკი-ჰარტსი | 3.30 | 3.40 | 1.95 | 1.67 | 1.22 | 1.23 |
| | | ავსტრია. ბუნდესლიგა | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 17:30 | 52 | ალტახი-მატერსბურგი | 3.60 | 3.20 | 1.90 | 1.69 | 1.24 | 1.19 |
| 17:30 | 53 | რაპიდი-პაშინგი | 1.90 | 3.30 | 3.55 | 1.20 | 1.23 | 1.71 |
| 17:30 | 54 | რიდი-ავსტრია | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 17:30 | 56 | ტიროლი-ზალცბურგი | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| | | შვეიცარია. სუპერლიგა | | | | | | |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 21:45 | 73 | აარაუ-გრასჰოპერი | 3.00 | 3.20 | 2.25 | 1.54 | 1.28 | 1.32 |
| 21:45 | 74 | ბაზელი-სიონი | 1.55 | 3.80 | 5.30 | 1.10 | 1.19 | 2.21 |
| 21:45 | 75 | სტ.გალენი-შაფჰაუზენი | 1.50 | 3.90 | 6.00 | 1.08 | 1.20 | 2.36 |
| 21:45 | 76 | თუნი-იანგ ბოისი | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| 22:15 | 77 | ციურიხი-ლუცერნი | 1.27 | 4.80 | 9.00 | 1.00 | 1.11 | 3.13 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა | | | | | | |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 21:45 | 83 | ბელინცონა-დელემონი | 1.25 | 4.70 | 9.00 | 1.00 | 1.09 | 3.08 |
| 21:45 | 85 | კრიენსი-ქიაზო | 2.45 | 3.20 | 2.45 | 1.38 | 1.22 | 1.38 |
| 21:45 | 86 | შო დე ფონი-ვილი | 2.10 | 3.20 | 2.95 | 1.26 | 1.22 | 1.53 |
| 21:45 | 87 | ლუგანო-სერვეტი | 2.25 | 3.20 | 2.70 | 1.32 | 1.22 | 1.46 |
| 21:45 | 88 | ვინტერთური-ლოკარნო | 1.65 | 3.40 | 4.35 | 1.11 | 1.19 | 1.90 |
| 21:45 | 89 | ვოლენი-კონკორდია | 2.10 | 3.20 | 2.95 | 1.26 | 1.22 | 1.53 |
| 21:45 | 90 | ივერდონი-კაარო | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 21:45 | 91 | ბოლმი-ლოზანა | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 20:30 | 137 | ალავესი-ეხიდო | 1.90 | 3.00 | 4.00 | 1.16 | 1.28 | 1.71 |
| 20:30 | 139 | ალმერია-პონფერადინა | 1.55 | 3.70 | 5.20 | 1.09 | 1.19 | 2.16 |
| 20:30 | 142 | სპორტინგი-სალამანკა | 2.30 | 2.90 | 3.20 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| 20:30 | 143 | ჰერკულესი-ხერესი | 2.40 | 3.00 | 2.90 | 1.33 | 1.31 | 1.47 |
| 20:30 | 145 | ნუმანსია-ლას პალმასი | 2.05 | 3.00 | 3.60 | 1.21 | 1.30 | 1.63 |
| 20:30 | 147 | ვეცინდარიო-რეალი(ბ) | 3.30 | 3.20 | 2.05 | 1.62 | 1.26 | 1.24 |
| | | 20 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 138 | ალბასეტე-სიუდადი | 2.25 | 2.90 | 3.20 | 1.26 | 1.32 | 1.52 |
| 20:00 | 140 | კადისი-ლორკა | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 20:30 | 141 | კასტელონი-ვალიადოლიდი | 2.95 | 2.90 | 2.40 | 1.46 | 1.32 | 1.31 |
| 14:00 | 144 | მურსია-ელჩე | 1.70 | 3.40 | 4.40 | 1.13 | 1.22 | 1.91 |
| 19:30 | 146 | ტენერიფე-მალაგა | 2.05 | 3.00 | 3.60 | 1.21 | 1.30 | 1.63 |
| | | ჰოლანდია. პლეი ოფი | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 14:30 | 372 | ვიტესი-ნაიმეგენი | 2.10 | 3.20 | 3.15 | 1.26 | 1.25 | 1.58 |
| 16:30 | 373 | უტრეხტი-გრონინგენი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 16:30 | 374 | დორდრეხტი-ვალვაიკი | 3.30 | 3.30 | 2.00 | 1.64 | 1.24 | 1.24 |
| 16:30 | 375 | ვენლო-დენ ბოსხი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| | | სლოვაკეთი | | | | | | |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 21:30 | 244 | ბ.ბისტრიცა-რუჟომბეროკი | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 21:30 | 245 | ნიტრა-სლოვანი | 2.10 | 3.10 | 3.10 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 270 | ბრანი-ფრედრიკსტადი | 1.45 | 3.90 | 6.50 | 1.05 | 1.18 | 2.43 |
| 22:00 | 271 | როზენბორგი-სტარტი | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |
| 20:00 | 272 | სტაბეკი-ოდ გრენლანდი | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |
| 20:00 | 273 | სტრომსგოდსეტი-ალესუნდი | 1.70 | 3.40 | 4.45 | 1.13 | 1.23 | 1.92 |
| 20:00 | 274 | ტრომსო-ლილესტრომი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 20:00 | 275 | ვოლერენგა-სანდეფიორდი | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 20:00 | 276 | ვიკინგი-ლინი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 20:00 | 277 | ბოდო გლიმტი-ტრომსდალენი | 1.25 | 5.20 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 3.15 |
| 20:00 | 278 | ჰამარი-ბრინი | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| 20:00 | 279 | ჰონეფოსი-ლოვ ჰამი | 1.45 | 4.00 | 5.80 | 1.06 | 1.15 | 2.36 |
| 20:00 | 280 | კონგსვინგერი-ჰაუგესუნდი | 2.35 | 3.20 | 2.60 | 1.35 | 1.23 | 1.43 |
| 20:00 | 281 | მანდალი-რაუფოსი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 20:00 | 282 | ნოტოდენი-მოსი | 2.80 | 3.30 | 2.20 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 20:00 | 283 | სკეიდი-მოლდე | 5.50 | 4.00 | 1.45 | 2.31 | 1.14 | 1.06 |
| 20:00 | 284 | სპარტა ს-სოგნდალი | 3.50 | 3.40 | 1.90 | 1.72 | 1.23 | 1.21 |
| | | ფინეთი | | | | | | |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 19:30 | 307 | ოულუ-ტამპერე | 4.40 | 3.40 | 1.70 | 1.91 | 1.22 | 1.13 |
| 19:30 | 308 | ჰაკა-ვპს | 1.60 | 3.40 | 5.20 | 1.08 | 1.22 | 2.05 |
| 19:30 | 309 | იარო-კტპ | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:30 | 310 | ტურკუ-ლაჰტი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 15:00 | 311 | ჰიკ-მარიეჰამნი | 1.50 | 3.60 | 6.00 | 1.05 | 1.20 | 2.25 |
| 19:30 | 312 | ინტერი-ჰონკა | 2.50 | 3.20 | 2.55 | 1.40 | 1.26 | 1.41 |
| | | აშშ | | | | | | |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 328 | ტორონტო-ჰიუსტონი | 2.90 | 3.10 | 2.30 | 1.49 | 1.28 | 1.32 |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 329 | ჩივასი-დალასი | 2.30 | 3.10 | 2.80 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| | | მექსიკა | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 513 | კრუს აზული-პაჩუკა | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| 23:45 | 514 | ამერიკა-ჩივასი | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| | | ჩილე | | | | | | |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 512 | უნ ჩილე-აუდაქსი | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| | | უეფას თასი | | | | | | |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 356 | ესპანიოლი-სევილია | 3.85 | 3.20 | 1.95 | 1.74 | 1.29 | 1.21 |
| | | ინგლისი. თასი | | | | | | |
| | | 19 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 2.60 | 3.10 | 2.60 | 1.41 | 1.29 | 1.41 |
| | | იტალია. თასი | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 19:30 | 358 | ინტერი-რომა | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| | | პოლონეთი. თასი | | | | | | |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 22:30 | 506 | ლეხი-ვისლა | 2.10 | 3.10 | 3.20 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| | | ჩეხეთი. თასი | | | | | | |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 19:15 | 359 | იაბლონეცი-ბუდეიოვიცე | 1.90 | 3.10 | 4.00 | 1.17 | 1.28 | 1.74 |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 19:15 | 360 | ზლინი-სპარტა | 4.20 | 3.20 | 1.85 | 1.81 | 1.28 | 1.17 |
| | | დანია. თასი | | | | | | |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 407 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1.60 | 3.50 | 5.15 | 1.09 | 1.22 | 2.08 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 16 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 509 | დეფენსორი-გრემიო | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 23:45 | 510 | ამერიკა-სანტოსი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | 17 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 511 | ბოკა ხუნიორსი-ლიბერტადი | 1.50 | 3.50 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.21 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10003 | ლინკოლნი-როვერსი | 2.55 | 2.00 | 3.45 | 1.12 | 1.46 | 1.26 |
| 10073 | აარაუ-გრასჰოპერი | 3.40 | 2.00 | 2.65 | 1.25 | 1.48 | 1.13 |
| 10074 | ბაზელი-სიონი | 1.90 | 2.30 | 5.60 | 1.04 | 1.41 | 1.63 |
| 10075 | სტ.გალენი-შაფჰაუზენი | 1.85 | 2.30 | 5.80 | 1.02 | 1.40 | 1.64 |
| 10076 | თუნი-იანგ ბოისი | 3.60 | 2.00 | 2.55 | 1.28 | 1.49 | 1.12 |
| 10077 | ციურიხი-ლუცერნი | 1.55 | 2.70 | 8.00 | 1.00 | 1.29 | 2.01 |
| 10356 | ესპანიოლი-სევილია | 4.20 | 2.10 | 2.30 | 1.39 | 1.48 | 1.09 |
| 10357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 3.10 | 1.90 | 3.10 | 1.17 | 1.54 | 1.17 |
| 10407 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 2.05 | 2.20 | 5.70 | 1.06 | 1.50 | 1.58 |
| 10489 | ვესტ ბრომვიჩი-ვულვერჰემპტონი | 2.40 | 2.00 | 3.70 | 1.09 | 1.45 | 1.29 |
| 10490 | ექსეტერი-მორეკამბი | 2.80 | 2.00 | 3.10 | 1.16 | 1.47 | 1.21 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11003 | ლინკოლნი-როვერსი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11073 | აარაუ-გრასჰოპერი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11074 | ბაზელი-სიონი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11075 | სტ.გალენი-შაფჰაუზენი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11076 | თუნი-იანგ ბოისი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11356 | ესპანიოლი-სევილია | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11407 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11489 | ვესტ ბრომვიჩი-ვულვზი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11490 | ექსეტერი-მორეკამბი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12003 | ლინკოლნი-როვერსი | 1.70 | 1.90 |
| 12073 | აარაუ-გრასჰოპერი | 2.10 | 1.55 |
| 12074 | ბაზელი-სიონი | 1.90 | 1.70 |
| 12075 | სტ.გალენი-შაფჰაუზენი | 1.90 | 1.70 |
| 12076 | თუნი-იანგ ბოისი | 1.90 | 1.70 |
| 12077 | ციურიხი-ლუცერნი | 2.10 | 1.50 |
| 12356 | ესპანიოლი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 12357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.60 | 2.00 |
| 12407 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 2.00 | 1.60 |
| 12489 | ვესტ ბრომვიჩი-ვულვერჰემპტონი | 1.70 | 1.90 |
| 12490 | ექსეტერი-მორეკამბი | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13003 | ლინკოლნი-როვერსი | 1.70 | 1.90 |
| 13073 | აარაუ-გრასჰოპერი | 1.50 | 2.10 |
| 13074 | ბაზელი-სიონი | 1.70 | 1.90 |
| 13075 | სტ.გალენი-შაფჰაუზენი | 1.70 | 1.90 |
| 13076 | თუნი-იანგ ბოისი | 1.60 | 2.00 |
| 13077 | ციურიხი-ლუცერნი | 1.95 | 1.65 |
| 13356 | ესპანიოლი-სევილია | 1.70 | 1.90 |
| 13357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.70 | 1.90 |
| 13407 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1.70 | 1.90 |
| 13489 | ვესტ ბრომვიჩი-ვულვერჰემპტონი | 1.70 | 1.90 |
| 13490 | ექსეტერი-მორეკამბი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე გუნდი წააგებს ნაძლევს)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14003 | ლინკოლნი-როვერსი | 1.80 | 2.00 |
| 14073 | აარაუ-გრასჰოპერი | 2.00 | 1.80 |
| 14074 | ბაზელი-სიონი | 1.30 | 2.50 |
| 14075 | სტ.გალენი-შაფჰაუზენი | 1.30 | 2.50 |
| 14076 | თუნი-იანგ ბოისი | 2.10 | 1.75 |
| 14356 | ესპანიოლი-სევილია | 2.20 | 1.70 |
| 14357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.90 | 1.90 |
| 14407 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1.30 | 2.50 |
| 14489 | ვესტ ბრომვიჩი-ვულვერჰემპტონი | 1.70 | 2.20 |
| 14490 | ექსეტერი-მორეკამბი | 1.85 | 1.95 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15003 | ლინკოლნი-როვერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15073 | აარაუ-გრასჰოპერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15074 | ბაზელი-სიონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15075 | სტ.გალენი-შაფჰაუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15076 | თუნი-იანგ ბოისი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15077 | ციურიხი-ლუცერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15356 | ესპანიოლი-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15407 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15489 | ვესტ ბრომვიჩი-ვულვერჰემპტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15490 | ექსეტერი-მორეკამბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16003 | ლინკოლნი-როვერსი | 1.55 | 2.20 |
| 16073 | აარაუ-გრასჰოპერი | 2.10 | 1.60 |
| 16074 | ბაზელი-სიონი | 1.17 | 4.10 |
| 16075 | სტ.გალენი-შაფჰაუზენი | 1.14 | 4.70 |
| 16076 | თუნი-იანგ ბოისი | 2.20 | 1.50 |
| 16356 | ესპანიოლი-სევილია | 2.45 | 1.40 |
| 16357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.82 | 1.82 |
| 16407 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1.22 | 3.40 |
| 16489 | ვესტ ბრომვიჩი-ვულვერჰემპტონი | 1.40 | 2.55 |
| 16490 | ექსეტერი-მორეკამბი | 1.70 | 1.95 |

### გოლი:წყვილი-1თუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17003 | ლინკოლნი-როვერსი | 1.85 | 1.95 |
| 17073 | აარაუ-გრასჰოპერი | 1.85 | 1.95 |
| 17074 | ბაზელი-სიონი | 1.85 | 1.95 |
| 17075 | სტ.გალენი-შაფჰაუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17076 | თუნი-იანგ ბოისი | 1.85 | 1.95 |
| 17077 | ციურიხი-ლუცერნი | 1.85 | 1.95 |
| 17356 | ესპანიოლი-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17357 | ჩელსი-მანჩესტერი(ნ) | 1.85 | 1.95 |
| 17407 | კოპენჰაგენი-ოდენსე | 1.85 | 1.95 |
| 17489 | ვესტ ბრომვიჩი-ვულვერჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 17490 | ექსეტერი-მორეკამბი | 1.85 | 1.95 |

## შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

# საქართველოს ჩემპიონატი

## სუპერფინალი (სამ მოგებამდე)

# რწმენა, ძამიკო, რწმენა!

## აზოტი 1:0 ავიამშენი

15 მაისი. რუსთავი

**აზოტი 85:75 ავიამშენი**

*31:27 22:21 19:13 13:14*

**აზოტი:** გამყრელიძე (11), ტულუში (6), ბოისა (9), ბეჟანიშვილი (12), უგრეხელიძე (19); მარკოიშვილი (16), დიდია (5), მალეშევიჩი (3), გოგობერიშვილი (2), ტუჯანი (2)

**ავიამშენი:** ი. ბერიშვილი (17), ნიკოლაძე (5), ბარბაქაძე (9), ბაბიაშვილი (24 ქულა, 13 მოხსნა), როდუმტა (5); კიდია (7), დ. ბერიშვილი (4), სუხიშვილი (4), ხოშტარია, კვიმსაძე, მოსეშვილი

*მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერკაშვილი, მაკა კუპატაძე*

## აზოტმა თავი იგრძნო




გიორგი მარკოიშვილი

**ირაკლი ფირაშვილი** *რუსთავიდან*

**რუსთავის** „აზოტი" წლეულს მესამე ქართულ ტურნირს აგვირგვინებს. ქვემოქართლელებმა სეზონში მხოლოდ ორი თამაში წააგეს და საქართველოს ჩემპიონატის ფინალშიც ფავორიტის სტატუსით გავიდნენ, მაგრამ ფავორიტობა ჩემპიონობა არაა, მას მოპოვება სჭირდება და ფინალში აქამდე ოთხჯერ ხელმოცარულმა რუსთაველებმა ტიტულთან მეხუთე მისვლა მოგებით დაიწყეს. „ავიამშენი" ყოჩაღი გუნდია, ნახეთ, ნახევარფინალში რა იოლად აჯობა თსუ-ს? თანაც ხომ გახსოვთ, მოქმედი ჩემპიონია, მაგრამ...

ლევან მოსეშვილის გუნდმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწია „აზოტს" და საქმეც ესაა: „ავიამშენი" არ იყო წასაგებად ჩასული რუსთავში, მაგრამ მისსა და „აზოტს" შორის განსხვავება სწორედ ეს მცირე ნიუანსი იყო — „აზოტი" იყო მოსაგებად შემართული.

დაიწყო შეხვედრა და გამოცდილმა ვაკო ბეჟანიშვილმა მასპინძლები ფარქვეშიდან ორქულიანით დააწინაურა. ზვიად ბაბიაშვილმა ორიანითვე უპასუხა და ასე გაგრძელდა, „აზოტი" აგდებდა „ავიამშენი" კი პასუხობდა და... სულ ერთი ნაბიჯით უკან იყო. დაცვით თამაშში სპეციალიზირებულმა ანატოლი ბოისამ შეტევაშიც გამოიჩინა თავი, ორი ტყუპისცალივით სამიანი ჩააგდო, შუალედში ლაშა გამყრელიძემ ორიანიც მოინადირა და „აზოტი" 10:5 დაწინაურდა.

„ავიამშენს" არ ჰქონია დიდი ჩავარდნები, კარგად პასუხობდა „აზოტს". იგრძნობა, რომ ჩემპიონებს რეზერვი აქვთ — თითქმის არ უთამაშია მათ კაპიტან ირაკლი ხოშტარიას, რომელიც ყოველთვის ძალაა, მაშინაც კი, როცა თამაში არ მისდის. ამასთანავე მოსეშვილი მეტ სამქულიანს ელის ირაკლი და დავით ბერიშვილებისგან, რომელთაც გუშინ მხოლოდ 3 ჩააგდეს (სამივე ირაკლი ბერიშვილის ანგარიშზეა). ასე რომ, შემდეგი თამაშები ალბათ უფრო საინტერესო იქნება. მაგრამ ჩავლილ მატჩს დავუბრუნდეთ.

პირველი მეოთხედი საკმაოდ უხვქულიანი გამოვიდა — 31:27 დამთავრდა და ისეთი წინათგრძნობა გაჩნდა, მთლიანად თამაში იქნებოდა ასეთი, მაგრამ შემდეგ ორივე გუნდმა დაცვას მოუჭირა და შედეგიანმა შეტევებმაც იკლო.

პირველი მეოთხედის ნახევარზე მეტი ჩავლილი იყო, როცა „აზოტისა" და ნაკრების გამთამაშებელმა ლაშა გამყრელიძემ თვალი დაიშავა და ის სერბმა ბოიარ მილეშევიჩმა შეცვალა. რუსთაველთა ლეგიონერი გამყრელიძეზე 10-12 სანტიმეტრით მაღალია და მასავით სხარტი ვერაა, მაგრამ თამაშის ხედვა კი აქვს — მან ჯერ გიორგი მარკოიშვილი მონახა ფარქვეშ, შემდეგ კი დავით უგრეხელიძე და მასპინძლები 9 ქულით გალიდერდნენ — 26:17. მოსეშვილმა წუთშესვენება აიღო და მისმა გუნდმა მეოთხედის დარჩენილი 3 წუთი 10:5 მოიგო. აქ 7 ქულა „ავიამშენის" ბომბდამშენმა ზვიად ბაბიაშვილმა გააკეთა.

მეორე მეოთხედი ახალი დაწყებული იყო, როცა ავიატორმა ირაკლი ბერიშვილმა სამქულიანით თავისი გუნდი პირველად და უკანასკნელად დააწინაურა — 32:31, მაგრამ იმ თამაშში სამქულიანები სტუმართა კალათში უფრო ხშირად ცვიოდა. შემდეგ ორ შეტევაში ორი გაისროლა განთქმულმა შორსმსროლელმა გიორგი მარკოიშვილმა და „აზოტი" 5 ქულით წასწია. პირველ ტაიმში „ავიამშენს" მეტოქე ამაზე შორს აღარ გაუშვია.

სტუმრები მესამე მეოთხედშიც თითქოს საპატიო ინტერვალით მიჰყვებოდნენ მასპინძლებმა, ირაკლი კეიდიას ორქულიანის შემდეგ სამ ქულამდეც მიუახლოვდნენ, მაგრამ ამ კატათაგვობანას დამსგავსებულ თამაშში კვლავ „აზოტმა" იგდო ხელთ სათამაშო უპირატესობა და შთამბეჭდავი გაქცევა მოაწყო, რისი წყალობითაც გატეხა კიდეც მეტოქე. 64:61 ანგარიშზე, მესამე მეოთხედის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე მასპინძლები სამიზნე გამართეს — დიდის ორიანი, მილოშევიჩის მოულოდნელი სამიანი, ტულუშიც სამიანი — და 8:0 მოგებული მონაკვეთის წყალობით, პირველად ასცდნენ 10-ქულიან სხვაობას. 72:61 დასრულდა მესამე მეოთხედი და „აზოტი" მიხვდა, რომ ამ უპირატესობას მეოთხეში იოლად აქცევდა გამარჯვებად.

როგორც გითხარით, „ავიამშენი" მოშხადებული კი შეხვდა ფინალური სერიის პირველ ჯახს, მაგრამ არა მოსაგებად შემართული. თუნდაც 3-5 ქულით, მაგრამ მუდმივად მდევრად ყოფნაც ხომ არყევს გამარჯვების სურვილს და რწმენას ერთხანს 16 ქულითაც ჩამორჩა მასპინძლებს, მართალია, შემდეგ 10 ქულამდეც მიუახლოვდა და დროც საკმაოდ რჩებოდა, 2 წუთზე ცოტა მეტი, მაგრამ რწმენა, ძამიკო, რწმენა! ეს აშკარად აკლდათ ჩემპიონებს.

„აზოტმა" 10 ქულით იმარჯვა და დღეს ასევე შინაურ თამაშში ეცდება მოგებას მოგება მიაბას. წესით, ეს შეხვედრა უფრო დაძაბული უნდა იყოს.

**ირაკლი ფირაშვილი**



აზოტელი ლაშა გამყრელიძე ავიატორების გარემოცვაში

# მესამე ადგილისთვის (ორ მოგებამდე)

## თსუ 1:0 დინამო

15 მაისი. ვერის ბაღი

**თსუ 112:90 დინამო**

*30:23 29:23 26:25 27:19*

**თსუ:** ვეფხვაძე (2), ლეჟავა (11), ფანჩულიძე (29), მ. ბერიშვილი (24), მათიაშვილი (4); იმნაძე (24), ბ. ბერიშვილი (9), ხეცურიანი (7), შანიძე (6), არწივიძე (3), მარხვაშვილი (6)

**დინამო:** სიგუა (2), ფაიქრიძე, ბადრიძე (22), კოლუაშვილი (15), გვიმრაძე (17); ლადუანაშვილი (10), გულისაბედაშვილი (6), წერეთელი (4), ბოლქვაძე (4), ნოზაძე (10)

*მსაჯები: დავით არეშიძე, მალხაზ ანდღულაძე*

*კომისარი: თენგიზ ქიქოძე*

## უინტრიგო და უმაყურებლო

**მესამე** ადგილისთვის მატჩები ზოგადად ინტერესმოკლებულია, მაგრამ ბრინჯაოს სერიის პირველ მატჩში ტრიბუნებზე თუ ასეთი სიხალვათე იქნებოდა, ძნელად თუ დავიჯერებდით. გუშინ ვერის ბაღში თითებზე დასათვლელი ადამიანი მოვიდა თსუ-სა და „დინამოს" მატჩის საცქერლად — ქართული საკალათბურთო სამყარო ფინალის მოლოდინში იყო და თვალი რუსთავისკენ ეჭირა.

მესამე ადგილისთვის მატჩი, ფინალის დღეს რომ არ დამთხვეოდა, მაინც არ გაივსებოდა ვერის ბაღის დარბაზი, რადგან ამ წყვილში გამარჯვებული ლამის წინდაწინაა ცნობილი და ეს გუშინაც კარგად გამოჩნდა.

თსუ-სთვის რომ გეკითხათ, საჩემპიონო ამბიცია ჰქონდა, მაგრამ ნახევარფინალში „ავიამშენთან" წააგო და ახლა სტუდენტებს ბრინჯაოს მოგება ლამის გარანტირებული აქვთ. ნახევარი საქმე გაკეთებულია: გუშინ თსუ-მ პირველი იოლი გამარჯვება მოიპოვა და ხვალაც იმარჯვებს, ჩემპიონატს შარშანდელივით მესამე ადგილზე გაასრულებს.

სტუდენტების დამრიგებელი ნუგზარ ჭეიშვილი რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს ამბობდა, „დინამოს" რამდენჯერაც შევხვდით, იმდენჯერ გაგვიჭირდა და ვეცდები, ეს გუნდი პლეი ოფში არ გავიდესო. თსუ-ს თავკაცი წინ იყურებოდა და იმ ვარიანტსაც განიხილავდა, „ავიამშენთან" რომ წაეგო ნახევარფინალი და საბრინჯაო მეტოქე შეერჩია. თუმც თსუ-მ ვერ მოუგო „დინამოს" რეგულარულის ბოლო შეხვედრა და მესამე ადგილისთვის მატჩში სწორედ მას შეეჯახა.

ტყუილად ძირავდა ჭეიშვილი „დინამოს" — გუშინ გამოჩნდა, რომ მას სანერვიულო არაფერი აქვს. სტუდენტებმა ოთხივე მეოთხედი მეტ-ნაკლები სხვაობით მოუგეს დინამოელებს და მთლიანობაში სოლიდურადაც გაიმარჯვეს.

ძნელია, ილაპარაკო ისეთ მატჩზე, სადაც ერთი გუნდი აშკარად ჯაბნის მეორეს. „დინამო" თავიდან ცოტა გაუძალიანდა სტუდენტებს, მაგრამ მიხეილ ფანჩულიძისა და დავით იმნაძის მოძალებას მათ ვერაფერი მოუხერხეს — შესაბამისად ჩამორჩნენ და მთელი მატჩი ამაოდ ცდილობდნენ წამოწევას.

დინამოელებს მცირე იმედი მაშინ მიეცათ, როცა თსუ-ს ცენტრმა რიჩარდ მათიაშვილმა 5 წუთში 3 პერსონალური მიიღო და თამაშიდან უსაფრთხოების მიზნით გავიდა. ვაის გავეყარე და უის შევეყარეო, ასე იყო „დინამოს" საქმე, რადგან მათიაშვილის ნაცვლად მოედანზე შესულმა იმნაძემ ფარქვეშ ფეხი ისე გაიდგა, იქ კაციშვილს არ აჭაჭანებდა და თსუ-ს ანგარიშზე ბითუმად ირიცხებოდა ქულა-მოხსნები.

მესამე მეოთხედში თსუ-ს უპირატესობამ 20 ქულას მიაღწია და გამარჯვებულის ვინაობაც ფაქტობრივად გაცხადდა. ხვალ მეორე მატჩია და თსუ ალბათ გაინაღდებს კიდეც მესამე ადგილს.

**ირაკლი პერტაია**

## აღმოსავლეთი

### კლივლენდი 3:1 ნიუ ჯერსი

**ნიუ ჯერსი 85:87 კლივლენდი**

ნიუ ჯერსი: კარტერი (25 ქულა, 9 მოხსნა, 9 პასი), მური (25), ჯეფერსონი (15), კიდი (5 ქულა, 17 მოხსნა, 7 პასი)

კლივლენდი: ჯეიმსი (30 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), ჰიუზი (19), ილგაუსკასი (13 ქულა, 11 მოხსნა)

# მარტივი არითმეტიკა

## ლებრონ ჯეიმსმა დიდი ხანია, თვლა ისწავლა

„**წარსულიდან** ბევრი ვისწავლეთ და ახლა აქ იმიტომ ვართ, რომ ეს ცოდნა გამოვიყენოთ. მხოლოდ მოგება დაგვაკმაყოფილებს. არ გვაწუხებს ილუზიები, ვიცით, ეს არ იქნება იოლი, მაგრამ ჩვენ ეს შეგვიძლია და ეს სერია შემდეგ თამაშში, ჩვენს მოედანზევე უნდა დავამთავროთ" — მხოლოდ 22 წლისაა, მაგრამ ლამის 30 წლის ვეტერანის თვალებით უმზერს მოვლენებს „კლივლენდ კავალიერზის" ლიდერი ლებრონ ჯეიმსი.

მისმა გუნდმა შეასრულა პროგრამა მინიმუმი — ისტ რეზერფორდში, „ნიუ ჯერსის" მოედანზე ერთი მოგება აართვა მეტოქეს, სერიაში 3:1 დაწინაურდა და ახლა კარგი შანსი აქვს, შინაურ კედლებშივე მოამთავროს საქმე. მოიგებენ და „კავალერები" კლუბის ისტორიაში მესამედ გავლენ აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალში, რომელშიც ბოლოს მაშინ ითამაშეს, როცა ლებრონ ჯეიმსი სკოლაში ათის ფარგლებში მიმატება-გამოკლებას სწავლობდა. ახლა მის მონაგარს სტატისტიკოსები ითვლიან.

ამ თამაშის მოგება კი გვარიანად გაუჭირდათ ლებრონიანებს. „ნიუ ჯერსი" იოლად არაფერს თმობდა — მართალია, ჯეისონ კიდს სროლა არ წაუვიდა და ვერც ძალიან ბევრი პასი არიგა, ამის მაგივრად მან არაპირდაპირი ვალდებულება შეასრულა, 193-სანტიმეტრიანმა კაცმა ორივე გუნდში ყველაზე მეტი მოხსნა მოიხვეჭა. მისი საქმე მეორე გამოცდილმა სუპერვარსკვლავმა — ვინს კარტერმა აკეთა და იმდენი პასი ჩამოურიგა თანაგუნდელებს, ლამის სამმაგ დუბლს შესწვდა. ბოლოს მასვე შეეძლო გამხდარიყო მატჩის გმირი, დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე „კლივლენდი" 86:81 იგებდა, კარტერმა იმდენი იაქტიურა, რომ ორჯერ დადგა საჯარიმო ხაზზე და ოთხივე ტყორცნა გამოიყენა — 86:85. ჯეიმსმა კი ორიდან მხოლოდ ერთი ჩააგდო და ნიუჯერსელებს შეტევისთვის 10 წამი დარჩათ, მაგრამ კარტერმა გვერდითი ხაზიდან შემოტანილი ბურთი ვერ დაიჭირა ხეირიანად, დაუვარდა და სამქულიანის სროლის შანსიც გაუფრინდა.

# PLAYOFFS 2007

**ეს სერია** თანდათან ემსგავსება შარშანდელ „დალას" — „სან ანტონიოს" ჯახს. მაშინ ბრძოლა 7 თამაშამდე გაგრძელდა და დიდი შანსია, ახლაც ასე მოხდეს. ეს ორი საჩემპიონო გაქანების გუნდი არაფერს ერიდება წარმატების მისაღწევად. ორივემ იცის, რომ პლეი ოფს შემორჩენილი გუნდებიდან ყველაზე ძლიერები თავად არიან და მთავარია ეს სერია მოიგონ, მერე კი ყველაფერი გაცილებით გაადვილდება.

არაფერს ერიდებიანო, ვთქვით და ამაში უხეშობაც იგულისხმება. პირველივე თამაშში „ფინიქსის" ლიდერ სტივ ნესს სანანტონიოელი ტონი პარკერი სახეში თავით შეეტაკა და პირდაპირ რომ ვთქვათ, ცხვირი გადაუხლიჩა. მართალია, ეს შემთხვევითობა იყო და პარკერის ჩანაფიქრი არ ყოფილა ნეშის ცხვირზე ექვსი ნაკერის დადება, მაგრამ ასე ვთქვათ, ეს იყო მესიჯი, რა უკომპრომისო და უხეში იქნებოდა მთელი სერია. მართლაც, მეორე შეხვედრაში უკვე ფინიქსელთა ჯერი დადგა — მათ თვალი ჩაულურჯეს სანანტონიოელთა არგენტინელ მოიერიშე მანუ ჯინობილის.

ამ თამაშში სისხლი არ დაღვრილა, სამაგიეროდ იყო დიდი გაწევ-გამოწევა და თავად შეხვედრა მძიმეწონოსანთა კრივს უფრო გავდა, ვიდრე ბურთაობას, განსაკუთრებით დასკვნით ეპიზოდში. ბოლო მეოთხედში თავიდან სანანტონიოელები უფრო მძლავრობდნენ — საფინალო სირენამდე 2 წუთით და 22 წამით ადრე მათმა ლიდერმა ტიმ დანკანმა ორქულიანით 97:92 წასწია თავისი გუნდი და თითქოს „სან ანტონიომ" მნიშვნელოვანი უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ თურმე ყველაფერი ახლა იწყებოდა: ჯერ ნეშმა ჩააგდო ორიანი, შემდეგ შონ მერიონმა ჩატენა და ამას ამარე სტუდემაიერმა ახლო მანძილიდან ორი ორიანი მოაყოლა — 100:97 უკვე „ფინიქსის" წინ ყოფნით. „სან ანტონიომ" სტუმართა ქულების წვიმას მაიკლ ფინლის კინკილა საჯარიმოთი და რობერტ ჰორის ზღვარგადასული უხეშობით უპასუხა. 18 წამით ადრე ჰორიმ „სან ანტონიოს" დამაქცევარს ისე ჰკრა ხელი, რომ მსაჯთა მაგიდას შეახალა. ნეში მსწრაფლ წამოხტა და მოინდომა ხურდა დაებრუნებინა ტანად დიდი ჰორისთვის, მაგრამ მას თანაგუნდელმა რაჯა ბელმა დაასწრო და ის ეცა სანანტონიოელ თავდამსხმელს.

## დასავლეთი

### ფინიქსი 2:2 სან ანტონიო

**სან ანტონიო 98:104 ფინიქსი**

სან ანტონიო: პარკერი (23), დანკანი (21 ქულა, 11 მოხსნა), ფინლი (17), ბერი (12), ჯინობილი (10)

ფინიქსი: სტუდემაიერი (26), ნეში (24 ქულა, 15 მოხსნა), ტომასი (14), მერიონი (12 ქულა, 12 მოხსნა), ბელი (12), ბარბოსა (10)

# ესაა კალათბურთი?!

## ნეშს ისევ მოხვდა, მომრტყმელი დაზარალდა

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მსაჯებმა ყაყანყალის ჩაცხრობის შემდეგ ჰორი მოედნიდან გააგდეს, ბელს კი ერთი ტექნიკური აკმარეს. ნამატჩევს ბელი ამბობდა — „ამ გუნდმა ბოლო წუთებზე უხეშობის გარდა ვერაფერი დაგვაპირისპირა. იმას, რაც ჰორიმ გააკეთა, ჰოკეის ჯარიმა უფრო ჰქვია, ვიდრე კალათბურთის სტილზე აშკარად იწყენ, რომ ვერაფერს უხერხებენ, უმოწყალოდ ურტყამენ. არ შეიძლება ამის ასე დატოვება"

დარჩენილი 18 წამი „ფინიქსმა" ტყორცნებით 4:1 მოიგო და სერიაში ანგარიში გაათანაბრა, რაც ასევე იმას ნიშნავს, რომ „სან ანტონიომ" ფინიქსისა პირველი მატჩის მოგებით მოპოვებული მოედნის უპირატესობა დაკარგა და ფაქტობრივად ყველაფერი თავიდან იწყება. შემდეგ მატჩს „ფინიქსი" მასპინძლობს.

**კოტე ყორშია**



# კასპიის ზღვამ ვერ უნდა დაგვაშოროს



ცოტნე ლაბაშია და მისი „პაგი"

**ცხენოსნობის** საერთაშორისო ფედერაცია (ფეი) აფართოებს თავის მოღვაწეობას ამიერკავკასიაში. საკუთრივ „კავკასიის თასის" სპორტული მასშტაბის ერთგვარმა დავიწროებამ — შარშანწინიდან გუნდური თასის წილ მხოლოდ პირადი პრიზები გათამაშდა — როგორც ჩანს, ვერ შეარყია ფეის ოპტიმიზმი ამ რეგიონში ცხენოსნობის მომავალი განვითარების თვალსაზრისით.

ახლა კიდევ „კასპიის თასის" პირველი ასპარეზობა ჩატარდა. თითქოს ეს უშუალოდ ამიერკავკასიას არ უნდა უკავშირდებოდეს. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღესდღეობით სომხეთის გუნდს აზერბაიჯანში არ ჩაესვლება, და ასევე — აზერბაიჯანს სომხეთში; ასე რომ, თბილისში შვიდგზის გამართული საერთო ამიერკავკასიური მხედრული ტურნირის მნიშვნელობა სცილდება ვიწროდ შემოსაზღვრულ სპორტულ ჩარჩოებს. ველოდით კიდეც, რომ ამ ასპარეზობაზე მონაწილეობას მიიღებდნენ რუსეთის კასპიისპირა რეგიონებისა და შუა აზიის ქვეყნების (ყაზახეთის, თურქმენეთის) სპორტსმენები, მაგრამ ასეთი ფართო თვალსაწიერი მხოლოდ სავარაუდოა და ამდენად, ისევე, როგორც 2000 წელს ერევანში კავკასიის თასის პირველ ასპარეზობაზე საქართველოს გუნდის ჩასვლით საერთაშორისო სტატუსის ფეის ტურნირი შედგა, ბაქოშიც თბილისიდან 8 ცხენ-მხედრის სტუმრობამ ჩაუყარა საფუძველი ახალ ასპარეზობას.

ამ სტუმრობას ჩვენთვის წარმატებულს ვერ დავარქმევთ; 10-11 მაისს გამართული დაბრკოლებათა გადალახვის შეჯიბრში („ჰეიდარ ალიევის პრიზი" და „კასპიის თასი") ერთი მესამე ადგილი „ძნელი, B კლასის" კონკურზე (სიმაღლე — 120-130 სმ) სხვა შეფასებას ვერ იმსახურებს. პირველ ორპიტიან კონკურში 2003 წელს ალიევის პრიზის პირველი მფლობელი, ამჟამად ცხენოსანი ესკადრონის მხედარი ცოტნე ლაბაშია (თბილისის „ჟოკეიკლუბის" 18 წლის ულაყი „პაგი") და ვანო ნორაკიძე („ეროსი") IV-V ადგილებზე გავიდნენ. საკუთრივ ერთპიტიან „კასპიის თასის" კონკურის (130 სმ) ძირითადი მარშრუტი ლაბაშიამ სუფთად გაიარა, შარშანდელ „კავკასიის თასზე" გამარჯვებულ სეიდ მუსაევსა და მეორე, აზერბაიჯანში მოწვეულ მხედართან ერთად. მუსაევი ამჟამად ახალ საკონკურო ბედაურზე იყო ამხედრებული („პოლიაჩკა"), ხოლო მეორე ცხენი თბილისელ მოყვარულთათვის კარგად ნაცნობი „გრადი" იყო (მასზე შარშან აზერბაიჯანელთა მწვრთნელი ტ. ვენტო იჯდა). დამატებით ხტომებში ცოტნემ სისწრაფით მაქსიმუმის მიღწევა მოინდომა, მაგრამ მეტოქეებივით სუფთად ველარ გაიარა. ამავე კონკურში გიორგი აფციაური („ფანდური") მეხუთე იყო.

მეტს ველოდით ახლახან ავთანდილ კიკიანის მემორიალსა და თბილისის თასზე გამარჯვებული წყვილისაგან. „ვერ შევძელი „ასპარეზისა" და საკუთარი თავის მობილიზება უშუალოდ მარშრუტის გავლისას", — მითხრა შალვა გაჩეჩილაძემ. სწორი და გულწრფელი შეფასებაა. ჭაბუკის გასამხნევებლად იმის თქმაღა დაგვრჩენია, რომ ამის მიღწევა საცხენოსნო სპორტის ერთი ძირითადი საიდუმლოა. აქ არავინ გადროვებს, სტარტზე გამოსვლისთანავე წამები წყვეტენ ასპარეზობის ბედსა და ცხენ-მხედრის წლობით შეძენილი ოსტატობის გამოვლენის შესაძლებლობას.

ამიტომაც დიდია ასეთი საერთაშორისო ტურნირების აღმზრდელობითი ძალა. მით უმეტეს, რომ აზერბაიჯანელ მასპინძლებთან ბევრი რამ იყო საგულისხმო. მაგრამ ეს უკვე მხოლოდ მხედრებს არ ეხება. ვერ ვიტყვით, რომ კერძო საცხენოსნო კლუბი „გიუნაის" სპორტულ სტრატეგიაში ჩვენთვის ყველაფერი მისაღები იყოს (თუნდაც მწვრთნელებისა და მხედრების მეტწილად უცხოეთიდან მოწვევა, მადლობა ღმერთს, ჯერ კიდევ საკუთარი ძალები მოგვეპოვება), მაგრამ ის ზრუნვა და მცდელობა, რითაც ცხენოსნობაა გარემოსილი, ნამდვილად სანატრელია ჩვენი სინამდვილისათვის. საქართველოში, ფაქტობრივად საცხენოსნო სპორტის ყოფნა-არყოფნის პრობლემა დგას. სიმბოლურია, რომ ერთადერთი ცხენსაზიდი ცხენების სამსხვერპლოდ იქცა („ასპარეზი" რომ უენო პირუტყვი არ იყოს, პატრონზე მეტს გვეტყოდა). მაგრამ მკითხველის გულის აჩუყებას არ ვაპირებ. მით უმეტეს — მორალური მხარდაჭერაც არსაიდან ჩანს. მართალია, კლასიკური ცხენოსნობის ერთი ძირითადი დარგის — კონკურის დღევანდელი კლასიფიკაციის 8 საფეხურიდან მესამე-მეოთხეს თუ შევწვდებით, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენი ქვეყანა ამავე დროს უძველესი ხალხური ცხენოსნობის საგანძურის მფლობელია. საერთო გულგრილობამ კი შეიძლება გამოუსწორებელ შედეგამდე მიგვიყვანოს.

**ნოდარ ეგრალიძე**

# ასეთი ნადალი ჰამბურგსაც გაუძლებს

**მასტერსი. ჰამბურგი. გერმანია. თიხნარი**

საპრიზო 2 200 000 $

### პირველი წრე

**ხუან მონაკო** (არგენტინა) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:2 6:2; **მარატ საფინი** (რუსეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 7:6 6:4; **ხუან-კარლოს ფერერო** (15, ესპანეთი) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 6:1 7:6; **დავიდ ფერერი** (12, ესპანეთი) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4 3:6 6:2; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — რობი ჯინეპრი (აშშ) 4:6 6:4 6:3; **ფლორენ სერა** (საფრანგეთი) — სიმონე ბოლელი (იტალია) 6:7 6:2 6:2; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 7:6 6:2; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი) — ტობიას ზუმერერი (გერმანია) 6:1 7:6; **ტომაშ ბერდიხი** (10, ჩეხეთი) — ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) 7:6 6:4; **კარლოს მოია** (ესპანეთი) — მარდი ფიში (აშშ) 6:0 6:3; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) 6:3 6:7 6:3; **ნიკოლას ალმაგრო** (ესპანეთი) — მარტინ ფერკერკი (ჰოლანდია) 6:1 6:3; **ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 6:3 6:4; **ფილიპო ვოლანდრი** (იტალია) — ენდი მიურეი (9, ბრიტანეთი) 1:5 *(უარი)*; **ლეიტონ ჰიუიტი** (16, ავსტრალია) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:3 6:4; **ხუან იგნასიო ჩელა** (არგენტინა) — გილერმო კანასი (არგენტინა) 6:1 4:6 6:1; **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — მარკ ჟიკელი (საფრანგეთი) 6:1 6:0; **პოლ-ანრი მატიო** (საფრანგეთი) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 6:1 7:6; **რიშარ გასკე** (11, საფრანგეთი) — გასტონ გაუდიო (არგენტინა) 6:1 6:4; **ფილიპ კოლშრაიბერი** (გერმანია) — მარკოს ბაღდატისი (14, კვიპროსი) 7:5 6:3; **იგორ ანდრეევი** (რუსეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) 6:2 1:0 *(უარი)*; **ოსკარ ერნანდესი** (ესპანეთი) — ბენჯამინ ბეკერი (გერმანია) 6:3 6:7 6:3

**ქალები. რომი. იტალია. თიხნარი**

საპრიზო 1 340 000 $

### პირველი წრე

**პატი შნიდერი** (14, შვეიცარია) — ვასილისა ბარდინა (რუსეთი) 6:1 6:2; **შაჰარ პეერი** (11, ისრაელი) — აგნესა რადვანსკა (პოლონეთი) 6:0 2:0 *(უარი)*; **აი სუგიამა** (იაპონია) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:4 5:7 7:5; **მიკაელა კრაიჩეკი** (ჰოლანდია) — ოლგა პუჩკოვა (რუსეთი) 6:1 6:2; **ტამირა პაშეკი** (უნგრეთი) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 6:7 6:0 6:2; **ალიონა ბონდარენკო** (უკრაინა) — ტიან ტიან სუნი (ჩინეთი) 6:7 7:5 6:2; **ელენა დემენტიევა** (10, რუსეთი) — მარია ელენა კამერინი (იტალია) 6:1 6:2; **კატალინა კასტანო** (კოლუმბია) — კარინ კნაპი (იტალია) 6:1 7:5; **მეგან შონესი** (აშშ) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 6:3 6:2; **სიბილ ბამერი** (ავსტრია) — გიზელა დულკო (არგენტინა) 7:5 7:5; **დანიელა ჰანტუხოვა** (9, სლოვაკეთი) — არავანე რეზაი (საფრანგეთი) 4:6 6:1 6:2; **კატარინა სრებოტნიკი** (სლოვენია) — მარტინა მიულერი (გერმანია) 6:4 6:2; **გალინა ვოსკობოევა** (რუსეთი) — ალბერტა ბრიანტი (იტალია) 6:2 6:3; **კაია კანეპი** (ესტონეთი) — ლურდეს დომინგეს ლინო (ესპანეთი) 6:3 6:3; **კაროლინ შპრემი** (ხორვატია) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 3:6 6:4 6:3; **იულიანა ფედაკი** (უკრაინა) — რომინა ოპრანდი (იტალია) 6:3 3:6 6:3; **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — ანა-ლენა გრონეფელდი (გერმანია) 6:0 6:4; **სამანტა სტოსური** (ავსტრალია) — ფრანჩესკა შიავონე (იტალია) 6:3 6:4

**ორიოდე კვირაც** და „როლან გაროსის" კორტებზე წლის მეორე სლემტურნირი დაიწყება. ჰოდა, ჰამბურგის მასტერსი საპრიზო ბატალიებისთვის მოსამზადებლად უკანასკნელი კარგი შანსია. სწორედ ამიტომ გერმანიის ამ საპორტო ქალაქში ყველა ბობოლამ მოიყარა თავი და ამ კვირაშიც ბარაქიანი ჯახების მომსწრენი გავხდებით.

ისე, ჰამბურგში როჯერ ფედერერი რომ ჩავიდოდა, ეჭვი არავის ეპარებოდა. წინა ორ წელს დიადი ალპელი გერმანიაში თამაშს მოერიდა და ამის მაგივრად დასვენება არჩია, მაგრამ ახლა „მხიარულ როჯერს" დასვენება კი არა, სათამაშო პრაქტიკა და საკუთარი თვითრწმენის დაბრუნება სჭირდება — მოგეხსენებათ, ბოლო ხანებში ფედერერი ძველებურად ვერ დომინანტობს, რომში მარცხის შემდეგ კი მწვრთნელ ტონი როუჩსაც დასცილდა და ლამის ყველასსაქილიკოდ იქცა. ჰოდა, შვეიცარიელი სწორედ ჰამბურგში ეცდება თავისი კრიტიკოსების დადუმებას.

აი, გერმანიაში თამაშზე რაფაელ ნადალის თანხმობა კი ნამდვილი სიურპრიზი გამოდგა. ესპანელმა ჯადო ბიჭმა შარშანწინ აქ კი იმარჯვა, მაგრამ ერთი წლის წინ სლემტურნირისთვის დასვენება არჩია და ბევრს ეგონა, ახლაც იგივეს იზამდა. ორიოდ დღის წინ ესპანელს ტყუილად არ უთქვამს, ასეთ კარგ ფორმაში არასოდეს ვყოფილვარო, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მალიორკელს ჰამბურგში სათამაშო ძალებიც ექნება.



ლეიტონ ჰიუიტმა ჰამბურგში ძველებურად იჩაუქა

ჯერჯერობით კორტზე არც ერთი მათგანი არ გასულა, რადგან მხოლოდ პირველი წრე მიდის — ბობოლები კი ამ დროს ისვენებენ ხოლმე. თუმც საინტერესო გერმანიაში მაინც ბლომად მოხდა.

ენდი მიურეის ამბებით დავიწყოთ, რომელსაც სრული უფლება აქვს, ბედ-იღბალს ემდუროდეს. ჯერ იყო და ერთი თვის წინ მიღებული ზურგის ტრავმის გამო ლამის მთელი სათიხნარო სეზონი გაუცდა. შემდეგ გამოჯანმრთელდა, ფეხზე დადგა და ძველებურად ათამაშდა, თუმც სრულიად უწყინარ სიტუაციაში მაჯა დაიზიანა და შოტლანდიელის ტკივილისგან დაღრეჯილი სახით თუ ვიმსჯელებთ, სერიოზულადაც. არადა, ახალგაზრდა სქოთს გუშინ დაბადების დღე ჰქონდა (20 წლის შესრულდა) და კარგ საჩუქარსაც იმზადებდა, რადგან ფილიპო ვოლანდრის ანადგურებდა, გამარჯვებისა და დღეობის აღნიშვნის მაგივრად კი საავადმყოფოს მიაშურა.

გუშინ კიდევ ერთი განთესილი გამოემშვიდობა ჰამბურგს — მარკოს ბაღდატისმა „თავისით" წააგო და ამით ადგილობრივებიც მაგრად გაახარა, რადგანაც ეს ფილიპ კოლშრაიბერთან მოახერხა.

საინტერესო სანახავი გამოდგა მარატ საფინისა და ნიკოლას მასუს შეხვედრა. საინტერესო იმ კუთხით, რომ რუსმა უკვე თავისთვის უჩვეულოდ, ნორმალური თამაში აჩვენა. აი, მასუმ კი საფინის როლი იკისრა და თავი ჩოგნების მსხვრევით გამოიჩინა.

გამოცოცხლების ნიშნები ეტყობა ლეიტონ ჰიუიტსაც, რომელმაც საკმაოდ კარგად იჩოგნავა და თიხნარის ერთ-ერთი სპეციალისტი აგუსტინ კალერი ძალიან დამაჯერებლად დასცა.

აი, ქალებმა კი თავი ამჯერად რომში მოიყარეს. ბობოლებს ჯერ არც აქ უთამაშიათ, მაგრამ ტურნირმა ორი სერიოზული დანაკლისი დაწყებამდე განიცადა — თავიდან უარი იტალიის დედაქალაქში თამაშზე მარია შარაპოვამ განაცხადა და საამისოდ ტრავმა მოიმიზეზა. რუს პრიმას მალევე მიბაძა ჟუსტინ ენინმაც, რომელსაც ჯანმრთელობის მხრივ ყველაფერი რიგზე აქვს, მაგრამ რომში ჩასვლას დასვენება არჩია.

პირველი დღის ამბებიდან კი ორი ლამაზმანის გამარჯვება გამოვყოთ — მეორე წრეში გავიდნენ ელენა დემენტიევა და დანიელა ჰანტუხოვა. რუსმა ეს თავისთვის უჩვეულოდ მოახერხა და წვალების გარეშე დასცა მასპინძელი კამერინი. სამაგიეროდ, სლოვაკმა იჯახირა დიდხანს და არავანე რეზაის წაქცევას სამი სეტი და ორი საათი მოანდომა.

**კახა ლომჯაშვილი**

# მე თვითონ!

## ფედერერისგან წასული ჰიუიტთან მივა

ამ ბოლო დროს როჯერ ფედერერი ვერ არის თავის იშტაზე — დიადი ალპელი მატჩს მატჩზე აგებს და აგერ უკვე ხუთი ტურნირია, უტიტულოდ რჩება. მოგეხსენებათ, ამ ყველაფერს „მხიარული როჯერის" მწვრთნელი, 60-იანი წლების უცნობილესი ავსტრალიელი ჩოგბურთელი ტონი როუჩი შეეწირა, რომელსაც ფედერერი ორწელიწადნახევრიანი თანამშრომლობის შემდეგ დაშორდა.

ეს გადაწყვეტილება მთელი საჩოგბურთო სამყაროსთვის დიდ სიურპრიზად იქცა, რადგანაც წლის მეორე სლემტურნირი ორიოდ კვირაში იწყება და ასეთი ტურნირის წინ მწვრთნელთან დაშორება მართლაც სისულელედ მოჩანს. მით უმეტეს, რომ შვეიცარიელს საკმარისი დრო ნამდვილად არ რჩება ახალი მწვრთნელის „საშოვნელად". თუმც „მხიარული როჯერი" იხტიბარს არ იტეხს და აცხადებს, რომ „როლან გაროსზე" უმწვრთნელოდაც გავა ფონს:

„მწვრთნელი არ დამჭირდება. ჩემითაც მშვენივრად ვიცი, თუ რა უნდა გავაკეთო გასამარჯვებლად. არ მინდა ვინმე ერეოდეს მომზადების პროცესში".

ისე, როგორც ჩანს, სწორედ ეს იქცა ფედერერისა და როშის დაშორების მთავარ მიზეზად — გავრცელებული ინფორმაციით, შვეიცარიელს არ მოსწონებია ავსტრალიელის მიერ საუიმბლდონოდ შეთავაზებული მომზადების გრაფიკი.

თუმც ფედერერი საერთოდ უმწვრთნელოდაც არ აპირებს დარჩენას და როუჩის ადგილი უკვე შესთავაზა მეორე ავსტრალიელ დარენ კაჰილს, ოღონდ საეჭვოა ეს უიმბლდონამდე მოხდეს.

უმუშევრად არც როუჩი დარჩება, რომელთან მუშაობაც ძალიან უნდა მის თანამემამულე ლეიტონ ჰიუიტს. ოზი ბიჭი იანვრიდან უმწვრთნელოდ არის და ახლა ძალიან უნდა ეს ადგილი სწორედ ტონიმ დაიკავოს — მით უმეტეს, რომ მათ წარმატებული თანამშრომლობის პრაქტიკა უკვე აქვთ ავსტრალიის ნაკრების შემადგენლობაში.

**კახა ლომჯაშვილი**

# იყო ორი სოფო

**თურქეთის** ხმელთაშუაზღვისპირა კურორტ ანთალიის კორტებზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირების, თითქმის ერთთვიანი სერია ამ კვირის ბოლოს დასრულდება, თუმცაღა ქართველებისთვის წლევანდელი, საკმაოდ ნაყოფიერი ანთალიობა უკვე დამთარდა.

ალი ბეის თიხის კორტებზე მიმდინარე, სერიის დასკვნითი, 25-ათასიანი შეჯიბრის ძირითად ბადეში ორმა ჩვენებურმა გააღწია, მაგრამ, სამწუხაროდ, ორივე მათგანი პირველივე წრეში დამარცხდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოფო ქვაცაბაიას არ გაუმართლა, რადგანაც წილისყრამ მეტოქედ პირველ ნომრად განთესილი გერმანელი, 23 წლისა და რეიტინგში 220-ე ადგილზე მყოფი კატრინ ვოერლე არგუნა. სოფომ პირველი სეტი კი მოუგო გერმანელს, მაგრამ მერე კლასმა და გამოცდილებამ თავისი გაიტანა და ვოერლმა ქართველი 4:6 6:2 6:3 დაამარცხა.

რეიტინგში მასზე თითქმის სამასი ადგილით წინ მყოფი მეტოქე ჰყავდა სოფო შაფათავასაც. 17 წლის ბრაზილიელი როქსანა ვაიზერბერგი კლასიფიკაციაში 414-ეა და მან ჩვენებურს ორ სეტში — 6:2 6:3 აჯობა.

# დევიძე და ძველი ტოპი



სალომე დევიძე

**ამ კვირის** ბოლოს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ფლორიდულ თიხნარზე, აგრეთვე ITF-ის ეგიდით მიმდინარე ტურნირების სერიაც მთავრდება. სერიის ბოლო შეჯიბრი პალმ ბიჩ გარდენის კორტებზე ტარდება. 25-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში ორმა ქართველმა — სალომე დევიძემ და სოფო მელიქიშვილმა გააღწია.

საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში ჩვენებურები თავისუფალნი იყვნენ. დევიძეს არც მეორე წრეში უთამაშია — მისი მეტოქე, 15 წლის ამერიკელი კელი კამბურელისი კორტზე არ გამოცხადდა. დასკვნით შეხვედრაში კი სალომემ 7:5 4:6 6:2 მოუგო კიდევ ერთ ამერიკელს, კლასიფიკაციაში 726-ე ადგილზე მყოფ ალექსანდრა მიულერს.

ძირითადი ტურნირის პირველ წრეში სალომეს მეტოქე მე-6 ნომრად განთესილი 36 წლის ჰოლანდიელი ვეტერანი ბრენდა შულტც-მაკარტნი იქნება, ვინც მიმდინარე რეიტინგში 222-ეა, მაგრამ შორეულ 1996 წელს ტოპათეულშიც კი იყო, მე-9 პოზიციაზე იმყოფებოდა და გასული საუკუნის 90-იან წლებში WTA-ს შვიდი საერთუელო ტიტულითაც იწონებდა თავს.

მელიქიშვილს რაც შეეხება, მან საკვალიფიკაციო ეტაპზე მიყოლებით ორ მასპინძელს გადაუარა — ლორიან პ ენრი 6:2 6:0 დაჯაბნა, ხოლო მარი ნიზრის ოდენ ერთი გეიმი დაანება — 6:1 6:0. ძირითადი შეჯიბრის პირველ წრეში სოფოს მეტოქე კლასიფიკაციის 263-ე ნომერი, 20 წლის ურუგვაელი ესტეფანია კრაკუნი იქნება.

პალმ ბიჩში მესამე ქართველს, ანა ტატიშვილსაც უნდა ეთამაშა, მაგრამ ჩვენთვის უცნობი მიზეზების გამო ამ ტურნირის ორგანიზატორებს უარი შეუთვალა.



# ჯერ პრაღა, მერე ახალი გეგმა

**ქართველმა** მოკრივეებმა გუშინ 12-დღიანი გლდანური შეკრება მოილიეს და ჩეხეთში გაემგზავრნენ, დღეიდან ისინი პრაღის საერთაშორისო ტურნირში ჩაერთვებიან. ნაკრების თავკაცი ავთო მოშიაშვილი A კატეგორიის შეჯიბრზე რვა შეგირდს გაიყვანს. ჩეხურ რინგზე ნიკოლოზ იზორია (54 კგ), კობა ფხაკაძე (57 კგ), ვასილ ყაზიშვილი (60 კგ), ლევან ღვამიჩავა (64 კგ), კახა ჟვანია (69 კგ), გიორგი ნაკანი (75 კგ), დავით წიკლაური (81 კგ) და ბექა ლობჟანიძე (+91 კგ) ავლენ. დანარჩენი სამი წონიდან ერთზე — 48 კილოგრამზე — თავად ორგანიზატორებმა შემოთვალეს უარი, 51 და 91 კილოგრამებში კი მოკრივეების დაყენებისგან მოშიაშვილმა შეიკავა თავი.

პრაღის ტურნირიდან დაბრუნებული ქართული გუნდი შემოდგომაზე გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის სამზადისს წინასწარ შედგენილი გეგმით რომ ვეღარ გააგრძელებს, ნაკრების მწვრთნელმა ჯერ კიდევ ორი კვირის წინ გვითხრა. დაბნეულობა კრივის საერთაშორისო ასოციაციის ბოლოდროინდელმა სკანდალურმა სიახლეებმა გამოიწვია. მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა ხომ სამჯერ შეცვალეს, ამასთან ჩატარების თარიღიც ერთი თვით გადაწიეს.

ბოლო ინფორმაციით, ჩემპიონატს ამერიკის შეერთებული შტატები უმასპინძლებს და 17 ოქტომბერს დაიწყება. საქართველოს კრივის ფედერაციაც ახალი მოსამზადებელი გეგმის შედგენას აპირებს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# ჰუსეინოვის საქმე

## რუსებს ერთწლიანი ნოკაუტით ემუქრებიან

**რუსების** სკანდალურ ამბებს დასასრული არ უჩანს. მათ პოლიტიკურ საშარო ისტორიებს არც მათივე სპორტული სამყარო ჩამორჩება. სადოპინგო სკანდალები ხომ თავზესაყრელად აქვთ და ამას სხვაგვარი ხათაბალაც ემატება. აი, მაგალითად, მოსკოვს წლეულს გასამართი მოკრივეთა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის უფლება ჩამოართვეს. რუსეთის მოკრივეთა ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი, იმავდროულად ევროპის სამოყვარულო კრივის ფედერაციის პრეზიდენტი ედუარდ ჰუსეინოვი ტერორისტულ საქმიანობაში დაადანაშაულეს. თუმცა მერე გაირკვა, რომ იგი თავის სეხნიასა და მოგვარეში არევიათ, მაგრამ რუსეთის მოკრივეებს ამით გულის გასახეთქი არ მოჰკლებიათ. შესაძლოა, მთელი ნაკრები დროებითი დისკვალიფიკაციით დასაჯონ და ამგვარად პეკინის ოლიმპიური თამაშების მილმაც დატოვონ. ყოველ შემთხვევაში, ასე ვარაუდობს რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ვიქტორ ხოტოჩკინი, რომელიც საერთაშორისო საკითხებს განაგებს.

ხოტოჩკინს ძალზე აფიქრებს ჰუსეინოვის დაპირისპირება სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაციის (აიბა) პრეზიდენტთან, რაც შესაძლოა რუსეთს მართლაც პეკინის ოლიმპიური თამაშების მიღმა დარჩენად დაუჯდეს.

„გასულ კვირას იაკუტსკში მე დავესწარი რუსეთის კრივის ფედერაციის აღმასკომის სხდომას და მის მონაწილეებს მოვახსენე იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტმა აიბა-სთან კონფლიქტის აღმოსაფხვრელად მიიღო — ამბობს ვიქტორ ხოტოჩკინი — კერძოდ, მე და ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლეონიდ ტიაგაჩევი პეკინში აიბას მეთაურ ჩინგ კუო ვუს შევხვდით."

„მე შევისწავლე ყველა დოკუმენტი, მთელი მიმოწერა, რომელიც მოსკოვისთვის წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ჩამორთმევას ეხებოდა და შემიძლია დავასკვნა: არც ერთი მხარე არაა მართალი — აგრძელებს საუბარს ხოტოჩკინი — ჩვენი ფედერაციაც შეცდა და აიბაც. პეკინში ვუსთან შეხვედრისას მან მითხრა, რომ მზადაა მოსკოვს მსოფლიოს ჩემპიონატი დაუბრუნოს. მზადაა. და სწორედ მაშინ, როცა ვუს თავში ამგვარი გადაწყვეტილება მომწიფდა, რუსეთის სახელით ლოზანაში, საარბიტრაჟო სპორტულ სასამართლოში ტერორიზმში სრულიად უსაფუძვლოდ დადანაშაულებული ჰუსეინოვის ღირსების, პატივისა და საქმიანი რეპუტაციის დასაცავად მეორე სარჩელი შევიდა, ამან კი ბატონ ვუს უკან დახევა განაპირობა. ვუს მე და ტიაგაჩევი ვუხსნიდით, გაუგეთ ჰუსეინოვს, რომელსაც იმ დანაშაულს აბრალებდნენ, რომელიც არ ჩაუდენიათ, მაგრამ სიმართლის გარკვევის მერე მისთვის ბოდიშიც არ მოუხდიათ-მეთქი, ვუმ კი ამაზე დუმილით გვიპასუხა. ბოლოს მან გვითხრა, არ გეხუმრებით, თუ აიბა საარბიტრაჟო სპორტულ სასამართლოში ორიდან ერთ სარჩელს მაინც მოიგებს, რუსეთის ნაკრებს ერთწლიანი დისკვალიფიკაციით დავსჯით. არადა, აიბას დებულებით, თუ ამ ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს არ ეთანხმებიან, მას ასეთი დისკვალიფიკაციის გამოტანა მართლაც შეუძლია".

**ავთანდილ ჭყვიშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# M-TEL MASTERS-ის ტურნირი

**სოფია**. ბულგარეთი. 9-20 მაისი

**V ტური**

| | | |
|---|---|---|
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 0,5:0,5 | გატა კამსკი (აშშ) |
| ლივიუ-დიტერ ნისიპეანუ (რუმინეთი) | 0,5:0,5 | კრიშნან საშიკირანი (ინდოეთი) |
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0,5:0,5 | შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) |

**სატურნირო ვითარება**

| | | |
|---|---|---|
| 1. | შაჰრიარ მამედიაროვი | 3,5 |
| 2. | მაიკლ ადამსი | 3,0 |
| 3. | კრიშნან საშიკირანი | 3,0 |
| 4. | ლივიუ-დიტერ ნისინიანუ | 2,5 |
| 5. | ვესელინ ტოპალოვი | 2,0 |
| 6. | გატა კამსკი | 1,5 |

# მეფური ზავი

შაჰრიარ მამედიაროვმა მაიკლ ადამსთან შეხვედრა ყაიმით დაასრულა და ერთპიროვნული ლიდერობა შეინარჩუნა. ახლა აზერბაიჯანელი დიდოსტატი ცხრილს 3,5 ქულით პირველობს და ინგლისელს ნახევარი ქულით უსწრებს.

მოჭადრაკეებმა დებიუტში სიცილიური დაცვა გაითამაშეს, მე-4 სვლაზე თითო-თითო პაიკი გაცვალეს და იერიშებს შეუდგნენ. ალბიონელი მარჯვენა ფლანგზე გააქტიურდა, ლაზიერ-კუთი შეუტია შავებს და ფიგურების გაცვლა დაიწყო. ხოცვა-ჟლეტაში მამედიაროვმა იძალა, ცენტრში გამაგრდა და სათამაშო უპირატესობას დაეუფლა. დიდოსტატებმა მანევრებს მიმართეს, თუმც ამ თამაშ-თამაშში ყველა ფიგურა შემოაკვდათ და 64-ე სვლაზე ეულად დარჩენილმა მეფეებმა ყაიმი გამოაცხადეს.

შეხვედრის შემდეგ ადამსი უკმაყოფილო იყო შედეგით.

„ყველა მოთამაშე შანსს, ბოლომდე ეძებს, ჩემმა მეტოქემაც ის იპოვა, მე კი პირიქით, შეცდომები დავუშვი და მოგებაც დავკარგე" — განაცხადა დაღონებულმა ინგლისელმა.

დანარჩენი ორი შეხვედრაც ყაიმით დასრულდა და ცხრილში ყველა თავის ადგილზე დარჩა.

გუშინ მოჭადრაკეებმა დაისვენეს და პროფესიონალ ფეხბურთელებთან ამხანაგურად ბურთი გააგორეს.

**ლაშა გეგეჭკორი**



# კოკაის მაისი მინუსებით გაივსო

## რეკორდი ამაზე შეჩერდება

**მაისის** ბაშოზე ერთი მეხუთედი გაილია და კოკაი ჯერაც მოუგებელია. მესამე ტურში ლევან ცაგურია წინა ორ მეტოქეზე სუსტ სეკიტორს, ხომასიოს დაეჭიდა, მაგრამ აღმოსავლეთის პირველ მაეგაშირასთანაც ვერაფერს გახდა. კოკუგიკანური ბაშოს მიმომხილველი ვებგვერდი ჩვენებურის გუშინდელი ბრძოლის პერიპეტიებს არ უკონკრეტდება და მხოლოდ „შავი ზღვის" სადღეისო შეხვედრაზე საუბრობს.



მეოთხე ტურში ცაგურია ვეტერანი ოძეკის, კაიოს, წინაშე დადგება. მართალია, ამ უკანასკნელს მიმდინარე ბაშოზე ჯერ ერთი მარცხიც არ განუცდია, მაგრამ სპეციალისტების ნაწილი კაიოს წაფორხილებას სწორედ კოკაისთან ელის. ხელჩასაჭიდად კი სტატისტიკა მოჰყავთ — ეს ორი დევკაცი აქამდე ერთმანეთს თერთმეტჯერ დასჭიდებია და აქედან შვიდჯერ ქართველს უმარჯვია.

აქვე ერთი პატარა რეკორდიც, რომელიც ტოკიოს დარბაზში გუშინდელი შეხვედრების ჩაჭიდავების შემდეგ დაფიქსირდა. ოცდამეერთე საუკუნეში პირველად ხდება, რომ სამი ტურის შედეგებით სუმოს სამი უმაღლესი იერარქიული საფეხურის არც ერთ სეკიტორს არ წაუგია. იოკოძუნა ასასიორიუ, ოძეკები: ხაკუხო, კოტოოსიუ, კაიო და ტიოტაიკაი და სეკივაკეები: კოტომიცუკი და ამა უდანაკარგოდ მიიწევენ იმპერატორის თასისკენ.

რეკორდი კიდევ ერთი დღით ვერავითარ შემთხვევაში ვეღარ გახანგრძლივდება, რადგან დღეს ტიოტაიკაი და ამა ერთმანეთს შეერკინებიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# პლეი ოფი. ნახევარფინალი

# სენატში ფინალი ითქვა

## აღმოსავლეთი

**ბუფალო 0:3 ოტავა**

**მესამე მატჩი**

**ოტავა 1:0 ბუფალო**

*0:0 1:0 0:0*

1:0 ალფრედსონი (34, პიტლი, სპეცა)



დანიელ ალფრედსონის გოლმა „ოტავა" სუპერფინალს მიუახლოვა

**თავისი** ახალი ისტორიის 15 წლის მანძილზე ეს „ოტავა" პირველად მიუახლოვდა სტენლის თასის ფინალს. საამისოდ „სენატორებს" ერთი მოგებაღა აკლიათ და მათი თამაშიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კანადელები ამას ხვალვე მოახერხებენ.

„ოტავა" პირწმინდად ჯაბნის რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულ „ბუფალოს" და ამას პირველ რიგში კარგად გამართული დაცვითი თამაშით ახერხებს. მესამე მატჩმა ეს ნათლად დაადასტურა, როცა ჩემპიონატის საუკეთესო შეტევას „სენატორებმა" კარში მხოლოდ 20-ჯერ დაარტყმევინეს. „ხმლებს" ერთადერთი რეალური საგოლე შანსი პირველივე წუთზე ჰქონდათ, როცა დანიელ ბრიარმა რეი ემერისთან პირისპირ ვერაფერი გააწყო. ამის შემდეგ შეხვედრას მთლიანდ მასპინძლები აკონტროლებდნენ და მხოლოდ „ბუფალოს" კარის დარაჯ რაიან მილერის ბრწყინვალე თამაშის ბრალია, „ოტავამ" ორნიშნა ანგარიშით რომ ვერ მოიგო.

**კახა ლომაყაშვილი**



იერგელის სავანე

# ლათინური ნახტომები

**ზაფხული** ახლოვდება და მძლეოსანთა სამყაროც ნელ-ნელა დუღილის ტემპერატურას უახლოვდება. წლევანდელი სეზონის პიკი ზაფხულის ბოლოს, იაპონურ ოსაკაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე იქნება და აბა, დუღილი მაშინ უნდა ვნახოთ. მანამდე კი ევროპული სეზონია, რომელიც უკვე ამ უქმეებზე დაიწყება.

პლანეტის საუკეთესო მძლეოსნები თანდათან მოიწევენ ბებერი კონტინენტისკენ, მაგრამ სხვა მიწათა შვილები ევროპაში ჩამოსვლამდეც არ კარგავენ უქმად დროს და გასულ უქმეებზე გამართულ სხვადასხვა რანგის ტურნირებზე რამდენიმე მეტად მაღალი შედეგი იქნა ნაჩვენები.

დავიწყოთ სამხრეთ ამერიკაში, ვენესუელას დედაქალაქ კარაკასში გამართული შეჯიბრით, სადაც თავი კუბელმა სამმხტომელებმა გამოიჩინეს. ქალებში იერგელის სავანეს ოდენ ერთი სანტიმეტრი დააკლდა დიდოსტატურ, 15-მეტრიან ნიშნულამდე, ხოლო კაცებში ოსნიელ ტოსკამ 17,52 მეტრით სეზონის საუკეთესო შედეგი აჩვენა.

იქვე, სამხრეთ ამერიკაში, ოღონდაც ბრაზილიურ რიო დე ჟანეიროში კი პანამელმა სიგრძეზე მხტომელმა ირვინ სალადინომ იჟოჩალა. 24 წლის სალადინომ შარშან 8,56 მეტრზე იფრინა, რაც სეზონის საუკეთესო შედეგი და ამავდროულად, სამხრეთ ამერიკის რეკორდი გახლავთ. ცოტას დარჩა, ეს რეკორდი პანამელმა, უკვე წლევანდელი სეზონის სტარტზე არ გააუმჯობესა — რიოში სალადინო 8,53 მეტრზე გადახტა და ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ნახტომისას 0,2 მეტრი წამში პირქარი ქროდა.

# მიძუკი. და კენჯისა

**კენიელი** ომბეჩე მოკამბასა და მასპინძელი მიძუკი ნოგუჩის გამარჯვებით დასრულდა იაპონიაში გამართული, უაღრესად პოპულარული სენდაის ნახევარმარათონული შეჯიბრი.

გრძელ გზაზე სირბილში კენიელის გამარჯვება, აბა, ვის გააკვირვებს და მოკამბამაც 21-კილომეტრზე ასიოდე მეტრით მეტი მანძილი ერთ საათში, 2 წუთსა და 29 წამში გაირბინა. ეს არ გახლავთ განსაკუთრებით აღსანიშნავი შედეგი, ამ მანძილს საათზე ნაკლებ დროშიც დარბიან, მაგრამ თავად მოკამბა მაინც ბედნიერი იყო, მით უმეტეს, რომ უახლოეს მდევრებს, მეორე კენიელ ჯონ კანუისა და იაპონელ კენჯი ნოგუჩის ნახევარ წუთზე მეტით აჯობა.

თუ კაცებში კენჯი ნოგუჩი მხოლოდ მესამე იყო, ქალებში მისმა დამ, მიძუკიმ შანსი არავის დაუტოვა, სენდაის ქუჩებს ერთ საათში, რვა წუთსა და 54 წამში შემოურბინა და მეორე ადგილზე გასული რუმინელი კონსტანტინა დიტა-ტომესკუ ზუსტად წუთნახევრით ჩამოიტოვა უკან.



მიძუკი ნოგუჩი



Giro d'Italia **90-ე ჯირო დიტალია. 12 მაისი — 3 ივნისი**

# ველარ გამტეხენ!

## პეტაკის გვალვა კალიარიში დასრულდა

**საიუბილეო,** 90-ე „ჯირო დიტალიას“ პირველი, სამეტაპა სარდინიული მონაკვეთი კუნძულის მთავარქალაქ კალიარიში დამთავრდა. გუშინ „ჯიროზე“ დასვენების დღე იყო, ველოქარავანი სარდინიიდან მატერიკზე გადავიდა და დღეიდან კი მრბოლები სამხრეთიტალიური სალერნოდან აპენინების მთაგრეხილის გაყოლებით ჩრდილოეთისკენ აუყვებიან გზას.



AFP

ბოლო სარდინიული, 181-კილომეტრიანი ეტაპი კი თანამედროვეობის ერთ-ერთმა საუკეთესო სპრინტერმა ალესანდრო პეტაკიმ მოიგო, 2003-2005 წლებში პეტაკის ანგარიშზე „ჯიროზე“ მოგებული 19 ეტაპი იყო. მაგრამ შარშანდელი სეზონი „მილრამის“ მრბოლისთვის კოშმარული გამოდგა. სამი უმთავრესი სუპერრბოლიდან პეტაკიმ ერთზეც ვერ მოახერხა თუნდაც ერთი ეტაპის მოგება და წლევანდელი „ჯიროს“ წინა ეტაპზეც ვერაფერი გააწყო ფინიშის ავსტრალიელ დიდოსტატ რობი მაკიუენთან.

და აი, 2005 წლის „ვუელტაზე“ მოპოვებული გამარჯვების შემდეგ დაწყებული გვალვიანი პერიოდი ალესანდრომ კალიარიში დაასრულა და დაასველა. ფინიშის შემდეგ პეტაკი ემოციებს ვერ იკავებდა და აცრემლებული გაიძახოდა, მორჩა, აწი ველარ გამტეხენ, კრიზისი დასრულდა და მე ისევ უძლიერესთა შორის ვარ, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ოჯახის წევრებს, მეგობრებსა და თანაგუნდელებს, რომლებიც დამეხმარნენ ამ შავბნელი პერიოდის დასრულებაშიო.

საერთო ჩათვლაში კი წინ კვლავაც გუნდური რბოლის მომგები „ლიქუიგასის“ წევრები არიან და ერთმანეთს ესტაფეტასავით გადასცემენ ლიდერის ვარდისფერ მაისურას — ჯერ ენრიკო გასპაროტი იყო წინ, მერე დანილო დი ლუკა და ახლა ისევ გასპაროტო დაწინაურდა.

**მე-3 ეტაპი. ბერუშანი — კალიარი. 181 კმ**

| | |
|---|---|
| 1. ალესანდრო პეტაკი (იტალია, „მილრამი“) | 4სთ 22წთ 57წმ |
| 2. რობერტ ფორსტერი (გერმანია, „გეროლშტაინერი“) | |
| 3. მაქსიმილიან რიჩეზე (არგენტინა, „პანარია“) | |
| 4. რობი მაკიუენი (ავსტრალია, „ლოტო“) | |
| 5. დანილო ნაპოლიტანო (იტალია, „ლამპრე“) | *ყველას იგივე დრო* |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ენრიკო გასპაროტო (იტალია, „ლიქუიგასი“) | 10სთ 3წთ 48წმ |
| 2. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი“) | |
| 3 .ანდრეა ნოე (იტალია, „ლიქუიგასი“) | |
| 4. ფრანკო პელიცოტი (იტალია, „ლიქუიგასი“) | |
| 5. ვინჩენცო ნიბალი (იტალია, „ლიქუიგასი“) | *ყველას იგივე დრო* |



# პატარა სენას პატარა ფორმულა ეპატარავება


რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი


**გასულ უქმეებზე** ესპანეთში, „სამეფო რბოლების“ მორიგი გრან პრის პარალელურად, „პატარა“ ფორმულის — GP2 სერიის მეორე ეტაპიც ჩატარდა.

შეგახსენებთ, ყოველი ეტაპისას (ასეთი კი სულ თერთმეტია) ორ-ორი რბოლა ეწყობა, ხოლო მანქანები და ძრავები იდენტურია — იტალიური „დალარას“ კონსტრუქციის ბოლიდები ფრანგულ „რენოს“ 600 ცხენისძალიანი მოტორებით.

ბარსელონას „კატალუნია მონტმელოზე“ პირველი, 160-კილომეტრიანი გაჯიბრება სასტარტო შეხლა-შემოხლის გამო შეფერხდა, ტრასაზე უსაფრთხოების „მერსედესი“ გამოვიდა და 26-მანქანიანი ქარავანი ტრეკის გაწმენდამდე ოთხი წრე მშვიდ რეჟიმში ატარა, მერე კი მიუშვა და გერმანელ ექსმეფორმულე ტიმო გლოკის გამარჯვებაც თითქოს ეჭვს აღარ იწვევდა, მაგრამ დისტანციის ბოლო მესამედზე ისიც იძულებული გახდა, ბოქსებისკენ გაეხვია და მხოლოდ მესამე დაუბრუნდა ბრძოლას. შედეგად, 24 წლის ბრაზილიელი ბრუნო სენა გალიდერდა და ბოლომდეც აღარ დაუთმია მეწინავეობა.


ბრუნო სენამ „სამეფო რბოლებისკენ“ გაიხედა

მეორე, სპრინტერული (100 კმ) რბოლაც ავარიებით დაიწყო, თუმც გლოკი ამჯერად აღარ წაფორხილებულა, მალე ყველა მეტოქე ადვილად ჩამოიტოვა და ფინიშზე თითქმის ათი წამით აჯობა ესპანელ ხავიერ ვილიას.

ამრიგად, ბარსელონაში „ნესვის მთის“ ტრასაზე მოპოვებული 17 ქულით გლოკი სატურნირო ცხრილში დამაჯერებლად ლიდერობს, უკვე 31 ქულა დაუგროვდა და 13-ით უსწრებს მეორე პოზიციაზე მყოფ სენას, რომელიც შესაძლოა უკვე მალე ისად ფორმულა 1-ში ვიხილოთ.

მესამე ეტაპი 26-27 მაისს მონტე კარლოში ჩატარდება.

**გია ახალაძე**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კახა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქელიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლალი ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გააახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფარაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ლოლუნჯაშვილი, ბადრი კვიილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლია ბესელია, ხათუნა ბუხურიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზეად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge